

ზაალ სამადაშვილი

## O SOLE MIO

ძველი ფილმი იყო, ამერიკული. ამბავი ზღვისპირა ქალაქში ხდებოდა. ვილაც ბიჭი ბიძასთან ერთად მებადურობით ირჩენდა თავს. კაი ჯანიანი ვინმე იყო — სქელკისერა, მსხვილი; ბიძა — ტანმორჩილი, კაფანდარა, სქელულვაშიანი. როცა უმართლებდათ და პორტიდან გამთენიისას გასულეები უკან კარგი ნადავლით, ნავის ფსკერზე ასხმარტალეული ვერცხლისფერი თევზებით ბრუნდებოდნენ, ბიჭი მღეროდა ხოლმე. სიმღერები იტალიური იყო — ისიც და ბიძამისიც იტალიელები გახლდნენ წარმოშობით. ერთხელაც მისი ხმა პორტის რომელიღაც კაფეში შემთხვევით მოხვედრილ მდი-

დარ მელომანს მოესმა, მოეწონა და ბიჭი თავისთან დაპატიჟა, მაგარ მუსიკოსებს უნდა მოვასმენინო შენი სიმღერაო. ბიჭი დათანხმდა და ბიძასთან ერთად მივიდა მდიდრულ სახლში. ხმის სიძლიერემ გააოგნა მუსიკის მცოდნეები. აბა, ეს ნოტი აილე, აბა, ეს ნოტიო, რომ უთხრეს სათითაოდ, მეოთხე თუ მეხუთე ჯერზე ისე „აილო“, ისე დასჭექა ბიჭმა, რომ მაღალ, მოხატულ ჭერზე ჩამოკიდებულმა უზარმაზარმა ჭალმა ქანაობა დაიწყო. თვლებს არ დაუჯერეს, გაამეორებინეს და არამართო გაოგნებულეებმა, აღტაცებულეებმა დიდ საოპერო მომღერლად ჩამოყალიბება უნიანსწარმეტყველეს...

//

ლია სტურუა


## ხალხური ლექსი

კაცი კუთხეში ზის და წერს,  
ეკლესიის დრო რომ მოუვა,  
სანთელივით საწყლად ანთია,  
პოეტია, შეუძლია დამხრჩვალ ქალაქს  
ლექსების წიგნი დაანახოს  
და „სევდის ბალობა“ გაახსენოს,  
მაგრამ კუთხეში ბნელა და ვერ ხედავენ,  
ხალხურობას აბრალებენ. როგორ წარმოუდგენიათ?  
ხალხი ერთად ზის, ან დგას  
და ლექსს იგონებს? მოსწონს კიდევაც  
ფოლკლორის ხალხობა, შეიძლება,  
ცარცის ქალაღდიც მოითხოვოს  
საგაზეთო ფურცლების ნაცვლად,  
მთავარია, ის არ გაუხუნდეს,  
ის პრიალა სარჩული, კუთხეში  
რომ ანთია, როდისღა კვდება?  
როცა უკუთხოვაში გადაჯდება  
და ისევ ლექსს დანერს.  
აბა, სხვა რა ქნას? პოეტია.

///







ზაალ სამადაშვილი

O SOLE MIO

დასაწყისი პირველ გვერდზე

\*\*\*

ნამდვილ ცხოვრებაშიც მოხდა მსგავსი რამ, ოღონდ სხვაგან, იმ საპორტო ქალაქიდან ძალიან შორს, სხვა ქვეყანაში. იქაური ამბის გმირი არც მეტადური იყო და არც რომელიმე ცნობილ მელომანს ჰქონდა მოსმენილი მისი სიმღერა. მან თვითონ მიაკითხა მუსიკოსებს, შინ კი არ ეწვია ვინმეს, პირდაპირ კონსერვატორიას მიაღება. შეადლო ხის მიმღებ, მოჩუქურთმებული კარი, აირბინა მარმარილოს კიბე, მოძებნა საპროფესორო, შეიხედა შიგ და მას შემდეგ, რაც თვლი მოჰკრა თაღოვან ფანჯარასთან მდგარ როიალს, დაუკითხავად შეაბიჯა ვრცელ, დარბაზივით ოთახში და გრძელი მაგიდის ირგვლივ მსხდარ დარბაისელ კაცებსა და ქალებს ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე განუცხადა, აქ იმიტომ ვარ, რომ მომისმინოთ და ჩემი ვოკალური შესაძლებლობები შეაფასოთო. პროფესორებმა ყურადღებით შეათვალერეს დაუპატიჟებელი სტუმარი. ვისაც სათვალე ეკეთა, სათვალის ზემოდან გაიხედა მისკენ. ქუჩის ბიჭს მიახმავდა, მხოლოდ ჩაცმულობით არა, მზერის გამოც. თავხედური მოეჩვენათ მისი გამოხედვა. დგომითაც რაღაცნაირად იდგა, გალაჯული, დონდუქმყოფილი, ოდნავ წინახხრილი, თითქოს საჩუბრად იხვევდა ვინმეს. მაგიდასთან მსხდომთაგან რომელიმეცამ წყრომა გამოხატა დარაჯის მიმართ, ყველას რატომ უშვებს შენობაშიო და გასვლა დააპირა მის მოსახმობად. ნამოდგომაც ვერ მოასწრო. სტუმარი წელში გასწორდა, როიალთან მივიდა და რამდენიმე აკორდი აიღო. თუმცა, დაკვრა არ გაუგრძელებია, ხელები გაშალა და სიმღერა აკომპანემენტის გარეშე დაიწყო. ძალიან ცნობილი მუსიკალური ფრაზა, რომელიც რამდენჯერმე მეორდებოდა სიმღერაში, ისეთი მაღალი ტონალობით მოჰყვინა ოთახს, რომ იძულებით მსმენელებმა იფიქრეს, შემდეგ ჯერზე ხმა ჩაეხლიჩება და ვეღარ შეძლებს ვოკალის დემონსტრირებასო. მან კი, გააგრძელა და „O, SOLE MIO“ ისეთ სიმაღლეზე ასწია, რომ ხმავე სქელ კედლებსა და მასიურ კარში გააღწია და კორიდორში მყოფ სტუდენტებს საპროფესოროში შეჭყეტა მოანდომა. შეჯგუფდნენ და ფრთხილად, შეძლებისდაგვარად უხმაუროდ, ოდნავ გამოსწიეს ერთი ფრთა. ოთხი თუ ხუთი წყვილი თვალი დალაგდა სიმაღლეზე — სამი თითის დადების სიგანის ღრიჭოში. რომელიმეცა ეცნაურა, ეს ხომ ის არისო, ნაჩუქრულია. არ დაუჯერეს, ის რო-

გორ იქნება, იმის სიმღერა ვინ გაიგონაო. ვისაც მიახმავდა, იმ ბიჭის შესახებ ბევრი რამ ჰქონდათ ყურმოკრული, თან სულ ისეთები, არანაირ თანხმობაში რომ არ მოდიოდა კონსერვატორიასთან... რაღაცამ გაიწკარუნა. შეღებული კარიდან მოთვალთვალეებმა იფიქრეს, საპროფესოროში ჩაის სვამდა ალბათ ვინმე და ჭიქა ხმაურით დადგა ლამბაქზეო. ძალიან მალე წკარუნნი გამეორდა და უფრო მრავალხმიანი გახდა, თითქოს მინის რამდენიმე ნივთი ერთდროულად შეეხო ერთმანეთს. სიმღერის ფონზე მოხდა ეს და გაგრძელდა. როდის-როდის ვილაცამ, ოთახში მყოფმა თუ კართან ატუზულმა, შეამჩნია, რომ როიალის თავზე დაკიდებული ძველებური ჭალის ბროლის ფირფიტები ეხლებოდნენ ერთმანეთს. ყველამ ჭალისკენ დაიწყო ყურება და მას შემდეგ, რაც უცნაურმა სტუმარმა „O, SOLE MIO“ დაასრულა, წკარუნნი, ფოთლების ფორმის ფირფიტების ტორტმანი მორჩა. მაგიდის ირგვლივ მსხდომებს დიდხანს არ ამოუღიათ ხმა. სტუდენტები კი, რომლებმაც ისევე უჩუმრად მიიხურეს კარი, როგორც შეაღეს, დერეფნებს მოედნენ და ვისაც გადაეყარნენ, თანატოლს თუ უფროსს, ყველას შეატყობინეს, რისი შემსწრენიც გახდნენ. ერთათად გამრავლებული უკან, საპროფესოროსთან, რომ მიბრუნდნენ იმდღევანდელი დღის გმირის უკეთ შესათვალთვალად, განვილებული დარჩნენ. დარბაზივით ოთახი, სადაც სულ ცოტა ხნის წინ დაუწითული მკერდიდან ამოსული ხმა ბროლის ფირფიტებით განწყობილ ბრინჯაოს ჭალს არწევდა — ცარიელი დახვდათ. იმავე არა და მეორე დღეს ხმა დაირბა, თავისუფალ მსმენელად აიყვანეს ის ბიჭო. თავისუფალი მსმენელობა კონსერვატორიის სტუდენტობას ნიშნავდა თითქმის. ასეთი რამ იშვიათად კი არა, საერთოდ არ ხდებოდა იმ დროს და რაკი მოხდა, ეს იმის დასტური იყო, რომ ქუჩის ბიჭის გარეგნობის ყმაწვილს მართლა უნიკალური სიძლიერისა და ტემბრის ხმა ჰქონდა. \*\*\* ამერიკული ფილმის გმირის, ახალგაზრდა მეტადურისგან განსხვავებით, რომელმაც ჭრელი ყელსახვევი და ზოლებიანი მაისური ატლასის ბაფთით და ელვარე სმოკინგით ჩაანაცვლა და საპორტო ტავერნის მაგივრად „მეტროპოლიტენ ოპერაში“ გააგრძელა სიმღერა, ნამდვილი ცხოვრების ნამდვილმა პერსონაჟმა სწრაფად მოიყარა ხმის დახვეწა „გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით“ და ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა კონსერვატორიიდან, როგორც გამოჩნდა... მართალი გამოდგა მისი გამოჩენისას საპროფესოროს კარს აკრული სტუდენტი, რომელმაც ვილაცამს მიახმავდა. სწორედ ის აღმოჩნდა, იმდროინდელი ურბანული თქმულებების ერთ-ერთი მთავარი გმირი, სწორედ ის, ვის შესახებაც დაუჯერებელ ამბებს ჰყვებოდნენ: რომ მას თვალეხებულს შეეძლო გადაერბინა თბილისის ყველაზე მაღალი ხიდის მოაჯირი, რომ ის „შესანიშნავი შვიდეულის“ ბრიტის სიხუსტით ისროდა დანას, რომ მისთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა ტანის ასჯერ შეუსვენებლად აზიდვა ღერძზე, რომ მხოლოდ მას უჩნდებოდა სურვილი, ქუჩის ბიჭებთან ელაპარაკა წიგნებზე, მათ შორის ისეთებზეც, როგორებიც გახლდნენ „ასე იტყოდა ზარატუსტრა“ და „მოგზაურობა იქსტლანში“ და რომ დღეღამის ნებისმიერ მონაკვეთში მზად იყო, გამოსასარჩლებლად გაჰყოლოდა მასთან შველის სათხოვნელად მისულ უსამართლოდ დაჩაგრულ ნებისმიერ ადამიანს... დაბრუნდებოდა თუ არა კონსერვატორიაში, ძნელი გამოსაცნობი იყო, მასთან დაკავშირებული თქმულებების გათვალისწინებით, ალბათ არა. მისი მომავალი ქმედებები დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ რას აღმოაჩენდა საკუთარ თავში. შესაძლოა, რაიმე ახალი უნარის შესწავლითა და გამოყენებით დაკავებულიყო ერთხანს, მაგალითად, ხატვით, ანდა რაღაცის მიმართ ლტოლვას დამორჩილებოდა, თუნდაც პირქუში, ძნელად დასალაშქრავი მწვერვალების დაპყრობის ჟინს და გამობრძმედილ ალპინისტებთან ერთად დადგომოდა სადღაც ზევით, ღრუბლებისკენ მიმავალ ყინულოვან ბილიკს...



ძველ დროებასა და წიგნებზე

\*\*\*

ბევრი რამ არის განსაცვიფრებელი მართო ვარგას ლიოსას რომანში „ბოლო ჟამის ომი“, მაგრამ... ლევ ტოლსტოის გარდა ვერ ვიხსენებ ვერცერთ მწერალს, რომელიც ამ კაცით აღწერდეს მასშტაბურ შეიარაღებულ დაპირისპირებას ათასობით ადამიანს შორის. კითხვისას ისე მძაფრად შეიგრძნობ შეტევაზე გადასულთა და იერიშის მომგერიებელთა ვენებებს, ისე სულისშემძვრელად ჩაგვსმის გამარჯვებულთა ყიფინა და დამარცხებულთა გმინვა, ისე ცხადად ხედავ ბრძოლის ველს ხან სანგრძობად და ხან ღრუბლების სიმინდლიდან, რომ საომარი ბატალიების მონაწილედ გრძნობ თავს და გეუფლება განცდა — წიგნის ფურცლებს კი არა, სროლით გახურებულ კარაბინის ლულას ეხები თითებით... \*\*\* „კაცს საბოლოოდ იქამდე არ გაქვს დარჩეული, სანამ ერთი კარგი ამბავი დაგჩენია მოსაყოლი და ადამიანი, ვისაც მას მოუყვები...“ ეს სიტყვები ერთ მშვენიერ დილას ამოვიკითხე ერთ მაგარ „რაღაცაში“ — არ ვიცი მოთხრობაში, არ ვიცი პიესაში, არ ვიცი მცირე რომანში... ეს მაგარი „რაღაცა“, სახელად „მეოცე“ ალესანდრო ბარიკოს დაწერილია, იტალიელი კაცის, და ვირტუოზ პიანისტზეა, რომელიც გემზე დაიბადა, იქ გაიზარდა და იქვე გაატარა მთელი ცხოვრება ისე, რომ ერთხელაც არ დააღდა ფეხი ხმელეთზე... პიანისტს დენი გუდმენ ტ.დ. ლემონ მეოცე ჰქვია და მის ამბავზე კინოც არის გადაღებული მთავარ როლში ტიმ როთით... თავში ციტირებული წინადადება დიდად საყურადღებოდ, ლამის ჩემთვის დანერილად მივიჩნიე და ამის გამო უსაზღვრო მადლიერება ვიგრძენი არამარტო მწერლის, არამედ მთარგმნელის, ტექსტის მშობლიურ ენაზე უზადოდ ამმეტყველებლის მიმართ — ერთი ცისმარე დღის იმედიანად გათენებისთვის... \*\*\* ხორხე ლუის ბორხესი წერს: „მისი შრომა, ვინც ხუთას გვერდზე უნდა გაშლოს აზრი, რომლის გამოთქმასაც რამდენიმე წუთი სჭირდება, მძიმე და ქანც-

ის გამწყვეტია. უმჯობესია, ასე მოვიქცეთ — წარმოვიდგინოთ, რომ ამ მოცულობის წიგნები უკვე დაწერილია და მკითხველებს მათი რეზიუმეები შევთავაზოთ. ასე მოიქცნენ კარლიელი და ბატლერი, როცა პირველმა „SARTOR RESARTUS“ შექმნა, მეორემ კი — „THE FAIR HAVEN“. თუმცა, მათ წიგნები დაწერეს, მეორადი, მაგრამ მაინც წიგნები. მე კი, რადგან უფრო პრაქტიკული, ზარმაცი და ნაკლებ ნიჭიერი ვარ, უპირატესობას კომენტარებისა და შენიშვნების წერას ვანიჭებ წარმოსახვითი წიგნების შესახებ“. ამ მოსაზრების — მოკლედ წერის ამოლოგიის სულისკვეთებით თუ გავიმსჯელებით და ისე წავიკითხავთ მისი ავტორის თუნდაც ერთ კრებულს, მაგალითად „ბროდის ანგარიში“, დარწმუნებული ვარ, არ გაგიჭირდება იმის წარმოდგენა, როგორი არასრულწლოვანი სქელტანიანი რომანებისგანაა გამოდნობილი როსენდო ხუარესის — ხალხის აზრის არად ჩამგდები ფათურაკიანი კაცის, ანდა დევიდ ბროდის — ამაზონიის ველურთა შორის ქრისტეს სწავლების გამავრცელებლის, შოტლანდიელი მისიონერის ამბავი... \*\*\* ყველაზე უცნაური, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე კარგად საკითხავი წიგნი, რომელშიც აღწერილია თავგადასავალი დასტაქარ და დროდადრო გემის კაპიტან ლემუელ გულივერისა, დაწყებული 1699 წლის 4 მაისს ბრისტოლში და დასრულებული 1715 წლის 5 დეკემბერს დაუსრულში... ამ წიგნი თქვენ შეიტყობთ ვინ სახლობენ ბლუფუსკუსა და ბრობდინგენში, ლაპუტასა და გლუბდუბრიში, ვინ არიან ხეივინშიშები და სტრუბლრუგები, როგორ იწყებენ სახლის შენებას სახურავიდან და დასრულებულია ნევირ ბუროთომოდერები და როგორ იძახებენ საიქიოდან ალექსანდრე მაკედონელსა და ბრუტუსს გრძნელთა კუნძულის ბელადი. დაუჯერებლად კი მოგეჩვენებათ ლილიპუტების და გოლიათების, მფრინავი კუნძულისა და ცხენების მიერ მართული მხარის არსებობა, გაცეცინებათ სწავლულთა სურვილზე, გამოლაპარაკების, სიტყვების წარმოთქმის ნაცვლად ის საგნები წარუდგინონ მათთან საუბრის მოსურნეს, რომლებიც ამ სიტყვებით აღინიშნება...





რის გამოც ზურგზე ვეებერთელა ბარგმოკიდებულს უნევთ სიარული...  
მაგრამ მერწმუნეთ, კითხვის დასრულების შემდეგ, გაცილებით მეტი გეცოდინებათ ადამიანებისა და საზოგადოებების შესახებ, ვიდრე დიდი ირლანდიელი მწერლის, ჯონათან სვიფტის ამ წიგნის გადაფურცვლამდე იცოდით...

\*\*\*

ეს ის შემთხვევაა, ნაკითხვას კი არა, ხელახლა გადაკითხვას რომ ვურჩევ წიგნის მოყვარულებს, ისეთი რომანის კვლავ ხელში აღებას, რომელიც გადაბუღებული გვეგონია და თავსაც ვინონებთ მისი სიუჟეტის კარგი ცოდნით.

მისი გადაფურცვლა თხუთმეტი, ოცდაათი, ან ორმოცი წლის შემდეგ ისეთ რამეებს აღმოგვაჩენინებს ოთხი ფაქტორიანი კაცის თავბრუდამხვევ თავგადასავალში, რაც უფრო მეტად შეგვაყვარებს მის ავტორს და დავარწმუნებს მის უბადლო მწერლობაში.

სხვებისა რა მოგახსენოთ და მე არ მახსოვდა თემა დისერტაციისა, რომელსაც არამისი იცავდა იეზუიტი ბერის ხელმძღვანელობით, არც ის, რა ნიშნით შეურჩია პორტოსმა მოსამსახურედ პლანზე დ'არტანიანს, რომ აღარაფერი ვთქვა ისეთ უმნიშვნელო დეტალზე, როგორცაა დენის ბოთლების რაოდენობა, ათოსმა რომ გამოცალა გაიძვერა მეფუნდუკის სარდაფში იძულებითი გამოკეტვისას.

გადმოიღეთ თაროდან „სამი მუშეკერი“ და დატკბით ეპიზოდებით, რომლებიც გამოტოვებთ ან უგულისყუროდ ნაკითხვით ამ დიდ წიგნთან პირველი შეხებისას.

\*\*\*

უმადრესი მოთხრობაა „მამელუკი“.

ის ადგილი მიყვარს გამოჩენით, ქაიროს მახლობლად, სალადინის ციხე-სიმაგრის გალავანზე გადმოდგარი ომარ საიდი მთავარსარდალის დასახელებას რომ თხოვს იქ შეკრებილ მხედრობას...

სათითაოდ რომ გამოვიდინ უმამაცესი მეომრები, ერთი სუტის ალყას რომ იხსენებს, მეორე ასუანთან გამართულ ბრძოლას, მესამე პოტენტოტებზე ლაშქრობას, შეკითხვით რომ ამთავრებენ თხრობას, ვინ იყო ის კაცი, ვინც თავისი გაუგონარი სიმამაცით გარდატეხა შეიტანა მარცხისთვის განწირულ შეტაკებაში...

და ჯარი რომ გრგვინავს — მახმუტ!.. მახმუტ!..

იცოდა თავისი საქმე კონდრატე თათარაშვილმა — ბედის უკუღმართობის აღწერით დიდი სევდის აღმძვრელმა, ზემოთ ხსენებულის მსგავსი ეპიზოდებით მებრძოლი სულის გამღვიძებლმა მწერალმა.

\*\*\*

იმ ქვეყანაში, ორმოცდაათი წლის წინ რომ ვცხოვრობდით:

„...გვასწავლიდნენ ათეიზმს, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, პოლიტიკონომიას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას.

ზაფხულობით დაყვადით სამუშაოდ — ასფალტის დასაგებად, ცემენტით სავსე ვაგონების გადმოსატვირთად, ბეტონის საზელად. შესამონებლად ჩამოდიოდნენ ბობოლა კომკავშირლები და თუ რამე არ მოეწონებოდათ, ბლაოდნენ ხაფი ხმით.

ლექციებს გვიკითხავდა ნაფრონტალი პროფესორი, რომელიც იოლად ბრაზდებოდა და ყბაყანკალეული გვეუბნებოდა: თქვენისთანებს „ჰად ტრიბუნალ“ ვუშვებდი ომშიო.

ორმოცდაათიან-სამოციანი წლების სტუდენტების მიერ დიდად ნაქებ და ლამის აგორად შერაცხულ უნივერსიტეტის ბაღში ნაირ-ნაირი „სტრელკები“ ინიშნებოდა — „საქმის გარჩევით“ დაწყებული, „მოსანვეზე“ ფულის გასატანებლით დამთავრებული.

კვირის ერთი დღე მთლიანად ეთმობოდა სამხედრო სწავლებას. პედაგოგებად საბჭოთა არმიის რუსი ოფიცრები გვყავდა, სულ მაიორები და პოდპოლკოვნიკები. მათ შორის ქართველებიც ერივნენ, თუმცა, ისინიც რუსულად გველაპარაკებოდნენ. რუსი ოფიცრების უმრავლესობა არყის გადაკვრასთან მწყრალად არ იყო და ის სტუდენტები, ვისაც არ უჭირდათ და არც ეზარებოდათ მათი „დაკერვა“ ჩათვლის, ან ნიშნის მიღების მიზნით, ხშირად უმასპინძლებდნენ ლუდიოთ და ცეცხლოვანი ჭაჭით. ესენიც დიდი სიამოვნებით ყლურნავდნენ სასმელს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ უფროთხილდებოდნენ რა ოფიცრის ღირსებას, დამპატივებლებს არ უშინაურდებოდნენ და სახინკლიდან გამოსვლისთანავე იწყებდნენ დისტანციის აღდგენას, თუკი, რა თქმა უნდა, თავგზა არ ჰქონდათ დაკარგული სიმთვრალისგან.

სამხედროებზე გამაღიზიანებელი მეცნიერული კომუნიზმის ლექტორი გახლდათ, რომელიც გაუგონარ სიყალბეს გვასწავლიდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს ნათან შჩერანსკი ან ვარლამ შალამოვი იყო.

ამ ამბების მესხიერებიდან გამომდინარე მტკიცეულია, თუმცა ტკივილს მთლიანად აქარწყლებენ, ხოლო მოგონებებს უკან მიივრეკებიან:

ცარცმომარჯვებული, დაფისკენ მიტრიალებული, თითქოს საკუთარ თავთან მოსაუბრე ილია ვეკუა.

იმ ეპოქის ჭარმაგი მამაკაცისთვის უჩვეულოდ, განიერ ველვეტის შარვალსა და უჯრულა პერანგში გამოწყობილი კინო ჭოლოშვილი.

ძველი დროების ინგლისელი არისტოკრატებით მოსაუბრე და მოქმედი არჩილ ხარაძე.“



### ლია სტურუა

#### პარკი შამოღომა

წვიმა მაშინ მოდის, როცა თანამგრძობ მხრებს გულისხმობს, ან მტრულ კისერს, ხელებს, რომლებიც გინათდება მასთან შეხებისას და ისე წყნარად იწყებ ნერას, ყოველდღიური კავკასიონის გადალახვის გარეშე, თითქოს, ცხოვრება რბილი გახდა, დამთმობი, შემოდგომა ქრიზანთემების მხრიდან მოგობრუნა და არ გამოციებული დეპრესიის, წვიმის მუდმივი ობიექტებიდან განათებული ხელი გამოარჩია, რომლითაც წერ, თავი და გულიც მთელი დატვირთვით მუშაობენ, ოღონდ, კულისებში და სპექტაკლი მიდის და მაყურებელი ყავს, შენც, ამხელა კავკასიონს გადალახავ და სახლში ბრუნდები...

#### შპვი კვადრატი

ვინმემ იცის, რა წვლების ფასად: გამშრალი ხორხის, დაგრეხილი ხერხემლის, უძილობის, მიდისარ წრეხაზის უნაკლობამდე, თვითკმარობის დიაგნოზამდე! მერე რა უნდა ქნა? დარჩენილი წლები ისმინო, რა ნაღვლიანია მარტოხელა ღერძის მუსიკა? მაგრამ მზე არის, მყარი სამხრეთი, ტკბილ ყრუანტელზე ლელვის ხეები მუშაობენ, სულისთვის ცა გაქვს, შეხვდები სხვა სულს, ეთერული გულისხმიერებით დააკვირდები, ურთიერთობა არ გამოდის, სიყვარული, მითუმეტეს, პლატონურიც კი... აბა, სხვა რა? „შავი კვადრატი“? ყველაფრის ნული, ტკივილისაც... მაგრამ წრეხაზს როგორ მოკლავ? ფარგლის წვერიდან სისხლი წვეთავს! კიდევ კარგი, ნულსაც თავისი დათმობა აქვს — თეთრი ჩარჩო, ამ ფერზე რომ ფეხი დაგიცდეს? მერე უსმინე, რა ნაღვლიანია მარტოხელა ღერძის მუსიკა და ცაზე იფიქრე...

#### ოქტომბერი

ოქტომბერი, ერთი წითელი დღე კალენდარში, შაბათ-კვირის გარდა, მუშა თვე. ცაზე, უკვე, სიცივე იხორკლება, ზაფხული ხომ, ისედაც, თავისთავად, მოზეიმეა, ჩამხობილი ვიყავი შიგ, ალისფერი ამოვანი და ოქტომბერმა გამტეხა, სევდიანი ვარ, მოსახლეობა თავისთვისა... ამ თვეში, კიდევ, ქარის მოტანილი ბავშვები ჩნდებიან, იოლად, სწრაფად, რომ წითელი ფლომასტერებით დახატულ ქვეყანას მოუსწრონ. კიდევ სდის სისხლი? გადასხმებს კიდევ ელოდება შენგან? რასაც მარტო ბავშვები ხედავენ, მაგრამ იზრდებიან: — და რა მოხდა, როცა პოეზიის განხრით მუშაობს? ქვეყანა არანაკლებ ფერადი და მოზეიმეა, ვიდრე ზაფხულში. ჩემი სისხლი მოიხდინა? ალისფერი ბავშვები? მოსახლეობა თავისთვისა...

#### შიში

შიში სულ იყო. სიტკბოს მოლოდინში კბილები რომ გექავება, ასეთივე, შენზე მეტი, მაგრამ ლოგიკა არ ჰქონდა და იმდენი რამე შეგეძლო: ლექსის დაწერა, ქვეყნის გადაბრუნება, მინდვრების მხრიდან ამოტრიალება... ქართულ ბუკოლიკას: ბალახი, ცხვრები, აბრეშუმის მწყემსი, მარმარილო კი არ ემართება, შიგადაშიგ, ყაყაჩოები, ავტორის სისხლი... ქალებს მუცლები უვარდებათ რკინიგზის ლიანდაგებთან. ავტორები, ზოგიერთები, ამ რკინიგზას იყიდებიან, ქალებს შეიყვარებენ: უსისხლო კაცები უმუცლო ქალებს... რამდენი ყაყაჩოს მერე იწყება ექსტაზი? ვიღამ იცის? შიშმა ლოგიკა გაიკეთა, ტყუილს მხატვრულობა ამოენურა. გიყვარს ვინმე? მოკალი, ლაპარაკი კილომეტრებს იქიდანაც შეიძლება, ზეპირი რომანი, მარტო, „და სხვ.“ ასთან, მიკერძობამ ტკივილი იცის, ტკივილმა შიში: 200 სანთლიანი ნათურა გაშინებს, ხეების ნაბიჯები ქარში, მანქანებში ჩალაგებული კმაყოფილი სახეები, ეკზალტირებული პოეტები, დაკნენილი ფრჩხილების ძირში ყაყაჩოების პერსპექტივით, როცა ათვლის წერტილი შიშიდან იწყება! სახლებს დიდი, ხავერდის თვლები აქვთ, საიდანაც ამინდი კი არ ჩანს, მარტო შიში, შიში 2020!

#### აპოკალიფსი

ჩემი მხატვარი წავიდა ხომ არ მომკლავდა, დამხატა და კედელზე დამტოვა, მეთვალყურედ მაყურებელი მომიჩინა, მაკონტროლებენ: ცეცხლი მინდა გავაჩინო, ხანძრის დეკორაციას მიშენებენ, სიტყვით ღობე-ყორებს მოვედო, ჯვარდინი რითმის ჩარჩოში მსვამენ, სანოლში მინდა „სასიკვდილო სარეცელზე“ და მუცელში რეფლექტორი ჩამირთეს, ელექტრობას თავისი კანონები აქვს, დაუკითხავად ვერ მოუკვდები... რახან ასეთი მისტიკაა გარშემო, ა. შანიძის გრამატიკიდან რომ მოქმედებითი გვარის ზმნა ამოვიღო და ფეხებში ჩავიდგა, ვილაცამ დარეკოს კარებზე, დავიწყებულმა, ვისაც პოეზიის კი არა, დამყოლი ხასიათის გამო ვუყვარვარ, დავლიოთ ჩაი, ვილაპარაკოთ არაფერზე, ყოველი მეორე არაფრის უკან იდგეს ჩინური აპოკალიფსი... დავემშვიდობებით ერთმანეთს, ის თავის ძნელ ყოფაში წავა, მე, ისევე, კედელს დავუბრუნდები, მაინც, კარგი მხატვრის დახატული ვარ...

#### ლიფტი

ხომ ასეა: ღმერთი უნდა იყოს შენში, ან ეკლესიის ნატეხი, მაინც და თუ ლიფტი დადის ქვევიდან ზევით: ფეხების ნორმალური ზმნებიდან შუბლის არანორმალურ მეტაფორებამდე? აშკარად დადის, ცხენები ყავს შებმული: მხატვრული და მფრინავი, თუ დროგის ცხენები, არ ვიცი. დადის ღვიძლის შემოდგომაში, სისხლის ფორმულაში, აქედან დრომაც შეიძლება, წითელი, მაგრამ ლიფტი რევოლუცია არ არის, მზე რომ გაითიშა, მაშინ — გამოვიგონე, თელასის ხუმტურებზე დამოკიდებულმა, ისიც მეტაფორაა, ოღონდ, რეალისტური და უხერხული, როგორც ცხოვრება, ნამდვილი ცხოვრება, ლიტერატურულს პანთეონების მიწა აყრია... ლიფტის თემას რომ დავუბრუნდე, დადის, დადის, ზიდავს მეტაფორებს, ჰიპერბოლებს, მათ თანმხლებ ზმნებს, რომ ბოლოს ღმერთი დამანახოს, მხატვრული ხერხებით გადმოიბიროს...





სოფო წულაია

**მინი პოემა ოთხზე**

„შენ ერთადერთი ქალი ხარ, ვისაც სანადიროდ წავიყვანდი“...  
ალექსანდრე ვამპილოვი, „იხვებზე ნადირობა“

**N1**

მითხრეს, მოკვდაო...  
 ახალი ამბავი მატლივით მომედო მთელ სხეულზე,  
 საკუთარ თავს ხელეხი ნელზე შემოვხვიე —  
 ვცდილობდი, გვერდში დგომით თუ თანადგომით მაინც გადამერჩინა.  
 — არ დამთავრებულა ამით ყველაფერი — ყურებში ჩავეყვირე  
 და მისთვის ქვასავით გაყინული ხელების გათბობას შევეცადე;  
 — დიდი ხანია, ყველაფერი დამთავრდა — ამოიხავლა,  
 თან სხეულიდან ტკივილების ჩამოფერთხვას შეეცადა...  
 მიყვარდა ჩვენი ერთად ყოფნა — სხვასთან ყოფნა არ ვიცოდი, როგორი იყო.  
 უნიჭო, პედანტი მასწავლებელი რომ ვყოფილიყავი,  
 ხელში წითელი კალამი მჭეროდა და ჩვენი ამბის გასწორება დამვალეობდა,  
 ყველა სიტყვას, ყველა სურვილს, ერთად ყოფნას თუ დაშორებას გადავხაზავდი,  
 ზემოდან კი ჩემს ბევრად ნამდვილ, ბევრად ცოცხალ ისტორიას გადავანერდი.  
 არ ხდება ასე...  
 მე რომ ასეთი არ ვყოფილიყავი,  
 მე რომ სხვანაირი ვყოფილიყავი,  
 იქნებოდა კი სხვანაირი ჩვენი ცხოვრება? —  
 რა დროს ამაზე ფიქრი იყო, მაგრამ მაინც სულ ამაზე მეფიქრებოდა.  
 ისიც ვიცოდი, რომ ყოველ დღე თითო გრამი აკლდებოდა  
 ჩემს ერთ დროს ლამაზ, სუფთა, დიდ და ძლიერ სიყვარულს.  
 ხშირად ვფიქრობდი:  
 არ აჯილდოვებს დედამინა თავისუფლებით ცოცხლების სულებს —  
 ჩვენ ცოცხლები ვართ, ამიტომაც არ გაგვიმართლა;  
 მერე ის მოკვდა, მე კი გადავრჩი —  
 ეს კი უკვე სულ გზა და ისტორიაა  
 და ოდნავაც არ უხდება იმაზე ფიქრი,  
 ერთმანეთის შხამიან ეკლებს სულებით რომ მილიონჯერ გამოვდებივართ  
 და ერთმანეთის ტკივილები გადაგვდებია...  
 მახსენდება ჩვენი დღეების მომწარო სიტკბო —  
 თბილი საბნის თავზე ფრთხილად გადაფარება,  
 ფრთხილი გადასვლა ერთმანეთში —  
 როგორც მელნით გათხაზილი, სველი სიტყვების  
 თხელ საშრობზე ოდნავ ფერმკრთალი გამეორება...  
 კარგად ვიცოდი, იქ იქნებოდნენ, აუცილებლად დამინახავდნენ,  
 და იქნებ, რამე ეკითხათ კიდევ ჩემზე ან ჩვენზე,  
 მაგრამ მე უკვე აღარაფერი მქონდა სათქმელი...  
 ალბათ, მარტო ის, რომ მათზე მეტად მე მიყვარდა,  
 თუმცა სიმართლე არავინ იცის — და იქნებ, მათაც ასე ეგონათ,  
 მაგრამ რა ვიცი, მათ რა ეგონათ — ამაზე ხომ არასდროს არ გვისაუბრია?..  
 დაკრძალვაზე კი, თითქოს, ჯინაზე, სამივემ ერთად დავაგვიანეთ —  
 მაშინ მივედით, როცა უკვე მინას აყრიდნენ...

**N2**

ისე მიყვარდა ის თეატრი,  
 სადაც ვმღეროდი ცნობილ მიუზიკლში იმაზე,  
 თუ როგორ ვუყვარდი კაცს, რომელიც ერთხელაც კი ვერ დავინახე...  
 ამ შენობაში ყველა სცენა, ყველა კედელი  
 ჩემს ფერმკრთალ სახეს ირეკლავდა და ასხივებდა,  
 ყველა აფიშა მხოლოდ ჩემზე ყვებოდა ამბებს,  
 და ვანათებდი...  
 მიხაროდა, რომ მიმართლებდა  
 და ყველაფერი ასე კარგად გამომდიოდა.  
 სიყვარულისაც, თავიდან, თითქოს, უფრო მჯეროდა —  
 ზუსტად ვიცოდი, რომ არსებობდა,  
 ისევე, როგორც ჭაობის კალა — ყოველ საღამოს რომ მელოდა  
 საგრიმიოროს დალუქულ კართან გადანოლილი...  
 ჯერ ვანათებდი, მერე კი ჩავქრი — გადაინვა ჩემი ცხოვრება —  
 სხვებისთვის ასე სანატრელი — ჩინიანი და მაინც უჩინო,  
 უსიყვარულო, უსიცოცხლო და მარტოსული.  
 ახლა კი ვდგავარ და ვუყურებ, როგორ მარხავენ კაცს,  
 რომლისთვისაც დიდი ხნის წინ ვარსკვლავებს ვწვევდით,  
 ცხვირწინ ვუწყობდი და ვითხოვდი მხოლოდ დანახვას,  
 მან კი ვერც ერთხელ ვერ დაინახა...  
 და მახსენდება, როგორ ფეთქავდნენ მისი თითები ჩემი კაბის ქვეშ,  
 ტკივილები კი თვალებიდან უცვივდებოდა  
 და ფიქრებზე უსინდისოდ მაცოცდებოდა —  
 ნიხლებს ურტყამდა ჩემს სურვილებს  
 და ქვეცენელისკენ მიმაქანებდა,  
 მე კი მაინც ვახერხებდი, მისთვის მეცოცხლა...  
 დღეს იმის ნაცვლად, ვიფიქრო, რომ ის აღარ არის,  
 ვფიქრობ იმაზე, ასე როგორ დამაგვიანდა,  
 და სიყვარული ასე როგორ გადავიყვარე,  
 და ვინც მიყვარდა, ასე როგორ გადავიყვარე  
 და მას მერე ველარავინ ვერ შევიყვარე;  
 ვდგავარ, ვუყურებ, როგორ მარხავენ  
 და მეტირება იმაზე, რომ უკვე დავმთავრდი...  
 იმაზე ბევრად ადრე დავმთავრდი, ვიდრე შემეძლო  
 ან მეგონა, რომ დავმთავრდებოდი...  
 და მრცხვენია,  
 წარმოიდგინეთ, მარტო მრცხვენია —  
 სხვას არაფერს ვგრძნობ,  
 მარტო დიდ სირცხვილს იმის გამო,  
 რომ დაკრძალვაზე უსინდისოდ დავაგვიანე...

**N1**

დიდ ხანს ვუყურე მათ სიყვარულს —  
 თითქოს, შორიდან, მაგრამ მაინც ძალიან ახლოს ვხედავდი ამბავს,  
 სადაც არასდროს არ ყოფილა ჩემთვის ადგილი,  
 მე კი მინდოდა  
 და ვცდილობდი,  
 რომ მის ამბავში,  
 რომ მის ტკივილში,  
 რომ მის ფიქრებში,  
 რომ მის სიზმრებში,  
 რომ მის სხეულთან,  
 რომ მის სულთან  
 იმაზე ბევრად უფრო ახლოს ვყოფილიყავი,  
 ვიდრე შემეძლო...  
 თუმცა სურვილი, როგორც ვიცით, არაფერს ნიშნავს  
 და ასეთ გრძნობას — უადგილოს, უმისამართოს,  
 მარტო ის მოაქვს, რომ ყოველ ჯერზე იბადები და იქვე კვდები...  
 მეც ბევრჯერ მოვკვდი  
 და მაშინ, როცა ამდენჯერ მკვდარი უყურებ სიკვდილს,  
 თან მასთან ერთად, ვინც ასე გძულდა,  
 ხვდები: არ არის ძალიან რთული  
 და არც ადვილი...  
 და თუ ოდესმე ისე შევხვდებით  
 და მოვუყვები, როგორ მიყვარდა,  
 ის არც მომისმენს —  
 მას ხომ არასდროს არაფერში არ დასჭირდება,  
 არც არაფერში გამოადგება ეს სიყვარული...

**N2**

მე შემეძლია, სიყვარული იმგვარად დავდგა,  
 ეჭვი ვერავინ შეიტანოს მის სიცრუეში  
 და სცენის მსგავსად ცხოვრებაშიც გავითამაშო  
 ჩემი გრძნობები, სურვილები და ოცნებები,  
 რეალურად კი ჩემი ცხოვრება  
 ფუტკარივით რომ თავს ეხვეოდა მის გზებს და ფიქრებს  
 და მის გარდა რომ არავის არ ეკარებოდა,  
 ნელ-ნელა ჩაქრა...  
 ახლა კი ვდგავარ და ვუყურებ, როგორ მარხავენ  
 და ვგრძნობ, რომ სული თაფლის ნაცვლად შხამით მევესება.  
 დანარჩენებიც აქ არიან — ჩემსავით დუმან,  
 ალბათ, ფიქრობენ, რომ ოდესმე დავგიბრუნდება...  
 ნეტა, პირველი ვინ გაიხედავს მის დაძახილზე,  
 ნეტა, პირველად მისკენ რომელი შეტრიალდება?..

**N3**

მე ის მიყვარდა — სხვა არაფერი არ მაქვს სათქმელი...

\*იგულისხმება ფრანგულ-კანადური მიუზიკლი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, ვიქტორ ჰიუგოს ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. მუსიკის ავტორი — რიკარდო კოჩანტი.

**მკვდარი თევზების აპოკალიფსი**

ყოველ დღე მოდიხარ  
და თვალებიდან თითო თევზს მაცლი,



თავს მოაკენეტ, მერე კი მათ მკვდარ სხეულებს ისევ ფართოდ დახუჭულ თვალებში გადაუძახებ, რის შემდეგაც ხელებს კარგად იბან, თევზის სუნმა სადმე რომ არ გაგთქვას და ბრალი არ დაგდონ ჩემს სიკვდილში. რამდენი ხანია, გაყინული სისხლით და ფარფლების ქაფით იბერება ჩემი თვალების წყალამომშრალი, გაბზარული აკვარიუმი, რამდენი ხანია, მათში არავის ჩაუხედავს, რამდენი ხანია, არავის ახსოვს, რომ აღარა ვარ. ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა მიხვდი, რომ არ გყოფნიდა შენი ცხოვრება და ჩემი ამბის შესწავლა გადასხმა სცადე და ჩვენი გზების ერთმანეთზე გადაბმა სცადე და ჩემი სულის სხეულიდან ამოთხრა სცადე და შენი სულის ჩემს სხეულში დამარხვა სცადე... — სულ ერთნაირი ამბებია, სულ ერთნაირი სტუმრებია, სულ ერთნაირი ტკივილია... გაზის და დენის განულებულ ქვითრებს ვინახავ და ვხვდები, რომ გადასახადების გარდა არაფრისგან შევდგები. გამოვიძახებ იმ გოგოს სულს, თითებს რომ იმტკრევს, როცა ვინმე უყვირის და ყველაფერზე ეტირება, იმაზეც კი, რაც არ ყოფილა — თქვი და მოვედი; წარსულიდან ამოვალაგე ჩემი ამბები, შენ კი მისმენდი და გხიბლავდა, რასაც ვყვებოდი... შენც მომავლიდან ამოვალაგე შენი ამბები და მომიყვიე და მეც მხიბლავდა, რასაც ყვებოდი და უცებ მიხვდით, რომ ერთმანეთი ისევე გვაკლდა, როგორც მარილი უგემურ სადილს და ასე დავრჩი შენს ამბავში და ასე დარჩი ჩემს ამბავში და ასე დავრჩით ერთმანეთში და მეგონა, რომ დიდხანს გასტანდა ეს დარჩენა თუ გადარჩენა, მაგრამ შენ მიხვდი, რომ სხვა ამბებიც შეიძლება შენად აქციო, ამბები, მე რომ აღარა მაქვს, სხვას კი ექნება... მე შენი ამბის უფერული პერსონაჟი ვარ, მე შენი ამბის გარდაცვლილი პერსონაჟი ვარ, მე შენი ამბის უამბებო პერსონაჟი ვარ და გეზარება, გამაგრძელო, ან მომისმინო, წასაშლელად კი ვერ მიმეტებ და ყოველ დღით თვალებიდან თითო თევზს მაცლი... არ მრავლდებიან ჩემი თევზები — მარტო მკვდარი თევზები მრავლდებიან და მოქცევისთვის უხმაუროდ ემზადებიან — ერთხელაც, მკვდარი თვალებიდან გადმოხეთქავენ და სამუდამოდ ჩამარხავენ გაყინული სხეულების უსულო ზღვაში და შენ მოკვდები და ეს იქნება მკვდარი თევზების შურისძიება და ჩემს გარდა არავის არ ეტკინება შენი სხეული.

**რეალური შოუ წარსულიდან**

საყვარელი რეალური შოუს საყვარელმა გამირმა ტელეეკრანიდან 17 წლის მერე პირველად გაგვიღიმა და ჩვენ — მასავით 80-იანებში — ჩერნობილამდე ცოტა ხნით ადრე ან ჩერნობილიდან ცოტა ხნის მერე დაბადებულებმა, თითქოს ნაცნობ, მაგრამ მაინც ძალიან უცნობ სახეზე აფეთქებული ნაოჭების ერთმანეთზე შენარცხების ხმა საკუთარ სხეულებსა და სულებში ვიგრძენით და ჩამოიმსხვრა, თავზე დაგვემხო ჩვენი ბავშვობა — სევდიანი, ტკივილიანი, მაგრამ მაინც ძალიან წმინდა. ის ილიმოდა... იქნებ, ეს იყო შურისძიება წარსულის გამო: მას ხომ მაშინ ცოტა თავისი, უფრო მეტად კი სხვების სურვილით, ჩვენი თაობის მარტოობის გამოსაკვებად, ჩვენი თაობის ინტერესის გამოსაკვებად, ჩვენი თაობის სურვილების გამოსაკვებად... კამერები ჩამოჰკიდეს ახალგაზრდა, ლამაზ სხეულზე — ზუსტად ისე, როგორც ნაძვის ხეს მინის ბურთები და საახალწლო ნათურები და დაავალეს, ეთამაშა და დაავალეს, მოვეხიბლეთ და დაავალეს, ჰყვარებოდა... და მოახერხეს, გვეთანაგრძნო და მოახერხეს, გვეთვალთვალა და მოახერხეს, გვეყვარებოდა მისი ცხოვრება. და ვუყურებდით მის სიყვარულს ათასი მზერით და ვუყურებდით მის სურვილებს ათასი გულით და ვუყურებდით მის ცხოვრებას ათასი შურით და აღვიქვამდით მის ოცნებებს, როგორც საკუთარს... მერე კი გაქრა, ან გააქრეს — ზუსტად არ ვიცით... ჩვენ კი ვერც მიხვდით, რომ აღარ იყო, რადგან გვეგონა, ისევ იქ დარჩა, სადაც დავტოვეთ, ისევ იმ გზაზე მოვიარებდით, გამარჯვებისგან აფეთქებული თვალებიდან ბედნიერებას და სიხარულს რომ ასხივებდა, და ზურგმეტყვევით ნამოვედით მისი სიგრძიდან, რადგან გვეგონა, აღარ დარჩა ჩვენთვის ადგილი მის ცხოვრებაში, ის კი გვიცდიდა, — ალბათ, ეგონა, ერთხელ მაინც მივაკითხავდით... და გადაფურცლა კალენდარმა 17 წელი — როგორც ერთი თვე და გადაშალა იმ დღეზე, როცა ტელეეკრანის მონიტორიდან მან გაგვიღიმა და ნაოჭები აფუთფუთდნენ ნაცნობ სახეზე, თვალებიდან კი წარსულის ხმა გადმოედვარა —

მისი კი არა — ჩვენი წარსულის — განიერი ჯინსის შარვლებით, ჩამოფხატული შავი ქუდებით, ნითელი, ან შავი ბენდენით, დიდი ზომის საყურეებით, საქამრეზე დახვეული რკინის ძეწკვებით, ჩვენი ბავშვური გალიმებით და სიყვარულით — ერთმანეთი რომ ასე გვიყვარდა და ოცნებებით — ერთმანეთსაც რომ ვერ ვუმხედდით, და სურვილებით — ერთმანეთის სურვილებთან გადახლართულით... — თქვენ ის გვიყვარდათ? — ეკითხება წამყვანი ქალი ჩვენი ბავშვობის უცნაურ აჩრდილს იმ გოგონაზე, შოუში რომ თითქოს უყვარდა... — ეს შოუ იყო, არ გვეყვარებია ჩვენ ერთმანეთი — ამბობს და ვხვდებით, რომ უყვარდა — სხვაგვარად არც შეიძლებოდა — ჩვენ ხომ გვჯეროდა, ან გვაჯერებდნენ, რომ უყვარდა? დაჯერება კი ბევრად მეტია, ვიდრე სიმართლე... ჩვენც ხომ გვიყვარდა — ისიც და სხვებიც და ერთმანეთიც, მაგრამ მერე გადავიყვარეთ და მას მერე ველარავინ ვერ შევიყვარეთ, მაგრამ გვჯერა, რომ ერთხელ შევძელით, ახლა კი ვერა, მაგრამ მაშინ გამოგვივიდა... ახლა კი ვსხედვართ ბავშვობის გმირის სახის ახლო ხედის პირისპირ და მასთან ერთად თვალებიდან ბავშვობა გვცვივია და მასთან ერთად თვალებიდან წარსული გვცვივია და მასთან ერთად თვალებიდან ტკივილი გვცვივია... ის აღარ არის — თითქოს, დამთავრდა ან იქ დარჩა, სადაც დავტოვეთ, მასთან ერთად კი ჩვენც დავმთავრდით... და ამ უბრალო ისტორიაში არის რაღაც ძალიან დიდი, იმაზე დიდიც, ვიდრე იყო ჩვენი ბავშვობა.

**კვერნებშებმული ეტლი**

კვერნებშებმული ჩვენი ეტლი ტბაში დაიხრჩო... ყველას ეგონა, ჩვენც შიგ ვისხედით, ერთმანეთისთვის ხელი გვეკიდა — ასე ცვდილობდით ერთმანეთის დაზეპირებას — თითქოს, გვინდოდა, ერთმანეთის სხეულებში შეგვენახა ჩვენი სულები... არადა, იმ დროს, როცა ჩვენი ეტლი დაიხრჩო, ფანჯარასთან ვიდექი და თმას მივარცხნიდა შავი ჭინკა ზღარბის ქაცვებით და მეშინოდა, დაჩხვლელი ზურგზე გამოსულ ლაქებს შენი სახე და სახელი არ წამოსცდენოდათ; იძირებოდა კვერნებშებმული ჩვენი ეტლი, მე კი თვალს მჭრიდა ღამის სიშავე და სხვისი გლოვის უჩვეულო ფოიერვერკები... ამოტივტივდა კვერნებშებმული ჩვენი ეტლი და თავდაყირა გასრიალდა ყინულის ტბაზე, ქვეშ მოიყოლა ჩემი ბავშვობა და ფიგურული სრიალის გაკვეთილები. ეგონათ, თითქოს, ერთად ვისხედით — შემურდათ ჩვენი ერთად ყოფნა, ერთად სიკვდილი... გვიანლა ნახეს, ცარიელი რომ იყო და გვიან გაიგეს, რომ დამასწარი — სულ სხვა ტბაში, სულ სხვასთან ერთად... შენ იხრჩობოდი, მე კი ვიდექი ფანჯარასთან გველის თვალებით და თმას მვარცხნიდა შავი ჭინკა ზღარბის ქაცვებით.

**ჰორორის ალიტერაცია**

ფოლიანტივით ფურცლავ ჩემი ფიქრის ნაფლეთებს, საფეთქლებთან პირდაფრენილ, სიფრიფანა სიზმრების ფორიაქს მიფრიალებ, თავს ფერფლით, ფქვილით და ნაფტალინით მიხუფავ, გულს ფანქრით ისე მიჩხრეკ, როგორც პატარა ბავშვი ჩხრეკს ხოლმე სამსახურიდან ახლადდაბრუნებული დედის ჩანთას... ჩემზე მეტად შენ გეშინია, რამე ისეთს არ გადააწყვედ, ჩემს საფრთხობელა ანფასზე რომ დაგაფიქრებს. შენ არც კი იცი, როგორი ვარ — როცა ერთად ვართ, გულს ყოველთვის თვალები ასწრებენ და სუდარასავით აფარებენ ქუთუთოებს სარკისფერ სხეულს — ჩემში ველარასდროს რომ ვერ ჩაიხედო. შევრიგდებოდით, აბა, როგორ ვერ შევრიგდებოდით?! გეყვარებოდი, აბა, როგორ არ გეყვარებოდი?! მაპატიებდი, აბა, როგორ ვერ მაპატიებდი?! — შენ ხომ არც იცი, როგორი ვარ, რას ვგრძნობ, რას ვფიქრობ შენსა და ჩემზე; მას შემდეგ, რაც ერთად ყოფნა მოვიფიქრეთ, ჩემს დატოვებულ, ქორბუდა სურვილებს ძირშივე ვიმტვრევ, გზები რომ არ გამოისხას და სხეულზე შემოტმანნილი ჭაობის ლაბირინთიდან გამოლწევა ვერასდროს შეეძლო. რეტდასხმული სიკვდილის მინოტავრი შესასვლელთან წევს — ყველაფერს ღეჭავს, რაც კი ჩემში შენამდე და შენ მერე იყო, ან შეიძლებოდა, ოდესმე ან ოდესღაც ყოფილიყო. უნდა მიხაროდეს, მე რომ მე ამირჩიე?! მაშინ რატომ მიდულს სული, რატომ ცდილობს, სხეული ხელეჩოთი შუაზე გამიხლიჩოს, მერე დამსკდარი კაპილარები ამოშაცალოს, ერთმანეთზე გადაადნოს, ჩვენს სიყვარულს ყელზე შეაბას, ძლიერად მოუჭიროს, ოსტატურად მოახრჩოს და სამუდამოდ გამოაღწიოს მემ შენიდან — როგორც სახურავქალი სასახლიდან. იქნებ, მერე მაინც გავბედო და გითხრა: — ნუ ფურცლავ ჩემი ფიქრების ნაფლეთებს, ის ფოლიანტი არ არის, ნუ ფურცლავ, ძალიან დავილაღე!..



ნაწილი პირველი  
იუველირი

სეროფიანის სტუმარი

აკოფ სეროფიანი ხარფუხის ერთს სათაგურსავით ოთახში დაიარებოდა და პორტუგალიის სახლზე ფიქრობდა. შიგ რომ მადამ პორტუგალია სარკეში იხედებოდა, იმაზე. მარა განაწერილს მისწერდა და ზედ ოთხკაპიკიან მარკას დაანებებდა, რათა დილით, და უფრო კი შუა დღეს, პორტუგალიას ქალს ფოსტალიონის მოტანილი ბარათი მიეღო და სუფოფიციდან წვნიანს რომ უსხამდა მოახლე, ამის კოვზით ალუბისას ჩაეტანებია აკოფას მონერილი. რომ ჩაეყლაპა ბულიონში ქათმის ნაჭურსა და კარტოფილის კუბიკთან ერთად, ზედ კამის წინწკლით, აკოფას სიტყვებიც და რომ მიენერა კიდევაც, განა შიგ გულის ტანჯვას ეტყოდა რომ წყალში იდგა და ცეცხლი უკიდია? არა.

აკოფა ქურდი იყო და მიზანში იმ ოთახის ცეცხლ-მიუკარებელი შკაფი ამოუღო. შიგ სხვა სიმდიდრესთან ერთად ერთი მეტად ძვირფასი ბროშა ინახებოდა, ფრანგი ოქრომჭედლებისა. როცა იმას მადამ პორტუგალია გულზე დაიბნევედა და თეატრში გამოაჩენდა, ვიღას ახსოვდა „ჰუგენოტები“, ყველას თვალს აქეთ გამოუბოდა, სასწავლებლიდან გადებულ სტუდენტსაც, ობერ-კონდუქტორსაც, გალიორკიდან რომ იცქირებოდნენ, პარტერში მყოფ სეკრეტარსაც და ლოჟიდან ბინოკლით მაცქერალ სტაციკი სავეტნიკსაც კი.

აკოფაც ამათ რიგში იყო. ეს ბროშა ახლა გონებას უნათებდა და ამ სახლს, ბებუთოვის ქუჩაზე, ახლა თავში გოჯებით ზომავდა.

განა რევოლუციით აპირებდა შიგ შევარდნას, ასასისთვის იარაღის ტარით თავის გატეხვასა და ყვირილსა და დამსხვრევას რამისა. ანჯამების ამომტყვევას და შელენვას კარისა ზედ ოქროსფრად დანერული გვართი პორტუგალია. არა. განა შარაგზის ყაჩაღი იყო. ის მალულად შიგ შეპარვას აპირებდა. კიდევაც იმის პარკეტზე ფეხაკრეფით სიარულს და იმის ჭრაჭუნის არ შემჩნევას, რაკი გაეგო, რომ ამ ოჯახის ჯალაბობა, სულ მთლიანად და ერთიანად, ერთ კვირაში დიდ წვეულებებზე აპირებდა წასვლას. თუმცა, რაკი იქ ნამეტანი ბევრი ხალხიც არ იქნებოდა, ბროშის გამოჩენა არ იყო უცილობელი და იმას შკაფში დარჩენა ენერა.

მოახლეებს იქით სძინავდა და თუ ვინმე პაკლონიკი ავა კიდევ, მთვარის ცქერასა და კისკისში იქით ჰკოცნაობენ. ასე რომ, აქეთ სულ ამის ბურთი და მეიდანია. კი, ფრთხილად და ფეხაკრეფით, ნაკლებ ხმით და სუნთქვით, სიარულია საჭირო და ამის მეტი რა იცოდა. მე რად მინდა ფურცელი და დავთარი, ჩემი შკოლაა შეითან ბაზარი. ხუთი წუთი ეყოფოდა იმ შკაფის გაღებას. ეს არ იყო, კატა აგეგდო და ის სარეცხს დაკიდებოდა კლანჭებით და კუდზე გამობმული თოკით უკან ჩამოგეჭაჩა იუბკები და პალტოები. აქ სხვა თითები უნდოდა. და ეს თითები აკოფას ჰქონდა. გინდა გერგანგერის შპროფის ქილა გაეღო და გინდა ასეთი შკაფი. როცა იუზბაშევის სახლი გასტეხა, სასამართლოს გამომძიებელი დრაგენევიჩი სულ ტვინს იტეხდა, როგორ გახსნეს ანგლოური „მილნერის“ შკაფი. ამის მოყოლას ახლა არ ვაპირებთ.

აკოფამ თითები დაატაკაქუნა. კი იყო, საქულა არ დაეჭირათ, გამოადგებოდა ქვემოთ, ქუჩაზე სადარაჯოდ, ესე ვინ დაუსტვენს, აბლულ ბალივითაა. ამ ფიქრებში აკოფამ თან პაპიროსი „ალიტურა-არრეგო“ მოსწია, ასევე მოპარული და კოლოფით ნამოღებული პოლიცემისტერის ოთახიდან, თან განჯინა გამოალო და შერჩეული გასაღებების ჩხაკუნს დაიწყო. კაი მსხვილი შეკვრა იყო, გამოსადეგსა და საჭიროს არჩევდა.

ამაში რომ იყო, განჯინაშივე ალბომს შეხედა, კიდევ იყო იქავე შუშით კარბოლის სიმჟავე, წითელი კვერცხი, ტოლრა, უთო და მტკერი. მერე ისევ შეხედა ალბომს, მერე აღარ დაახანა და გამოიღო. არც თუ სქელი იყო.

აკოფას რა არ მოეპარა, რა არ დაეცა-ლა სახლთხუციშვილთან პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან და, აბა, რამდენ რასმეს გაუვლია მის ხელში ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა პირველად, სულ ჯერ კიდევ

კატებსა რომ აწვალბდა, მანიევის სპარსული ხილის დეპო გაქურდა და უჩვეულო საკბეჩი და მოსაწყვეტი იყო იქ ბლომად. თითქოს ის ნაყოფი მოეწყვიტა, რის გამოც მერე ევა და ადამი გამოყარეს სამოთხიდან და ნაირგვარი რამ დაუხვდა იქ, სხვა მხარიდან მოზიდული და ის, რაც ტფილისის ახლოში და არც გლდანის ბაღებშიც არ იყო და გერმანელთა კოლონიებშიც ასეთი გემოები არ იზრდებოდა და იტალიური მანდარინი და ტურკესტანიდან ნესვი და რას მიხვდებოდი, ასე რა იყო და ასე დიდოდა გემო და სურნელი შორი მიწებისა და ათასი ზღვისა. მერე სამოსიც ბევრი მოეპარა ეზოში დაკიდებული, ჭიქა და ჯამი, ღია ფანჯრიდან რასაც მიწვდებოდა და სახლების ქურდვა რომ დაიწყო, ხომ ოქროული და ვერცხლი გამოჰქონდა რამდენი და არც საათს იტოვებდა, არც საპა-

ად, — აი, შენ და ანიჩკას ხომ ვუყიდე საპოჟები, შენ კი, აბა, ბარაბანის გარეშე როგორ იქნები.

— ვისწავლი, მამიჯან, ვისწავლი, — აღმოთქვა აკოფამ, გალიამი იადონმაც გამოილო ხმა, ასკინკლით შემოვიდა უმცროსი ძმა მატროსის სამოსითა და მაღალი გეტრებით.

ამ დროს კარზე კაკუნს გაისმა. კაკუნის ნამდვილი იყო, ხარფუხის უბანში. აკოფა უმალ მოსწყდა უჩიტელის მოსმენასა და დაჯერებას, მთელ იმ აბაჟურიან ოთახებს და მაგიდაზე გაშლილი პასეანის ცქერას, ის ლამაზი ქალი, მოვლილფრხილებიანი, რომ ამოატრიალებდა.

— ყვავის კიკო მომივიდა, ყვავის კიკო, მამან, — ამბობდა ის და აკოფამ უმალ დაჰკეტა ალბომი, უმალ შეჰკეტა ის უკან განჯინაში და აქეთ იქით ვირთხასავით იხედე-

აბო იაშალაშვილი

ალ-ტაბარის იაგუნდი

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



პიროსესა თუ ქინძისთავს ზედ ბრილიანტით. არაფერზე რჩებოდა თვალი და გადასცვლიდა ამას სასაფლაოსთან იქნებოდა თუ ფეთხანის კიბესთან და ებრაელი იქნებოდა ამის მერე სხვა გუბერნიებში გამგზავნი და გამყიდველი, თუ სომეხი, ქართველი, თუ პოლონელი, გამოართმევდა საკრედიტო ბილეთებსა და უბის ჯიბეში ჩაიწყობდა. ეს ალბომი კი დაიტოვა. თამბაქოს ფერი, ზედ ფრანგულად ამომჯდარი ასოებით ოქროს ფერად დანერილი და შიგ უცხო ხალხის, უცხო ცხოვრებებით.

აჰა, ის უღვამიანი ლამაზი კაცი, იქაც დარბაისელი ქალი, ჩიხტით შემოსილი, აქტრისა ტრიკოში, ხის ცხენზე მომხტარი ბიჭი. ამას რომ გაშლიდა, აკოფა იმ ერკერიან სახლში ხვდებოდა ფიქრით და ლათინურსა სწავლობდა მასწავლებელთან. — რად არ ისწავლე კანკლედობანი, — უჯავრდებოდა ეს ჩიხტიანი ქალი. — ლეოლრაფიას ვსწავლობდი, ანგლიიდან იქით მივდიოდი, აფრიკისაკენ. — რა ხანი უნდა ამ სვლას? — დაუნდობელი იყო მასწავლებელი. — ევროპას აკრავს უზარმაზარი ზღვა-წყალი, ატლანტის ოკეანე, — იცოდა, განა არ იცოდა.

— ლათინურის გარეშე როგორ იქნება, — ჩაერთო ამ დროს ის უღვამიანი კაცი, — აბა, როგორ გინდა, ცირკის დირექტორი გახდე? — ეგ ზამენისთვის ვისწავლი, მამიჯან, ეგ ზამენისთვის, — დაჰპირდა ის ამ მაღალ უღვამიან კაცს. — ხოდა, თუ ისწავლი და ნამდვილ ბარბანს გიყიდი, — გაიღიმა კაცმა ტკბილ-

ბოდა, ვინ დაინახა, ვინ მოჰკრა თვალი იმის საგანძურს.

კაკუნის ისევ გაისმა. კაკუნის იყო დაურიღებელი.

აკოფამ ხმაზე ბეჭედი გამოარჩია, იმ ვილაცას თითზე რომ ეკეთა. თამამიც იყო ეს ვილაცა უთუოდ, ამ ჯურღმულეებში მოსვლას გამბედაობა სჭირდებოდა.

აკოფამ არა კარი, არამედ სულ სხვა მხრიდან მომცრო ფანჯარა გამოალო და იქიდან გაიხედა. კართან აღარავინ იყო. დიდი ოხერი სწანდა ეს მოსული და მართლაც ეს ბეჭდიანი თითი ახლა მას თავში ჩაეკაკუნა ფრთხილად.

- ვა, რეებს მიჰქარავ, ტუტუც!
- შენ უნდა იყო აკოფა სეროფიანისცი, — თქვა მოსულმა ცულ სპარსულზე.
- აკოფამ თავი დაატრიალა და იმ ბეჭდიანის იერმა გააოცა. ძნელად, რომ ტფილისში ვინმეს იერმა გაგაოცოს.
- მან კიდევ ერთ ხანს ათვალეირა მოსული და მერე ჰკითხა: — შენ ვინ ხარ?
- მუშტარი.
- სერთუკის შეკერვა თუ გინდა, ქვეით ჩადი, ტიგრანა სირეკანაშვილი იკითხე, აი, იქეთ.
- შენი ხელობა უფრო მჭირდება.
- ჩემი ხელობისა შენ რა იცი? — ჩაიცინა აკოფამ და თავისი ყვითელი კბილები გამოაჩინა.
- ათასი თუმანი გინდა?
- აკოფას სახეზე გაოცება გაჩნდა.
- ათასი?

იმ ვილაცამ მას ქისა გადაუგდო. არა, ათასი ზოდ არ იქნებოდა, მაგრამ, აბა, ასე განა ვინმე გაიმეტებს მთლიან თანხას. ჩანს,

ეს ბე იყო. აკოფამ ქისა ხელის გულზე აათამაშა. შიგ უთუოდ ოქრო იყო, ასეთები გავებოდა.

მან ისევ ათვალეირა კაცი და იმის წითელქვიანი ბეჭედი.

II

„ამერიკანკას“ მოთამაშე

არსენალიდან გაისმა ზარბაზნის ხმა, რაც შუა დღის დადგომას აცხადებდა ტფილისში და მართალია, ის სულ აცდებოდა შუა დღეს და საათზე სულ სხვა დრო სწანდა, თუმცა დროის ცნობა აქ ასეთი იყო და კალენდარიც კი სხვა.

როცა ჰამბურგში ზაფხული დგებოდა, აქ ისევ გაზაფხული იყო.

ზარბაზნი კი იყო ძველი. ოსმალების კამპანიაში ნამყოფი და ყარსის ალებისას გასროლილი და იმის კედლების ამფეთქებელი, იმ დანგრეულ გზებზე ნაყინყალები და იმის ყუმბარამ ჰუსეინ ჰამი-ფაშას ცხენიც კი მოუკლა. ახლა კი თითქოს იმის თოკის გამომკვრელი, თადარიგში წასვლისას ტფილისის მზიან ამინდებში რომ რჩებოდნენ, ისიც მიეგორებიათ, სამოვარს საცა დგამდა პრაპორშნიკი რუპკი და ერთი შუა დღის დადგომასთუ აგებებდა ტფილისელთ და ოდენ გენერალი ვინნერის საწყობიდან ნავთულში იმას მალბიშალ დენტსა და ყუმბარას თუ ამოუტანდნენ გასატენად.

ზარბაზანმა გაისროლა და იმის დენტის კვამლი არ იყო გაფანტული, რომ პრისტავმა გავრილ ხრიპლიმ ამოიღო თავისი საათი, ახლა წესით რომელიმე კომერსანტს რომ უნდა ჰქონოდა ხარბინში მოარულს და შიგ ჩაიხედა.

თუმცა საფიქრალი ახლა მას სულ სხვა ჰქონდა. ის პოლიციის განყოფილებაში დაიარებოდა აბესალომოვის სახლში და მის წინ მკვდარი იდო. გვამი ახლა მოეტანათ, ჯერ არ გაციებულყო და იმას კარგად აკვირდებოდა.

მკვდარი შახსეი ვახსეის ცერემონიდან მოეტანათ, აბანოების უბნიდან, თუმცა კი ის არ ყოფილა ალის დამტირებელი და, ზოგადად, არც შიას მიმდევარს უგავდა იერი. უფრო იმ ხმაურში და სისხლში ჩაემაღათ ეს მკვლელობა და პროცესია რომ გაეცალა იმ ალაგობას, ეს მოკლულიც დარჩენილიყო ფერდში გაყრილი ყამით.

ყამა ჯერ ისევ გარჭობილი ჰქონდა მოკლულს და იმის ამოღებას ხრიპლი ახლა აპირებდა. ტარი ყამას ძვლისა ჰქონდა.

„ძაღლის ძვალა“ — გაიფიქრა ხრიპლიმ. ციხის ნაკეთობა იყო. ძაღლი შეეჭამათ, ეს ძვალი კი დანის პირზე დაესოთ.

განა აისორი სარიბეკოვი რომ რიყეზე ძაღლის ხორცსა ბატკნად ასალებდა, ასე იყო ამის დამკვლელის ამბავი. უფრო ის იმალეობდა, პატიმარ ხალხში გავარდნილი ხმა, თითქოს ძაღლის ხორცი ჭლექსა კურნავს. ჭლექი კი ცოტა არ იყო მეტეხის ციხის საკნებში.

— კარგი იქნებოდა ახლა აქ ის ანგლიელი კატორჟნიკი. რა და ოხერი თვალთ კი აქვს, — თავისთვის თქვა ხრიპლიმ.

ფანჯრიდანაც გაიხედა და დაინახა ეზოში ფართყვერიმალეებიანი კაცი, რალაცას რომ ეკითხებოდა პოლიციელს.

— ბოჟე მოი, — მოიქექა ხრიპლიმ ქილვაში.

ყველაზე საოცარი სასწაულებში ხომ სწორედ ისაა, რომ გაფიქრებისას ის ცხადდება.

ხრიპლიმ გვამს გადააბიჯა, მუხლი კედელს მიარტყა, დაიჭყანა, ხელით მოისრისა და კოჭლობით გარეთ გავიდა.

— მელქი აზარინცთან კაცი მივიდა, ბაშლიყით დაფარული სახით და წერილი გადასცა, ხუთასი მანეთი მომეცი, ბოლგარიდან გამოქცეული კაცი ვარ, პრინც კობურგთან ვერ გაჩერებული და თქვენ უნდა მარჩინოთ, — ხმა ისმოდა, ისმოდა, პირი კი არ იღებოდა. საიდან ისმოდა, საიდან გამოდიოდა?

სხვები კი იცინოდნენ. გარდავოები იცინოდნენ.

— როცა გაგავდებენ ქუჩის ქალის ცემის გამო, საქმესა და ალაგს მოიტენი, — იცინოდა ერთი ისეთი ბასით, თითქოს სანგურსკი იყო საზაფხულო თეატრიდან.

— შე ძუქნას შვილო, ოტო ჩარნირ, — ამბობდა კიდევ ერთი, სწორედაც აზარიანცის გამომძალველი თაღლითის დამჭერი პოლიციელი და რუსულ თამამ მოტირიალებსა თქმისა და იდიომების გამოყირიდა ხარხარს შუა.



წინაპრის ხმაზე გამოთქმული სიტყვები კი ისევ ისმოდა და პირი კი არა სჩანდა და იმით თუ მიხვდებოდი, ვინ იყო ამის მთქმელი, რომ ერთი არ იცინოდა ოდენ ამითი და მუცელ მეტყველებდა. უხეიროდ, თუმცა და, აბა, ტამბოვში დაბადებულ და ახლა ტფილისში მომსახურე ქუჩის წესრიგისა თუ უწესრიგობის ხმლიან გარდაცვივის მეთი რა მოვთხოვებოდა და ცირკში იმ ჩარნირის ნახულს გამოძახებდა აქ. იმათ წინ იდგა ეს ფართოფერმიანებიანიც.

— ანარქისტი მისულა აზარიანცთან, — ჯერ ადრე იყო, ამ მუქარის წერილების ტფილისში დიდი ოდენობით წერის დროება არ დამდგარიყო.

— ბომბისტი.

— რავაშოლი, — პარიზის ბომბების მსროლელს ამბობდა ყვრიმალეებიანი კაცი, ისიც გარეული ამით ამჩატებდაში.

— ბომჟორ მამზელ, — თქვა რაც სცოდნოდა პოლიციელს რასინის ენიდან და ეს ამჩატება გააგრძელა. თითქოს ესენი არ იყვნენ, სულ ცოტა ხნის უკან მკვდარი რომ მოიტანეს საპოლიციო სახლი და იმის უსულო სხეულს ჯერ ეტლში არ დებდნენ და მერე იქიდან არ გადამოიტანდნენ, ფერდში გარჭობილი დანიდან კი საპოლიციო სამოსი დასვროდათ. იმ მუცელმეტყველსაც მოუჩანდა ორი ნითელი ლაქა, მასაც განა მურაბის სიროფისა, ადამიანის სისხლისა.

— რომ არ ჩანდით, ვიფიქრე, ბერად ხომ არ შედგათო, იქნებ უკვე არქიმანდრიტია, — ასეთი მისალმება გამოუვიდა ხრიპლის.

— სარპინკის ხალათების მალაზიაში მოვეწყვე იუზბაშეებთან, ხაშის წვენიც უფასოა, — თქვა ო'პარამ, ამ ფართოფერმიანებიანმა.

— აქ რაზე მოსულხართ? — აათვალღერა ის ხრიპლიმ თავისი პოლიციური თვალებით.

— მოვედი, რომ გავიგო, რომელ ასოზე ჩამწერეთ, ო-ზე თუ ჰ-ზე, როცა ასოებით დაიწყებთ გამოძახებას, შუაში ვიქნები თქვენს დავეთარში, თუ არა.

ხრიპლიმ გადააფურთხა.

— კაი, წამოდი, — წინ გაუძღვა ო'პარას, ფეხით გააღო ზამბარიანი კარი და ყვრიმალეებიანი სარდაფში ჩაიყვანა.

ისიც ჩაყვა, ვიროხის ცურცილიც გასრიდა ბოლო საფეხურზე და მზიანი ამინდის მერე თავი წესტიან ოთახში ამოყო.

ყამა ჯერ ისევ არ ამოვლოთ.

— აი, ეს ვიპოვეთ დღეს და საანატომიო კაბინეტში გადაყვანამდე აქ არის, — გაიშვირა თითი ხრიპლიმ.

— ვინ არის?

— ბუხარის ემირი არ არის, — და ხრიპლიმ გამოაჩინა ხის ყუთი, შგ ჩალაგებული ფურცლებითა და ჩანერილ ნაკვეთის ალნერთ. ჯერ ის დრო არ დამდგარიყო, როცა ბოროტმოქმედს ფოტოს უღებდნენ და ასე ინახავდნენ.

ო'პარა ყუთში ჩასახედად გაიხია.

— განა ლოტოს კოჭებია, განა „ბარაბანიე პალკი“ უნდა ამოვიღო, — განზე გასწინა ხრიპლიმ კარტოტეკა.

მოკლულს სახეზე ეტყობოდა სილურჯე თვალის ქვეშ.

— ამას დაარტყეს. კი, ცაციაშ დაარტყა და ამის მერე დანა დაასო, აგე, ფერდში, — მიაშველა ნათქვამს თამბაქოს ლეჭვა ო'პარამ.

— რატო ცაციაშ?

— ეს ჰუკი მას პირდაპირ მარჯვენა თვალში ხვდებდა.

ჰუკი რა იყო, ხრიპლიმ არ იცოდა, თუმცა ო'პარას მოქნიული მუშტით მიხვდა.

— კიდევ?

— აი, დააკვირდით, აქ ერთგან სისხლის ჩაქცევა კიდევ უფრო ღრმაა და გახეული იარაა, ეს შესაძლოა ბექდისა და იმის ქვის გამოა. მას ბექდი ეკეთა თითზე და იმან დატოვა ეს კვალი. ხოლო ხელში ამ ჯეჯელს, როგორც ხედავთ, რაღაც ნაგლეჯი უჭირავს.

მართლაც შეკრულ მუშტიდან სულ ოდნავ რაღაც ნაცრისფერი გამოსჩანდა. ამ სიქქარეში ხრიპლის ის გამორჩენოდა. ო'პარამ გაუსხნა უკვე გაყინული თითები, იქიდან ნაგლეჯი გამოიღო და კარგად ათვალღერა.

— ეს ყილეტის ჯიბეა, სჩანს ისინი უფრო ახლოდან ნაეჩხუნენ ერთი მეორეს და ამან იმ მკვლელს ჯიბეც მოახია, აქ კი... — მან ამოატრიალა ნაჭერი და იმის ნაკერებს შუა იხედებოდა.

— რა არი?

— ეს ცარცია, ცარცის ნაფხევენები. მკვლელს ჩვევად ჰქონია ჯიბით ცარცი ეტარებია. ის ან პრიკასჩიკია... თუმცა მატერია მეტად ძვირფასია იმისათვის, რომ პრიკასჩიკისა იყოს, — მან ახლა უსუნა ამ ნაკუნს.

ხრიპლი კი უცქერდა.

— მას არომატი შეერჩენია, ეს არის „როიალ-კონგო“. ეს ამ სუნამოთი გაჟღენთილი ცხვირსახოცის ჯიბეში ტარებით ჩარჩენილი სუნია.

ხრიპლიმ გააგრძელა გაკვირება.

— ასე რომ, ეს არის ფრანტის ჯიბე, ხოლო ცარცი? ის, სავარაუდოდ, ბილიარდის მოთამაშეა, თანაც ცაცია მობილიარდე და ვფიქრობ, საკმარისი ალნერილობა გაქვთ, რომ სასურველი მოკრივე მოსძებნოთ.

ხრიპლიმ ქილვაშები მოიქეცა.

შემდეგ ნაგლეჯი გამოართვა და თავადაც უსუნა. მკრთალი არომატი მართლაც იგრძნობოდა, მაგრამ რისი? საპნის? სუნამოსი? მერე და რა სუნამოსი?

— რატო „როიალ-კონგო“ და არა „ლავსანია“ ან გლიცერინის საპონი?

— ეს თათრული იასამანია, არსებობს მისი სხვადასხვა ნაირგვარობა და ეს „როიალ-კონგოა“. თავად ვხმარობ ამას გაპარსვისას და მიტომ ასე დაჯერებით, — ყავისფერი ნერწყვი არ დაიტოვა ო'პარამ კბილებთან და ის მოკლულს ფეხსაცმელთან



ახლოს დაეცა, ერთი წინკლი მის თასმასაც კი.

ხრიპლი ისევ იმ ნაგლეჯს ატრიალებდა ხელში და იმის ნაკეცებს და ნაკერებს შუა ცარცის ნაფხევენებს აღმოაჩენდა.

შემდეგ ერთხელაც დააკვირდა მოკლულის ლურჯ თვალს.

— ამის მეტს ვერაფერს იტყვი?

— ამის მეტს? — თქვა ო'პარამ და ჯიბიდან ზანზალაკი გამოაჩინა. პატარა ზანზალაკი იყო. ხელის გულზე ეტყოდა.

— ეს რა არის?

— ასეთი ზანზალაკები კიბია ბრიტანეთის იმპერიის მორგებში, რათა გაცოცხლებულმა მკვდარმა თოკზე დაქაჩოს და დარაჯს დაუძახოს.

**III**

**ანჩხატის უბნის ეზოებს ორი გასასვლელი აქვს**

მუხრანის ბორანიდან კაცი ჩამოვიდა და ცოტა გაიარა ბულვარისაკენ და მერე კი ანჩხატის უბნისაკენ გასწინა.

ეს ერთ დროს მთავარი უბანი გახლდათ ტფილისისა და მეფის სასახლეებისა და ბატონიშვილთა სახლების ალაგე. თავადებსაც კი არ შეეძლოთ აქ სახლის დაჭერა, მხოლოდ მეფის ჩამომავლებს. ეს იყო იმ დროის ფეშენებელური უბანი. არ იყო აქ იოლი ცხოვრება. ამდენი ვინ ზევიდან იყურებოდა. აქვე იყო თოფხანა, პირველი სტამბა, აქვე იყო აბანო, შესაძლოა სწორედ ის, რომელმაც სპარსი ხანი ვერ განკურნა და იმანაც გააგებულმა ეს ყველაფერი მიღწე მოიღწა. აქვე იყო ნალარა ხანა, თალიანი შენობა, სადაც ყოველ დილით და საღამოს დაფაფებსა და ნალარას სცემდნენ და იქაურობას ხმაურით ავსებდნენ. აქედან იწყებოდა რასტაბაზარი, ღუქნების რიგი სიონამდე.

ამ უბანში შემოაბიჯა კაცმა, რომელიც ბორანიდან ჩამოვიდა და აქეთ შემოუხვია,

იქ, საცა ადრე მუხრანბატონების სასახლე იდგა. ახლა კი უფრო მოფხრენილობა და ბლომად ტალახი ქუჩაზე დაყრილი.

ის თათრის მეიდნისაკენ მიდიოდა. მას ჯერ უნდა გაეარა ბატონის მოედანი, მერე სიონის ქუჩა და აქედან ბნელ რიგს მიაღებოდა და თუ მოინდომებდა, იმისი ხმაურით თათრის მეიდანზეც გავიდოდა.

აბა, იქ რა უნდოდა, ეგ დაფარული დარჩა, ოღონდაც სჩანს, საქმე ჰქონდა საჩქარო და ისიც მისდევდა იმ ქუჩებს და ვინრობებს.

ის მეტად კმაყოფილი იყო ყველაფრით, საუზმით, შემწვარი კვერცხებით, მოხარული ყავით, ამის მონელებით, ცოლის გამონვდილი შუბლით და ზედ დატოვებული კოცნით. ასეთი სისასებით გამოვიდა ის გარეთ და გამოუყვა ქუჩას, ორიოდ ნაცნობსაც შეხვდა, მეტად ხელგაშლილად ასწია თავისი შლიაპა და ლიმილიც ჩვეულებაზე მეტად გასწენდა.

ვილაც დაეჯახა. კი, ასე კუთხიდან გამოდიოდა და შიგ ბექებში გაჰკრა თავისი ტანი და გააჩერა ამ სიარულში.

არც თუ დიდი რიგისი ახალუხითა და კინტოურად ჩაცმული ბიჭი იყო, მოზრდილობაში გადავარდნილი.

— რა პრიდლაჟენია გაგიკეთო, ჩემმა მზემ, თეთრი თუთა დაგავინყოს, ნასტაიაში ნეგრების ქორო გარი კლიფტონისა, — ეს მეტად მოულოდნელი გახლდათ, ერთი,

ბორანსა და მტკერის მორეგს არ შეშინებულ კაცი კი უცებ შეშინდა. ერთი, რომ გასაქცევი არა ჰქონდა, რაკი ისე ჩადგათ ამ გამოვარდნილთ ფეხი და ხელი, რომ იქიდან გაქცევას პირი არ უჩანდა. ერთი ხეირი ის იყო, რომ მისთვის არ უთავაზებიათ პანდლური.

— არა მაქ, არა.

— შენი კამპანია კი დაიქცა, უბეში ექნება, უბეში.

— არა, არა, პოსლიკა ჰავაქა ვიყო.

— ამ თუთიყუშსა მისცემდა, ვერა ხედამ, ერთად არიან, — მოიცალეს ახლა ბორანის მგზავრისათვის, თანაც მეტად აღრენილი.

— რას ამბობთ, რის ფული, ამ ვირის თავსა პირველად ვხედავ.

— არ გაიქცეს, ხელი სტაცე მაგ ინდაურსა, — და ისე მოიგდეს, თითქოს სვირინგებიანი მებაზნოე ჰასანა იმის ქისის ტყვეს რომ შეიპყრობდა აბანოში.

ამის შემდეგ მას პიჯაკის საყელოზე მოქაჩეს და ორიოდ ნაბიჯი გაათრეეს კიდევაც. ის ანჩისხატის გუმბათს ხედავდა და ეს ხელები კი ისეთი ღონიერი გამოდგა, რომ ეს ტაძარი უცრად ამოაყირავეს და გუმბათით ქვევით დასცეს. მან გაიგონა, როგორ ცვიოდა მისი ჯიბეებიდან სხვადასხვა და მათ შორის სქელი პორტმანეტ და ასეთ დღეში ჰყავდათ და შემდეგ ანჩისხატის გუმბათი ისევ უკან, თავის ადგილას, დასდგეს.

— სხვა არაფერი აქვს?

— განა არ ვამბობდი.

— ეე... რა ვქნათ? — საფულეც უკან დაუბრუნა პირველმა, სახე ძალს რომ უგავდა და ერთი კბილით არ გაესინჯა ის, თორემ ყოველი იმის შესანახი ამოატრიალა და რაკი შიგ თავისი ფულეები ვერ მოსძებნა, უკმაყოფილო სჩანდა.

— ეს ფლავის ქურდი ნავიყვანოთ პრისტავთან.

— შენა, ოქრო, არ ნამოხვალ? — მიაძახა პირველმა.

— მე? — დაიხია უკან ამდენი მოულოდნელობით არეულმა მგზავრმა.

— კაი, ჩვენ ჩავგდებთ ამ სიაბანდს ვირის აბანოში, — და ერთი-ორი უთაქეს იმ ბიჭსა და ნიხლიც მიაყოლეს.

და გაჰქრნენ ერთ-ერთ ეზოში ანჩხატის უბნისა.

კაცმა კი გაქუსლა არეულმა თათრის მეიდნისაკენ და ჯიბეში ის თავისი საფულე ეჭირა, ემანდ, ისევ არ ამომაცალონო, თუმცა ის გინდა ამოეცალათ, გინდა არა, ფასი ერთი ჰქონდა.

— აბა, ნახე დასთვალე, — თქვა „გარი კლიფტონმა“, როცა უკვე იმ ეზოს მეორე მხრიდან გამოდიოდა და ხელში კი ბლუჯა ფულეები ეკავა.

— ორასი მანეთია! — იოლად დასთვალა, ძალსა რომ გავდა.

და ამოალაგეს იმ საფულიდან ჩუმიად ამოღებული ფული, ოღონდაც ამ დროს ვილაც მოპარვოდა კუთხიდან გამოსული და დიდი ქილვაშებით სახეზე და იმის მოქნიული ჯოხი მოხვდა კინტოს ხელზე და ეს ბლუჯა გაუვარდა.

ქილვაშის მოყვა კიდევ ორი გარდაცვიო კუთხის ჩრდილიდან და ერთი იყო სულაც მენდალით და ზედ წარწერით „პოლიციაში ერთგული სამსახურისათვის“ და ახალუხზე დაავლეს მათ ხელი გარი კლიფტონის ანტრეპრენიორს და გააგორეს კინტოვით მიტეხნილი მინაზე.

— ჰა, რა ცოფი დაგრევი, „აბიზიანა“, — დასძახა ამ დაგებულმა.

დანარჩენები კი გაისუსნენ.

ამაზე ბაკიმბარდებიანმა შიგ კბილებში ჩასცხო ნიხლი და კიდევ უფრო გააკოტრიალა ის მინაზე.

— რას აღრენილხარ, რას იკბინები, — ტუჩებიდან სისხლს ინმენდა დაგებულნი.

— ვინ არის ფრანტი ბილიარდისტი ტფილისში, მკვლელობაზე ხელის მომწერი?

— მე რა ვიცი.

ერთი-ორი ნიხლი მიაყოლა იმან კიდევ დაცემულს.


— არგუთინსკი!

— სად ვნახავ?

— სად ნახავ, ეგ ზარქოსის წირვაზე, — ისევ ინმენდა ტუჩებს დაგებულნი.

„აბიზიანა“ იყო გავრილ ხრიპლი, პრისტავი. ის ამოცლილი ფული მან გადათვალა და ჯიბეში ჩაიდო თავისი ფულეებთან ერთად და ქუჩას გამოუყვა.





ზაალ ებანოიძე

ორი ლექსი ერთ თემაზე

„სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა გარდა ჭლექისა“... ვალერიან გაფრინდაშვილი

1. ნარსული მაინც ნარსულია...

ნარსული მაინც ნარსულია, სხეული მისი თანდათანობით იფარება ფაფუკი ნისლით. ზოგჯერ მწარესაც ემატება პატარა სიტკბო, და როცა ხელეხს მოგონების კოცონზე ითბობ, ამოდის სიცხით გათანგული ქალაქი-დაბა, ვიღაცას ხეულა აუტყდება, გადიდრობს საბანს, შენს გვერდით ოფლად გაღვარული კასპელი ბიჭი, — გსურს, დაახურო, მაგრამ ხელის განძრევა გიჭირს.

შენს სარეცელთან ჰიპოკრატეს შემდგარა ლანდი, კი, ყოველი დღე მეგობრების ბარათებს ბარდნის, ბარათებს მოაქვთ იმედები — ვარდების გროვა, — ეს — კედელს გარეთ, კედელს შიგნით — დეკემბრის თოვა.

ორად-ორ ქუჩას, თავშეხვეულს ფიჭვით და ნაძვით, რას წაადგება, სიტყვის ერთი მოქნევით რაც თქვი, აქ ანეული საყელოთი დღემუდამ დადის ასათიანის ტანმალაღი და თხელი ლანდი; რობინზონ კრუზოს კუნძულივით მომწყდარი ხმელეთს, ქალაქი-დაბა საკუთარი ნესებით ცხოვრობს, აქ მამამღერთის გასაგონად იშვერენ ხელეხს და ერთადერთი იარაღი — ფიქრია მხოლოდ: იფიქრე ცაზე, ვარსკვლავებზე, იფიქრე, რაც გსურს, მადლობა გამჩენს, ჯერჯერობით ფიქრისთვის პასუხს ვერავინ ითხოვს... მომავალში რა იცის კაცმა, იქნება ფიქრსაც უნერია თავისი ჯვარცმა.

ნასულან წლები... მაშინდელი ტკბილი და მწარე, როდესაც შენდაუნებურად ახელენ თვალეხს, გაკრთება რეზო ლაცაბიძის მოღლოლი სახე, მერე ელგუჯა ტურაშვილი — ახლოდან ნახე, დგას იქვე ვაჟა ჯახველაძე — მოხრილი მხრებით, თვალეხში — სევდა, საფეთქლებზე — ჭაღარა თმები. ...და „ჭორმეშინ-ქიტესაშვილს“ ღიმილი შეენის — რუბენზე ამბობ — შორიდან რო ანიშნებს ხელით, რაღაცას ანზორ სუხიტაშვილს თუ სალამს აძლევს; დეკემბრის თოვლი ნაქცევამდე ამძიმებს ნაძვებს; ...და ნახტომისთვის განაბული, თვალეხში გიმზერს, შემდგარი შოთა არაბული ნერვების სიმზე; აგერა შალვა ჩიტიშვილიც — ორპირი დანა, ბიჭები ამ დროს რახანია საფლავში წვანან...

**PS-1.** ნუთისოფელმა ბევრჯერ დაგიგო მახე, ბევრჯერ მოგკვეთა ტყემლის გარემუც კბილი; მაინც რატოა გადატანილი საფრთხე გასახსენებლად — მწარეზე უფრო ტკბილი.

**PS-2.** შეგიმაროდა ღანვზე სისველე, მარტია, უკვე ტირის ვენახი; იხსენებ ლადოს, მურმანს იხსენებ, „ჭლექის პრინცს“ მაინც შენს თავს ეძახი.

2. წლების მერაც...

ხუთჯერ მეტი ათეული წლების მერეც მახსენდები, დახვალ ახლაც მთვარეული, თან შრები და თან სველდები. რკინის ჯვარი, ბრტყელი ქვები, ურემა და დიდმაღალი, სხვა — არავინ! — შენ იქნები! — კოცონთან რო ზიხარ ღამით.

გაფრთხობს ჩქამი უნდობარი, ხმა ჩამცხრალი ნაკადულის, ველურობა ბუნდოვანი, თავის თავში ჩაკარგული. თავის თავში ჩადირული უღრანები ზამთარს ელის, შიმშილისგან განწირული აყმუვლდება სადღაც მგელი. სივრცე არის ბაიყუში, თუ სიცოცხლემ ხმა გაკმინდა. ჩაიკეტა კარი გულში, არაფერი აღარ გინდა. ჩირგვი, ნითლად მობარბარე,

მზერას ტკვილს მიაყენებს, გაგონდება, მოკანკალემ — ქარს ლეკერტი მიახველე. სიცხიანი ღამეც გახსოვს, განა ერთი ანდა ოცი, და ძლივს მობრუნებულ სასო ლანდს

მორჩილად გადაკოცნი. ჟამი, ჟამი კლინიკური — თვლემა ფეხზე პალატების, დამფრთხალი და ირიბული მზერა ჭარბად ანანთები. კარმელს შუშა გაუტყეხავს, ასათიანს თერმომეტრი. „ვინ დამძრახოს, ჰაი დედა — ჩავიდინო მე რომ მეტი“. ღამის ათი საათია, შუქი ცვრიან მინდორს მოჰყვავს. უძილარი გაათია ღამე პავლე ინგოროყვამ.

კედელ-კედელ ღამის თოში, სარკმელ-სარკმელ ჭირხლი დილის, ამ გაყურსულ გარემოში თვლემს რამდენი ქარტეხილი. ლექსს უკითხავ ლებანიძეს,

ლექსს უკითხავ აბულაშვილს, ძველ ტკვილებს შეაღვიძებ, სამყაროში საკუთარში. ქავთარაძე თამუნას, ანდა ციციო ზვიადაძეს, თვალწინ ბევრჯერ ჩაუვლიათ

ცრემლით გამბაღ ნიადაგზე. სხვებიც, სხვებიც გიდგას თვალში, გახსოვს ბევრის გვარსახელიც, მოყოლილი იმ წარღვნაში, დღეს ლოცვაში გასამხელი. ხუდადოვის „დაჭრილ დათვებს“

ზაფხულობით აქ ეძინათ, სიზმარში რო გითხრეს — „გაძლებ!“ — ცხადში მწარედ გაგეცინა.

ილამბება ამ სიცილის ირონიულ ათინათით ოცხესა და ყანობლის საზიარო განთიადი. სენი, სენი გადამდები, პირის მორიდებას ითხოვს, და ქმნის თეთრი ხალათები

ცოტა შიშს და ცოტა სითბოს. მკერდის ხიხინს აყურადებ, პერანგს სიმწრის ნამავს ხვითქი, თავს შიგნიდან აგულადებ, გარედან რო მაჯას ითვლი. რწმენამ ძალა შეიძინა — შუქმა გადაწონა ჩრდილი — რწმენამ არჩილ მხეიძის და თომა იაკოფაშვილის. მაინც გესმის შინაურთა: — „მძიმე ტვირთი არ აზიდო!“ ხელში მოგიმინაურდა ზეკარი და არაზინდო. ცრემლი! — ცრემლის ღალა თვალეხს! —

სადაც ცრემლი აგეთია — ბავშვობიდან დაატარებ „ჰოპოკრატეს ტრაგედიას“... დახვალ, ხალხის გერიდება, თითქოს რამე ვალი გადევს, ვერ უხერხებ ხელის ხლებას უსხეულო ბარეკადებს. იქით-აქეთ სხვა ჟამია, სხვა ჭალის და მთის მოლია, ნამიც კმარა — გადაიარს თვალზე მთელი ისტორია. აქ „აკაკის ნაძვი“ ხარობს, გული ითხოვს ხატო ნებით, დგას სასახლეც მონთალო, რუსი იმპერატორების. ნაქცეულა ობელისკი, ტანზე ხავსი მოდებია, მოუხურავს ღობეს ნისლი, თუ ქათქათა ლოდებია. ფერდობ-ფერდობ — ძახვლეები,

გაძეძილი ქარში თმები. გახსენდება მნახველების ნუგეშები მაშინდელი. არ ებადათ, რაც რომ თავად შენთვის უნდა შეეძინათ, თან სახეზე საცოდავი ღიმილები შეერჩინათ. ნაბიჯ-ნაბიჯ... გზაა ხრემის — დაჭიმული რამე სიმი, ტყე-ტყე ცივი ქარი კენესის, თუ მოთქმავა კლავესინის. მზე შემოდგა მახვილოზე, საფრთხეც ინანილებს, სიზმარ-სიზმარ დათვი მოგდევს, თუ მთის ჩრდილი მიგაცილებს.



ქუთაისს ჩემი სიზმრების ქალაქს

როგორც ჰაერში გაშლილი კვამლი, ველარ შეგვროვდი ისევ თავიდან, რადგან ნავედი შენგან და კარიც გამოვიხურე ჩემი თავიდან...

ხარ ჩარჩენილი გულში ისარი, სევდა ყოველი წამის თანმდევი, ჩემო ისეთო ცხადო სიზმარო, უფრო რომ ველარ ამიცხადდები...

წამიკიდებდე ხილვების თეთრ რულს, ჩამომირღვევდე ძილს და სიმშვიდეს, — იქ, სადაც თეთრი ქვების თეთრულს ავლებს მდინარე თეთრი ხიდის ქვეშ...

უსმენ ვარსკვლავთა წკრიალს ზევიდან, ამოივსება ცაზე მთვარე როს, — ანგელოზები ესიზმრებიან მწვანეყვავილას მთავარ ანგელოზს...

ვერ ამოვედი ცხადის მღვიმედან, ველარსად იშვა სული შენს შემდეგ, ნეტავ კვლავ სიზმრის კარს გამიღებდე, ჩემს ბავშვობაში შემომიშვებდე.

უშენოდ სხვა ვარ და თითქოს სხვისი ბედნიერების მადვეს ხუნდები და როცა შენთან ვბრუნდები ისევ, თითქოს საკუთარ თავს ვუბრუნდები.

\*\*\*  
შემომიმწუხრდი, ხარ ბინდის დარი, არც ღამედ მექეც და აღარც დღე ხარ, ჩემი სიზმარის ხარ ბინადარი, იკითხოს ცხადმა, რომ ვერა გხედავს...

ღია თვალეხის ნაპირზე მრჩები, მაინც არაფერს ვყვედრი საწუთროს, ვუშენებ სიზმრებს წამწამთა ჯებირს, რომ ცხადმა ველარ მიგისაკუთროს...

ვერ გამოასწრო ბენვის ხიდიდან, დაიხრჩო სიზმრის ნიაღვარებით, შენ ჩემი თეთრი წყვილიაღვივით ხარ არც მითენდები, არც მილამდები...

ჩემი სიზმრების წარღვნა, — წამწამთა რიფს მოვარდნილო ზღვად და ზვავივით, რად ვერ გიმეტებ, გამხილო წყალთან და გაგატანო წყალს სიზმარივით...

\*\*\*  
შენ გაანათე ოთახი შუქით და შენს სუსტ სხეულს უმზერდა მთვარე შუალამის უთეთრეს შურით;

შენ მოძრაობდი ცისფერ ფარდით, არეკილ ლანდით და ხვევდა შენს ლანდს ფარდის ალში ღია სარკმელი, შენ ცას უმზერდი, — ცაში კი არ იხედებოდი, იხედებოდი თითქოს სავესე მთვარის სარკეში...

სადარბაზოში ფრთხოდა ბინდი, როგორც პეპელა, შენ ჩაიარე კარის ზღურბლთან ალბათ მრავალჯერ, რა იქნებოდა, კართან მოსვლა რომ გაგებდა და შენს სუსტ მკლავებს დავყრდნობოდი, როგორც ყავარჯნებს.



გამომცემლობა „ინტელექტი“ წლის ბოლომდე — სერიის „ინტელექტი 25 წლისა“ (პროექტის ავტორი კახაბერ კუდავა) ფარგლებში — გამოსცემს დიდი კოლუმბიელი მწერლის გაბრიელ გარსია მარკესის რჩეული წერილები-სა და ესეების კრებულს — „საუკუნის სკანდალი“.



გაბრიელ გარსია მარკესი

სიკვდილი პირბამტახი ქალბატონია

მიდლსტორმი (კენტუკი) მომხდარი ინციდენტის შესახებ რომ წავიკითხე, გამახსენდა მშვენიერი პარაბოლა ერთ მონასთან დაკავშირებით: მონა სამარაში გაიქცა, ბაზრობაზე სიკვდილმა დაინახა და ხელით რაღაც ანიშნა.

ეს შემთხვევა ზუსტი ანალოგია (ზუსტი თუ არა, მიახლოებით მაინც) იმ შემთხვევისა, რომელიც ორიოდ დღის წინ მოხდა ისევ მიდლსტორმი (კენტუკი): ერთი კაცი, რომელიც იმ დღით უნდა შეხვედროდა სიკვდილს, მაგრამ იმის გამო, რომ იმ დღით ვინც ვერ შეძლო დროულად მონესრიგება, იყო სიკვდილი — ნამოდგა, ძალა და გონება მოიკრიბა და გადაწყვიტა, თვითონ მონესრიგებულიყო.

ეს ლოდინი კი სამი წლის წინ დაიწყო: დილით საუზმის დროს მთელმა კაცმა სიზმარი უამბო თავისიანებს: ხმა მომესმა ვიღაცის თითქოს, მითხრა, თქვენგან ერთ-ერთს სიკვდილი ესტუმრება და წაიყვანს, ეს მოხდება 1952 წლის 28 ივნისს, ცხრის ოც წუთზეო.

ერთი სიტყვით, ორი დღის წინ ლონგუორთთან დასამშვიდობებლად დიდძალი ხალხი მივიდა, თურმე ყველას კარგად ახსოვდა თარიღი და დრო, და აი, როგორც იქნა, დადგა სამი წლის წინ ნანინასწარმეტყველები 28 ივნისი. სულ რაღაც ორ საათში მოვა სიკვდილი და წაიყვანს მთიელს. სიტყვა სიტყვაა. ნუხილი არავის ეტყობოდა, უფრო ფიესტის განწყობა სუფევდა.

მალე მუჭში გულბმოქცეულმა მაყურებლებმა საათებს დახედეს, ზუსტად ცხრის ოცი წუთი იყო, სიკვდილი არ ჩანდა, აფუთფუთდა ეჭვი, დამცირებული პატივმოყვარეობა, იმედგაცრუება. ქუჩის მეორე მხარეს ორასზე მეტი ადამიანია. ატორტმანებულ თავებზე თითქოს დილის ცა დაემხოთ. ერთი წუთიც გავიდა, ორიც და სამიც. არაფერი მომხდარა. გაოცებული ჯეიმს ლონგუორთი სანოლზე წამოჯდა და თქვა: „გული მიგრძნობს, ჯერ არ მოკვდები“. ამოდ გაისარჯა ორასზე მეტი ადამიანი, საგანგებოდ ადგა უთენია, ზოგი შორიდან მოვიდა, ზოგი საიდან, რათა ამ სახლთან დამდგარიყო სხვებთან ერთად დილის მზის ქვეშ; დალოდებოდნენ საოცრებას და... ახლა მოედანზე დგანან განზილებულები, უხმობენ სიკვდილს, მაგრამ უხმობენ არა საჩხუბრად, არამედ ღიმილი ნესით დასასჯელად.

ლიტერატურიზმი

ჰერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ქვედურაში მოგზაურობისას აპროტესტებენ იმ მხეცურ დრამებს, სადაც სისხლი უფრო მეტია, ვიდრე პროტაგონისტი ყოველ კვადრატულ კილომეტრზე და რომელთა მკითხველები თუ მაყურებლები ფრთხილობენ, თავადაც არ გახდნენ ტრაგედიების მსხვერპლი.

ეს ამბავი, რომელიც მოხდა სან-რაფაელის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ანტიოქიაში, ერთმა ლიტერატურის კრიტიკოსმა მისთვის სასურველი მხრიდან გააშუქა გაზვიადებულად და არა ცხოვრებისეულად... უპირველესად, შეეხო ორ ოჯახს შორის მტრობას. გამოიყენა საშუალება, რომელიც დისკრედიტებულს ჰგავს ლიტერატურისთვის, რადგან ძალზე ცოტაა ისეთი პერსონაჟი, ვისაც შეიძლება რამე გააგებინო, ვთქვათ, სიტუაცია, სინამდვილეში რა მოხდა ორი საუკუნის წინ. და მაინც სან-რაფაელის სისხლიანმა ქვედურამ გაამძაფრა ოჯახებს შორის შუღლი. და ეს სიტუაცია ვიღაცებს ეჩვენა ყალბი, სხვა გზა არ იყო, ცხოვრებას უნდა შეეგუონ თავიანთი უბადრუკი წარმოსახვით და გადაამეტებულნი დანაშაულებრივი კონვენციულიზმით.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოხდა კრიმინალი, მაგრამ ჩვეულებრივი კი არა, არამედ დადგმული ომისიდო: ჯალათმა ესკოპეტა დაუმიზნა მსხვერპლს და ესროლა. აქ მოხდა, რაც მოხდა ლიტერატურისათვის. ჯალათმა ამჯერად მაჩეტითი აჩეხა გვამი, დაანაკუნა, შემდეგ კი გამხეცებულმა — რამაც ყველა იქ მყოფი დააეჭვა კოლუმბიელის თათრულ წარმოშობაში — ენაც ამოაჭრა. რომ გეკითხათ, ალბათ ვერც გიპასუხებდათ, რატომ ამოაჭრა ენა, რაში სჭირდებოდა.

ეს ამბავი არ წარმოადგენს ღირებულს, სამაგიეროდ, აქტუალური სიმძიმისაა ჟურნალისტიკისათვის, ორ სვეტზე მეტია გაზეთის სამთავრობო ამბების გვერდზე. ეს სისხლიანი საქმეა, როგორც ნებისმიერი იქ დაბეჭდილი. რაკი დიდხანს დიდხანს არაფერი ხდება ექსტრაორდინარული, როგორც ამბავი, მეტისმეტად ძველია და როგორც ნოველა — მეტისმეტად მკაცრი.

კეთილგონივრულად მოვეპყრათ რეალურ ცხოვრებას!

1 ქვედურა — გაზეთის გვერდის ქვედა მონაკვეთი, სადაც უმეტესად ქვეყნდება კრიმინალური, სკანდალური ამბები. 2 ესკოპეტა (ესპ.) — ერთლულიანი თოფი.



შორენა დოლიძე

\*\*\*

როგორც უჩუმრად იშლება ტიტა, მეც ასე ჩუმად ველი განაჩენს, რაც მოვასწარი, ერთი ლექსია, შაშვი გალობით გეტყვის დანარჩენს. და რომ ტიტებზეც ჭკნებიან ბოლოს, მთის ყვავილები ცოტას ცოცხლობენ, ენახებიან მხოლოდ განთიადს, ცოტას ღვივიან და ბევრს მორცხვობენ. იქნებ გიამბო, რაც შენ არ იცი, მყინვარწვერიდან რაც არ გინახავს, რომ მე ტალღა ვარ შორი ნაპირის და მოგონებებს ქარში ვინახავ.

\*\*\*

გვანცას მთაზე გაშლილ კარავს ქარი ჩამოახვეს კიდეს, მომიტანს და მომახურავს ნისლით ჩამოქსოვილ რიდეს. მისი ვიყო, მას ვუნდოდე, ვინაც სოფელს გამარიდებს. არცა და ვარ, არცა სარძლო ბადრისი და უსუპისი, არც ლახტი მაქვს, არცა ცხენი, არცა შიში არავისი, ჩემი სატრფო სად წავიდა, საწყალი და საბრალისი. „ვინც მე იმას მაპოვინებს, ჩემი გული, ალალ მისი...“ გვანცას მთაზე გაშლილ კარავს ქარი ჩამოახვეს კიდეს, მომიტანს და მომახურავს ყაბაჩას და ერთსა რიდეს, მიცქერდე და ვერ მხედავდე, ცრემლებს დამალულად ღვრიდე, გინდოდე და არც გინდოდე, არც სხვა ვინმეს ინატრიდე.

\*\*\*

იცი, რა მსურდა, ყოველ დღით, როცა მწყუროდი, ერთხელ მაინც ჩაგედინა სიგიჟე ჩემთვის. ერთხელ მაინც გაეროიე ენგურს ნაპირთან. მაგრამ ცოლი ვარ. ცოლებს მუდამ ტოვებენ სახლში, ღია კარებთან, ღია კარში, ღია კარს აქეთ... გახსნილი კარი სიმბოლოა გახსნილი კარის, მეტი არაფრის! ხოლო კარს იქეთ... კარებს იქეთ, ხანდახან ბნელა, ან წვიმს, ან ცხელა... გააჩნია განწყობის საკითხს.

დალ!

დევების ქვაბში შემომიხტი, დანოლას არც კი ვაპირებდი, როცა ხალიჩებდა დაგიფინე ტიტებით მოჩითული ნაპირები. მინდა, მკლავებიდან გამოგისხლტე, თეთნულდზე ავევარდე ფეხშიშველა, რადგან სიყვარულში დამარცხებულს მხოლოდ სითეთრეში მეშველება. რატომ არ მაცალე დაბერება, მშვიდი დაღამება ქვაბულებთან, ყოფნა-არყოფნაში გამოკეტილს შენთან სიყვარული მახრუნებდა.

\*\*\*

რა უნდა გითხრა, გაზაფხულია და ატმის ტოტიც გაკვირტულია, როგორ მინდოდა, აპრილის ბოლოს გამომეხედა ცხრაკლიტულიდან. ყველა სიტყვა და ყველა ზღაპარი ჩემს სიცხადეში ნისლად ჩადგება, ჩამომიქროლებს სამხრეთის ქარი, დამეხურება თავზე ჩადრებად. გაიფოთლება სახლთან ჭადარი, ჭადარი, ჩემი ღამის ზმანება... და შენი ფრთები, ფრთები-აფრები, დაბრუნდებიან ზამთრის ქარებად. სადღაც წახვედი, გნახავ როდისღა, ნუ ამომიღებ შენი გულიდან, მერე რა მოხდა, თუ ვერ ბრუნდები, ვერ გამომიხსნი ცხრაკლიტულიდან.





დაჩი ახვლედიანი

# სოხუმჩანი 2



აღრმე შემოდგომაც ტურისტული სეზონი იყო სოხუმელებისთვის და ქალაქი ზაფხულში შემოსულ გიჟურ რიტმს არ აგდებდა. ეს ადრე, პანდემიის შემდეგ კი ზაფხულიც თითქოს აღარ იყო სოხუმში. ძველებური ღირებულებები გადახარისხდაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ სხვანაირმა შფოთვამ შეიპყრო ქალაქი, ტალღებიც აღარ თავხედობდნენ ხოლმე გიჟური და ბოროტარი რიტმით... ბოლოჟამს ეთნოსებ-ად დაყოფილ საზოგადოებას თითქოს პანდემიამ დაანახა, რომ ის ყველასთვის ერთნაირად იყო საფრთხე, კოვიდი თითქოს კაიტიპობდა და აბსოლუტურად დემოკრატიული და მალალი ევროპული სტადარტებით შემოვიდა სოხუმში. ის არ არჩევდა ქართველსა და აფხაზს, ბერძენსა და სომეხს, გერმანელსა და ებრაელს... თუმცა თბილისიდან ჩასულს აქ თითქოს მაინც ჩვეულ რიტმში დამხვდა ცხოვრება. აქა-იქ ჭორებივით გაისმოდა პანდემიის არსებობაზე ხმები, მაგრამ სოხუმჩანების უმეტესობას მაგრა ეკიდა პანდემია და ლეგენდებიც პანდემიაზე. ძალიან ბევრი ვერსია არსებობდა ვირუსზე, მაგრამ არცერთი ვერსიისა არ სჯეროდათ. ყველაზე მეტად ალბათ მარადონას ემინოდა — ძველებურად აღარ ლოთაობდა და არც სანაპიროზე იძინებდა, არც ნაჩუქარ დასალევს გამოართმევდა ვინმეს თუ პირბადე არ ეკეთა, პირბადეს კი სოხუმჩანები არ იკარებდნენ.

მთელი დღე სანაპიროზე გაეცატარე იმ იმედით, რომ სადმე საიდა აჩბას მოგკრავდი თვალს, საიდა ჯერ კიდევ ჩემი არც ისე ფერადი ბავშვობიდან სხვანაირად მიფერადებდა ცხოვრებას, ამისთვის კი დიდი გარჯა არც სჭირდებოდა, მისი ერთი შემოხედვაც კი უფრო მართალს ხდიდა სიყალბითა და ბურუსით გარშემორტყმულ სამყაროს. ალბათ ფიქრობთ, რა ვიგულისხმე ამ სხვანაირში, მაგრამ მაგ სხვანაირის ხიბლიც ეგაა, უბრალოდ ვიცოდი, რომ ის სხვანაირი მე ჩემი თავის უფრო უკეთესი ვერსია იყო.

ამდენი წლის მერეც კი შეეძლო, გახუნებული სოხუმის სანაპიროც კი ოდითგან სხნებულ სამოთხედ ექცია ჩემთვის. არც კი მახსოვს, ფიქრებში ჩაძირულმა რამდენი წრე შემოვარტყი სანაპიროს. ბოლოს ასლანის კაფისკენ გავეშურე. შორიდანვე შევამჩნიე, რო ასლანი მაგარ კაიფში იყო, ხელეგაშლილი საუბრობდა. საქმიანი შეხვედრა ჩანდა. კაფეში შესვლისთანავე არტიომამ — „ასლანის კონსილიორმა“ — გამაფრთხილა: მანდ ბლატნოები არიან და ფობია, არ ჩაერიო, ასლანთან აქვთ რალაც საქმეო. ერთხანს ხმამალალი საუბარიც იყო. არტიომას არც ეუბასუხე, ისე ავაჭერი ვერანდაზე. ასლანი გადამეხვია და, როგორც ჩვეოდა ხოლმე, ქართულად მომიკითხა. დამსწრე საზოგადოებას დიდად არ მოეწონა ჩვენი ქართულ-აფხაზური შეხვედრა. ასლანმა კი განაგრძო — ჩემი

ძმა დიდი ხანია, არ მინახავს, ჰოდა, თუ რამე და ლომკაში დაგტოვეთ, იქნებ დაფიქრდეთ და მაგ ლომკამაც გადაგიართო. ასლანმა, როგორც ჩვეოდა ხოლმე, პოლიტიკასა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე გამიბა საუბარი, მე კი ერთი სული მქონდა, საიდაზე გამეგო რამე.

ეს რა მოიგონეს, ძმაო, ჰიბრიდული ომი, მერე იდეოლოგიური, ესლა კი პანდემიები და ერთი ამბები. აი, რატო არ მევასებოდა ჰალსტუხიანი სირისტიანები, ჯერ კიდევ როდის გიყვებოდი, რომ მასონები ჩაიგდებდნენ ხელთ მართვის სადავეებს. დღეს ვკითხულობდი, ერთი როჟაა, ნობელის პრემიაც აქ აღებულები, სერიოზული მეცნიერია და იმენა აჯახა ყველას, რო ლაბორატორიაშია ეს ნეყული ვირუსი შექმნილი, მარა მაგაზე შენ უფრო მეტს ნაიკითხავდი, შენც ხო ჰალსტუხიანი ტიპი ხარ?! არ გაგიტყდეს, შენ მაგარი სპრავედლივი ხარ, ვაბზე სხვანაირი ჰალსტუხი გიკეთია... ასლანი არ ჩერდებოდა, მერე მიხვდა, რო არ ვუსმენდი — რა გჭირს შენ, რა დაგრუხული ხარ?! რა ხდება გალმი, რამე ცუდი ამბები ხო არ დაგხვდა, ბიჭო? ასლან, საიდა როგორ არის, მთელი დღეა ვეძებ. სამსახურთანაც გავიარე, მერე სანაპიროზე. ასლანმა ეგრევე გადაუხვია თემას. საიდა კი არა, ძმაო, რამდენი ხანია, არ ჩამოსულხარ, ბიჭები ვინახოთ ჯერ, მერე საღამოს გუდაუთამო უნდა წავიდე, სერიოზულ ბაიკებს დავეჯახე, გუშინ იმენა პერესტრელკა მქონდა ვილაც ლლაპებთან. ხო იცი, ერთი ჩვენი მარადონა არ მიატოვეს დალევას და მეორე მე ვერ შეეძლებ მშვიდად ცხოვრებას.

— როდის უნდა დანყნარდე, შენ ხო არ გგონია, რომ ასე ბრმად გაიტან ყველგან სიმართლეს, ერთი ტყვია შენთვისაც მოიძებნება და მერე გგონია, სოხუმში დაეცემა, გგონია, ვერ გადაიტანს უშენობას?! იცი, რა ბიჭები დაუკარგავს სოხუმს, რითი უნდა გააკვირვო აქაურობა, სისხლით, სიკვდილით, უსამართლობით? ყველაფერი გამოუვლია ამ ქალაქს, ჩვენ ვაბზე სხვა როუები უნდა ვიყოთ, წინ უნდა წავიდეთ, სხვა ენა უნდა დაინერგოს აქ, ასლან, ნუთუ არ გესმის, სხვა მოცემულობა ახლა, ჩვენი ბავშვობისგან განსხვავებით...

საუბარი მამა ანდრეას შემოსვლამ გავანწყვეტინა. ისეთი გაბრაზებული შემოვიდა მეუფე, რომ ჩემი ამბებიც კი არ მოუკითხავს, პირდაპირ გადავიდა შეტევაზე: — ასლან, მეც მეგონა, შენს ასაკში ძმობის სინმინდე ყველაფერს დაიტევდა. ლეგენდადქცეული მაგარი ტიპები, მეგონა, სამყაროს ატრიალებდნენ, მაგრამ ასე არაა, ღმერთთან შენი წესებით ვერ იქნები სამართლიანი. გგონია, მკვლელებს და ჯალათებს თუ მილიონებს აახვე, მერე განგრეულ კაიფში ნართის წინ ჩამოჯდები და ადამიანების ბედს გადაწყვეტ, რა არის სწორი და რა მართალი? ეგ სწორი საქციე-

ლია?! შენ რატო უნდა უნესებდე ვინმეს, როგორი იყოს მისი ხვალისდელი დღე. ბევრი გყავს ამქვეყნად, ვისაც მართლა უყვარხარ?! არა, ასლან, ბევრი კი არა, თითხე ჩამოსათვლელადაც კი არ გაქ მაგ კუთხით საქმე, ესეთი შეიძლება მხოლოდ ორი ადამიანი იყოს და ისინიც შენს წინაშე ისხდნენ. შენ ვერ გასწორდები ყველასთან, ნუთუ შეიძლება, ამ ვერანდიდან უყურებდე ამ სანაპიროს და ცხოვრება არ გიყვარდეს, შვილო, როგორ მარტივად გემეტება შენი თავი, — მამამო ჩემი ჭიქიდან ლუღი მოსვა და ჩამოჯდა.

ასლანი ჩვეული სიმშვიდით ჩაება დიალოგში: — თქვენ რა გგონიათ, მამაო, მე არჩევანის საშუალება დამიტოვა ხო თქვენმა თაობამ, ან დაჩის დაუტოვეთ არჩევანის საშუალება? ჰკითხა ვინმემ, რატომ მოუნია თბილისში სასწავლებლად წასვლა და რატომ არ განაგრძო სოხუმში, რატომ? თქვენი გამარჯვება დაჩის და კიდევ ბევრ ახალგაზრდას ვერ ხვდა ნილად მარტივი მიზეზის გამო — ისინი ქართველები არიან. ხო, ჩვენი ინტელიგენცია კი იძახის, რომ თანასწორობა მეფობს აქ, ჰუმანურ და მშვიდობიან სახელმწიფოს ვაშენებთ... მე შეიძლება თქვენზე მეტი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, იმიტომ, რომ ვემდური ღმერთს, ხშირად არც მახსოვს ის, ხშირად ვაიგორებ მას ჩემში... ასლანი სკამზე ღონემიხილი დაეშვა, — თქვენი გამარჯვება არ შეგვეგრო შვილებს, მამაო, და ეხლა არ მოგწონთ ჩემი ცხოვრება. მე ასე გავიზარდე. ყველაფერი წამართვა ამ ომმა. ოჯახი... განა, ოჯახი არაა ყველაფერი?! მე კიდევ ის წამართვა ომმა. მერე კი რა ხდება — მემკვიდრეობით მერეო მამაჩემის სამძმაცო. ერთმა იარალი მარქა მამინ, როცა ჯერ კიდევ მესამე კლასში ვიყავი, იმის ნაცვლად რომ ეკითხა, რა მიჭირდა, რას ვგრძნობდი, რაზე ვოცნებობდი, იარალი მარქა და ბრძნული გამომეტყველებით მომხალა — არასდროს დათმო შენი სიამაყე, კბილებით დაიცავი ის. ამ დროს არც კი ვიცოდი, რითი უნდა მეამაყა. მეორემ გარეკა, შიზოფრენიკი გახდა და მამაჩემის საფლავზე მღეროდა საღამოობით. სკოლაში, სადაც დავდიოდი, დაჩისთან მეგობრობის გამო ამითვალუნუნა ყველამ და ახლა წარმოიდგინეთ, დაჩი როგორ არავის ევასებოდა. ჩვენ ბავშვები ვიყავით, მაგრამ ბავშვობა არ გვქონია. ნაცვლად იმისა, რომ გვეფიქრა ცურვაზე, ფეხბურთზე, არც კი ვიცი, ზოგადად რაზე ფიქრობენ ხოლმე ბავშვები, იმიტომ, რომ ჩვენ მაგ დროს დიდებოვით უნდა გვეფიქრა თავის გატანაზე. ყველაზე მძიმე ასატანი კი ბები-აჩემის, შვილმკვდარი დედის, სევდიანი თვალების ყურება იყო. ის ხვდებოდა, რომ გმირები დაიღუპნენ, ხოლო დარჩენილებმა ნადავლი გადაინანილეს. ჰოდა, ქუჩაში ვიპოვე მამართლიანობა თუ არა, ჩემი

თავი მაინც ვიპოვე და სხვა არჩევანი არ დაგიტოვებიათ, თქვენმა გამარჯვებამ რა მოგვითანა, მეუფე, იცით — დაჩის ურთიერთობები და გაურკვეველი ღირებულებები, — ასლანმა კარადიდან იარალი გადმოიღო, გავარდა და მამამისის ყიგული დაძრა. თითქოს წამში მოხდა ყველაფერი. მე და მამაო შევრჩით ერთმანეთს. მამამო იმავე კარადიდან არაყი გადმოიღო და ორ ჭიქაში დაასხა. მე ისევ ჩუმად ვიყავი...

— რატო ხარ ჩუმად. ხედავ ამ ბიჭს, რა დღეშია? არც კი დამაცადა პასუხის გაცემა. მამამისიც ფიცხი იყო, მარა ეს თითქოს სულ ხიფათს დაეძებს. რაც თბილისში გადახვედი, რესტორანიც სხვას გადააბარა და სულ ასეთ თემებშია. გახსოვს, ცურვას როცა გასწავლიდი, მამინაც სულ შორს მიინევდა, არ ფიქრობდა, გამობრუნება გაუჭირდებოდა თუ არა. მერე შენ გამოგყავდა და მაგაზეც გეჩხუბებოდა. სულ დარწმუნებული იყო, რო შენს გარემოც გამოცურავდა, მაგრამ გულის სიღრმეში შენი იმედი ჰქონდა სულ და იმიტო მიინევდა ასე უშიშრად, — ჩვენი ბავშვობის გახსენებაზე მამაოს ხასიათი გამოუკეთდა, — მამინ ერთმანეთის გარეშე არ შეგეძლოთ თითქოს. სულ მეგონა და ვფიქრობდი, რომ ერთად იქნებოდით. ახლა კი თქვენი გზები გაიყარა, მაგრამ შენ ვერ მოახერხე მისი შემობრუნება, დაჩი, ის ისევ უშიშრად მიინევს ტალღებს შორის, შენ კი, როგორც მამინ, ყოველთვის უკანა გზაზე ფიქრობ. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ახლა უკვე შენც არ ყავხარ ასლანს გვერდით, რომ უკანა გზაზე დაეხმარო მას... — მამამო მესამედ დალია არყით სასვე ჭიქა და გაჩუმდა. მე სიგარეტს გაუყვიდე, ის კი ისევ ჩუმად იყო. სიჩუმე კვლავ მეუფემ დაარღვია, — მას შენ სჭირდები და სოხუმში უნდა დაბრუნდე ცოტა ხნით მაინც, უნდა დაივიწყო თბილისური ცხოვრება. ასლანიც იგივეს იზამდა შენთვის, თუმცა ვშობობ, გვიანი არ იყოს, იმდენად შეცურა უკვე. შეიძლება, შენც არ გეყოს ძალა მის გამოსაყვანად, — მეუფემ ისე უეცრად დატოვა ოთახი, ვერც კი გავიაზრე, პასუხი უნდა გამეცა, თუ უბრალოდ დავთანხმებოდი.

ასლანს თითქმის საღამომდე ველოდე მის კაფეში. ლოდინი საიდას გამოჩენის მოლოდინმაც შემიმსუბუქა, თუმცა არც საიდა გამოჩენილა და არცერთი მისი მეგობარიც კი. ვერანდაზე მჯდომს ქართული სიმღერის ხმა მომესმა. მივხვდი, ასლანი მოვიდა. ბევრი ვერ ბედავდა სოხუმში ქართული სიმღერის მოსმენას, ბევრც ვერ იტანდა ქართულ სიმღერასა და ქართველებსაც. ასლანის თვალეშში ძალიან დიდ ტკივილსა და დაბნეულობას ვხედავდი. ჩემ წინ ის ლალი და გიჟი ასლანი აღარ იდგა, რომელსაც შეეძლო, ხალხით სასვე სანაპიროზე ცეკვა დაეწყო, უბრალოდ აივანზე დამდგარიყო და ლექსი ნაეკითხა, შეიძლება, გალიმებულს ძვირფასი სოხუმელი კოლორიტიებისთვის მიეხალა: „ამის დედაც, ჯეკ, რა ამაზრზუნენი ჩანხართ, ჩემი ვერანდიდან რო გიყურებთ“.

ასლანმა ღონემიხილია შემომხედა: — შენ ხომ იცი, ასეთ ცხოვრებაზე არასდროს მოცნებია. არც იმას გეტყვი, რომ ცხოვრებამ მოიტანა და დინებას გავყვევი. ჩვენ დინებას არასდროს გავყვევითვართ, როცა ირგვლივ მხოლოდ ომის ნარჩენები იყო და ძალიან პატარები ვიყავით მამინაც კი. თუმცა აქ იმდენი რამე ხდება... ბევრი წიგნი წამიკითხავს, თუმცა ვერავინ ვნახე, ვინც შეძლება იმის აღწერას, თუ როგორი სანახავია სიცოცხლე და სიკვდილი ერთად, თუ როგორ იმარჯვებს ჩვენზე სიკვდილი, განა ვინმეს შეუძლია, სიცოცხლის გასაყარზე მყოფი ადამიანის თვალეშის აღწერა? მე კი მინახავს ასეთი თვალეშები, მაგრამ ვერასდროს აღწერე. უბრალოდ მინდა, მშვიდობა იყოს ჩემს უბანში, ჩემს ქალაქში და მე ჩემებურად ვიბრძვი ამისთვის და მართლა უნდა ეცადო, რომ გამიგო. შენ ყველაზე კარგად იცი, როგორ მიყვარს აქაურობა.

ამასობაში მოსალამოვდა. ტალღების ხმა რომ ჩაგესმის და მერე სოხუმური ჩამავალი მზე უტიფრად გიმზერს სახეში, რთულია, ნებისმიერი პრობლემა არ დაივიწყო და უბრალოდ ფანჯრის მიღმა არსებული ხედით არ დატკბე. ისე გითრევს ეს სილამაზე, რომ ფიქრებსაც კი არ აძლევს ამოტივტივების საშუალებას და უბრალოდ იყურებ... ვიყურებოდით მე და ასლანი... უბრალოდ ვიყურებოდით...



სოხუმურმა მზის ჩასვლამ ისევ საიდა გამახსენა — ხუჭუჭა თმა, დიდი შავი თვალები, პატარა ოდნავ კეხიანი ცხვირი ქონდა, რომელიც ღიმილის დროს თითქოს სწორდებოდა და ისე უხდებოდა, რომ მისი ღიმილი დაუსრულებელ ქარიზმას სძენდა მის სილამაზეს. საიდას სულ საქმიანი და თავდაჭერილი მზერა ჰქონდა. ასლანის კაფეში უამრავი ხალხი ირეოდა — „აფსნის“ ხშირად სტუმრობდნენ პოლიტიკოსები, გავლენიანი კრიმინალები, სოხუმელი პოეტები, უბრალო სოხუმჩანები და ტურისტები, მე კი მათ შორის საიდას მოძებნას ვცდილობდი.

ასლანმა მარიხუანა შეაკეთა და გაუკიდა კიდეც. დიდხანს ვიყავით ჩუმად, თითქოს ფარით ჩამდგარიყო ჩვენს შორის სიჩუმე, რომელიც ისევ ასლანმა დაარღვია:

— ისე, თბილისში რო არ წასულიყავი, საიდასთან შანსი გქონდა, კი ვიცით, რა პატივს სცემს ის მამამისს და როგორ ერიდება მისი, ისიც ვიცით, რომ მამამისს მაგრა არ ევასები, ქართველო, მარა სოხუმში რო ჩაგებარებინა, შეიძლება, მაგ შიზოფრენიკსაც შეეცვალა აზრი, — ასლანის საუბარი წარმოაგონა საიდას მეუცნაურა, თუმცა პირდაპირ კითხვის დასმაც არ მინდოდა, პასუხის მეშინოდა. ისევ ასლანმა განაგრძო, — ხშირად მოდიოდა ადრე ჩვენს კაფეში საიდა კურსელებთან ერთად, მეც დავდიოდი ხოლმე, ვაკითხავდი უნივერსიტეტში. მაგის ამბავი ხო იცი, პირდაპირ კითხვაც კი ერიდებოდა შენზე, მაგრამ ჩემით ვუყვებოდი შენს ამბებს. ერთი-ორჯერ ჩავუგდე ეგ თემა, რო გადმოსვლას აპირებდი ისევ აქეთ. ბოლოს რო ვნახე, მითხრა, ზუსტად ასე მითხრა: შენმა ძმაცაც მა არჩევანი გააკეთა და ჯობია, დამივინყოსო, — ასლანს არ ჩვეოდა ასე დეტალებში ამბების მოყოლა, გვრძნობდი, რომ რაღაც სერიოზული უნდა ეთქვა ჩემთვის, — მოკლედ, მაგის მამა ხო რამდენჯერმე იყო აფხაზეთის ომის გმირი, თან რაღაც ნოდებაც ქონია, ეხლა კიდე არჩევნებში კენჭისყრა გადაუწყვეტია, ჩვენი მერი უნდა გახდეს ეგ სირისტინი. ჰოდა, საიდა იმიტო არ პასუხობდა შენს ზარებს, რომ მისი შვილის ქართველთან ურთიერთობა, რომელიც თბილისში ცხოვრობს, ცუდად იმეორდება მის რეპუტაციაზე. მაგას ხო ისედაც არ ევასება ქართველები. მოკლედ, არც ისე კარგადაა საქმე, მარა უბრალოდ საიდას უნდა დაელოდებოდა. მეტს ვერაფერს გეტყვი. ხო იცი, მაგარი უშიშარი გოგოა, ძმაო, საიდა და თუ შენ მოხოდავ თემას, მერე სოხუმის მერობაზე კი არა, კონკრეტულად იყაროს რევაზა კენჭი, თუ გინდა...

ასლანი რომ სტიუარტს თუ ჩართავდა, უეჭველი რაღაცას იფიქრებდა. კასეტა ბავშვობაში ჩვენმა მეზობელმა ბერძენმა გრეგორამ გვაჩუქა. გრეგს აფხაზური გვარი კი ჰქონდა, თუმცა წარმოშობით ბერძენი იყო. უყვარდა როკისა და ჯაზის ლეგენდების ისტორიების მოყოლა, რაღაცებს თვითონაც წაამატებდა ხოლმე, ჩვენ მისი ერთადერთი მსმენელები ვიყავით. ამიტომ დროთა განმავლობაში ლექციების არეალი ფართოვდებოდა და უნდა ითქვას, ის ორივეს ძალიან გვიყვარდა და თავად გრეგსაც არავინ ყავდა ჩვენ გარდა. ერთადერთი შვილი სისხლიან 90-იანებში მოუკლეს. როცა გრეგს შვილის ნაჩუქარი ორდინამიკიანი მაგნიტოფონი მოპარეს, ასლანმა მთელი კრიმინალური სამყარო შეანუნა და სადამოს ნივთი უკვე გრეგს ჰქონდა. გახარებულმა ასლანს სტიუარტის კასეტები აჩუქა და დაარბია — როცა რამე სერიოზული უნდა გადაწყვიტო, მოუსმინე ხოლმეო.

რამდენიმე წუთს აბაზანიდან ასლანისა და როდის ხმა ისმოდა და, რა თქმა უნდა, ახალი იდეებით გამოვიდა. ყველანაირი წინაპირობის გარეშე დაიწყე სრულიად მოულოდნელი რამ:

— იცი რა, მეც თავისუფალი ვარ, როგორც შენ. დაჟე მაშინაც კი თავისუფალი ვარ, როცა კამერაში ვარ, იმიტომ, რომ კლიშეებით არ ვცხოვრობ. გგონია, რახან ლექსებს არ ვწერ, რომანტიკოსი არ ვარ? რადგან სულ ვხუმრობ, მელანქოლიკობიდან შორს ვარ? უბრალოდ, მჯერა იმის, რისიც მჯერა და იცი, რისიც მჯერა — ოდესმე სოხუმშიც მშვიდად ივლიან ჰიპებიც, რეგოლაციონერებიც, ძველმოღურებიც და მოდას აყოლილებიც. მაგრამ მე, ასლან თარბა, ის ასლანი ვიქნები, როგორც ახლა ვარ, ვერ შემიცვლი, ძმაო. მე ჩემმა ეპო-

ქამ მშობა და ისეთი ვარ, როგორც ვარ. შეიძლება, მოვნიო და ღამე გათენებამდე კითხვაში გავატარო, დილით გრეტან ერთად სანაპიროზე როდს მოვუსმინო, მერე მარტო ვიზოდილო ქალაქში. შემდეგ, როგორც შენ ეძახი, კრიმინალებსა და ვსოს-პასობნი ხალხს შევხვდე, მოგვიანებით ნართის წინ ნარდიც გავაგორო, მაგრამ მე შენი ძმა ასლანი ვიქნები სულ. ხანდახან მეც ვოცნებობ ისეთი სოხუმზე, თუმცა ჩვენი რეალობა ძალიან განსხვავდება შენი თბილისური ცხოვრებისგან. შენთვის ჩემი შეცვლა კი არ უნდა იყოს სოხუმის შეცვლის კრედო, პირიქით, ძმაო, ამ ქალაქში ყველას ადგილი უნდა იყოს და თუ პოეტებით, მწერლებითა და ხელოვანებით აივსება აქაურობა, დაე, მეც მიბოძოს ღმერთმა რამე ნიჭი. მე ვერ ვისუთნებ სხვა ცხოვრებით, რაღაცა უნდა ვაკეთო, მუდამ რომ ფიქრი შევძლო, ცხოვრება შევძლო...

მთელი დღე ისევ სანაპიროზე გავატარე იმ იმედით, რომ საიდას გადავეყვებოდი სადმე. ასლანმა კი თავის კაფეში დამიბარა. გული უცნაურად მიცემდა, აზრებსაც ვერ ვუყრიდი თავს, უბრალოდ მივდიოდი. ვერანდაზე ძალიან ნაცნობი, ჩემი ბავშვობის სურნელი ტრიალებდა. შესვლისთანავე დავრწმუნდი, ის აქ იყო. როცა ფეხბურთს ვთამაშობდი, ყველა მნიშვნელოვანი თამაშის წინ ვლოცულობდი, სანამ არ ჩასტვენდა მსაჯი და არ გვაუწყებდა თამაშის დაწყებას. ყოველთვის დაძაბულად ველოდი ამ მომენტს, ახლა კი ვიდექი, რამდენიმე მეტრის წინ საიდას ვუყურებდი და ვერ ვხდებოდი, რას უნდა მოეხსნა ეს დაძაბულობა ჩემთვის. ისიც არ იყო კარგ დღეში — მორცხვად მიყურებდა, ლოყები ოდნავ შენითლებოდა, ქარი ლურჯ მოსასხამს უთამაშებდა, ხმაური იყო ირგვლივ. მე კი ისევ ვიდექი და შორიდან ვუყურებდი. საქმიანი და წარმატებული გოგო კი არა, ისევ ის მორცხვი გოგო იდგა ჩემს წინ, რომელიც წლების წინ შემეყვარდა. მას ყველაზე მართალი ღიმილი ჰქონდა, თუმცა მის სახეზე ღიმილს ვერ ვპოულობდი. არც კი მახსოვს, როგორ მივესალმეთ ერთმანეთს. ბოლოსდა შევამჩნიე, ირგვლივ ჩემი კლასელები ირეოდნენ. გაუგებარი იყო ჩემთვის, რა მიზეზით შეკრიბა ეს ხალხი ასლანმა და, აი, ისიც — ასლანმა თავისი საყვარელი ყანწი შეავსო და დაიწყა:

— მადლობა, მეგობრებო, ყველანი რომ მოხვედით დღეს ჩემთან. არც ერთი თქვენგანისთვის მითქვამს აქ მოსვლის მიზეზი, უბრალოდ გითხარით, რო მჭირდებოდა და, აი, თქვენც აქ ხართ. სინამდვილეში კი არაფერში მჭირდებით, პროსტა, დატესტვის თემაა რა. აქ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, ზოგს ერთმანეთი დიდად არ გვევასება, ზოგს უნდება, ერთმანეთი არ გვინახავს, მაგრამ მაინც ახლობლად ვთვლით, ზოგი ყოველდღე ხვდებით, მარა მაინც არაგულწრფელად უღიმით. ჩვენი ბავშვობა ბევრი უცნაურობებით იყო სავსე, აი, მაგალითად, ზოგიერთი ჩვენგანი ძალიან

ამბიციური იყო და შენ, ალიკ, სულ გინდოდა, რომ სოხუმის საპატრიო მოქალაქე გამხდარიყავი. მაშინ იძახდი, რომ სოხუმელი სომხები გულზე გასკდებოდნენ, ეს თუ მოხდებოდა. შენ კი, კამა, რეზინის ბოტები გეცვია ხოლმე, მარა ისე მოძრაობდი, გეგონებოდა, თუ მოინდომებდი, ნებისმიერი ბრენდის სახე გახდებოდი, სულ იძახდი, რომ მოდელი უნდა გამხდარიყავი და მერე ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი უნდა შეგება. მე და დაჩის გვემუქრებოდა, რომ რაც უნდა კარგი ფეხბურთელები ვყოფილიყავით, ჩვენ შანსი არ გვექნებოდა. აი, გიორგი, შენ პროკურორობა გინდოდა და, მგონი, ხარ კიდევაც, მარა ჩემს ფეხებს დამიჭერ, — ეს ძველი ასლანი იყო კლასში ბუნტისთავი და ყველაზე კრეატიული, ყველა იცინოდა, — ყველაზე წყნარ და მორცხვ საიდას კი ექიმობა რომ უნდოდა, სულ რაღაც მეთაე კლასში გავიგეთ, ისიც მაშინ, როცა, არნოლდ, ხო შენ, ცხვირ-პირი დაგიმტვრიე და პირველადი დახმარება აღმოგიჩინა. არნოლდ, არ გენყინოს, ძმაო, მარა ნაღდად გეუთვნოდა — ბებიარქთან არ უნდა გელაყბა, რომ ბუფეტის უკან საქმეებს ვარჩევდი და ვენეოდი. ის ბებიაც მაგარი ოხერი ვინმე იყო, მაგრა აგალაპარაკა. ატანა, შენ მასწავლებლობა გინდოდა, თუმცა დავალებებს დიდთავსგან ინერდი. ხო, სად ბრძანდება ჩვენი ჩინოვნიკი (დიდათავე ეროკ არშა იყო, დღესდღეობით ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარი აფხაზეთში).

ერიკის ხსენებაზე ასლანმა წამყვანობა დაკარგა და კამა ჩაერთო:

— სხვათა შორის, ასლან, მადლობა რომ შეგეკრიბე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სულ შენ ილაპარაკო. ერიკი მოსკოვში იმყოფება საქმიანი ვიზიტით და ფოსტით გამომიგზავნა წერილი. თან დამაბარა, რომ ხმამაღლა წამეკითხა და იმედია, არ გამანყვეტინებ — „სანყენია, რომ ვერ მოვედი, მაგრამ ნუ მიწყენთ, დარწმუნებული ვარ, ასლანმა უკვე იმდენი ილაყბა, ვერ გაგაცივებთ და, მითუმეტეს, ვერაფრით გაგაკვირვებთ, მაგრამ მინდა, გითხარათ, რომ ბავშვობა და თითოეული თქვენგანი ძალიან მენატრება. ჩემს სამყაროში გულწრფელობის და უბრალოდ ცხოვრების დრო ნაკლებად მრჩება, მაგრამ თქვენთან ისევ გულწრფელი ვარ (ასლან, არ მენატრები რა თქმა უნდა), მიუხედავად ჩვენი მსოფლმხედველობის, ეროვნებისა თუ ეთნიკური წარმომავლობისა, ჩვენ ყველას გვაქვს ვალი ჩვენი ქალაქის წინაშე, ჩვენი აღმზრდელების წინაშე, ეს კი, ჩემი აზრით, იმით გამოიხატება, რამდენად დასტოვნი ტიპები ვიქნებით ერთმანეთის მიმართ. როგორც ჩვენ შორის ალბათ ყველაზე თავისუფალი მოქალაქე ბატონი ასლანი იტყოდა, მიხარია, რომ ერთად ხართ. ყველანი ჩვენს გემს გავყევით, მაგრამ არ დაგავინყდეთ — ადრე თუ გვიან ერთ ნავსადგურზე დავბრუნდებით და ამ ნავსადგურს სოხუმი ჰქვია“.



უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა ვერანდაზე. ასლანიც კი გაჩუმდა. თითქოს ყველანი დააფიქრა ერიკის წერილმა, თითქოს ყველამ დაუფიქრა ჩვენს თავს კითხვა — რამდენად ღირსეული ვიყავით ამდენი წლის მერე.

მე ვერანდაზე საიდას გავყევი — ორივეს გვინდოდა, ერთმანეთისთვის ჩაგვხვდა თვალეში, მაგრამ ორივენი სანაპიროს გავყურებდით. მის სურნელს და სუნთქვასაც კი ვგრძნობდი. იმაზე ფიქრიც არ მინდოდა, რომ საუბრის დაწყება ჩემში დარჩენილ ყველა იმედს ჩაკლავდა. საიდამაც არ დააყოვნა:

— შენ იცი, დაჩი, რომ ჩვენ იმ გარემოში ვცხოვრობდით, სადაც მე და შენ სიყვარული გვეკრძალებოდა, მაგრამ მე არასდროს დამიხვეია უკან, არასდროს. ახლა კი რა მოხდა? როცა ყველაზე მეტად უნდა გებრძოლა, აი, მაშინ დამტოვე მარტო. შენ უბრალოდ სოხუმში უნდა დარჩენილიყავი... ჩემთან, აქ, ყველაფერი აირია, დაჩი. შენ და ასლანსაც ყველაზე კარგად მე გიცნობთ. ნუ აწყობთ მასკარადებს. გგონია, ვერ ვხვდები? ჩვენი შეხვედრა რომ მოენყყო, მაგიტო შეყარა მთელი კლასი ამ გადააფიქრებდა. უბრალოდ, აზრი არ აქვს. ყველაფერი აირია. მე უკვე დაბრუნდებოდი და ძალიან კარგი ბიჭია ასტიკი, ველარავინ გადამარწმუნებს და არ ღირს ამის გამო ომის ატეხვა. შენ ვერც წარმოიდგენ, ასლანი რა დღეშია აქ, თითქოს სიკვდილს დაეძებო. მის გარეშე მთავრობასაც კი ერიდებოდა სოხუმში რამის გადაწყვეტა. ის კრიმინალური სამყაროს ვარსკვლავია, მაგრამ იქაც ვერ იტანს ბევრი, არც მთავრობას მოსწონს დიდად მისი თავგასულობა. შენც უნდა იფიქრო შენს მომავალზე. ჩვენი სიყვარული მხოლოდ კარგი მოგონებებია. რაღაცები ჩვენდაუკითხავად მთავრდება, რაღაცები ჩვენ თვითონ ვამთავრებთ, თუმცა მერნ-მუნე, შენი და ჩემი გზები გაიყარა სამუდამოდ, — საიდა უმალ შებრუნდა და მაგიდისკენ დაიძრა.

წავიდა და მხოლოდ მისი სურნელიღა შემომრჩა ვერანდაზე უტიფარი რეალობის შემეფიქრეს, ის კი ისე ლამაზად მიდიოდა, რომ მხოლოდ იმაზე გზრზობდი, ქარი რო მიფანტავდა ნელ-ნელა მის სურნელს. თითქოს ირგვლივ ყველაფერი გაჩერდა, ღრიანცელის ხმა ჩაიხშო და მხოლოდ ტალღებს ვუსმენდი. ქარის და ტალღების ხმა ისმოდა მხოლოდ. იმართლის მეშინოდა. საიდა მართალი იყო, მე ის მივატოვე. ახლა კი უფლება არ მქონდა, მხოლოდ ჩემს თავზე მეფიქრა და საიდასთვისაც ისევ ყველაფერი ამერი.

ასლანი ხომ ყველაზე კარგად, უთქმელად, მიცნობდა, გვერდით მომიჯდა და მარიხუანა შეაკეთა:

— უარსებები რომ გადაგვიტანია, გეც ფაქტია. თუმცა ერთს გეტყვი: შეიძლება, ბევრი ბედნიერი წამი ვერ მიგვაქვ, როცა საყვარელი ადამიანს ვუშვებთ ჩვენი ცხოვრებიდან, თუმცა უნდა გვასოვდეს, რომ ჩვენი წასვლით, შესაძლოა, მას უამრავ ბედნიერ დღეს ვუტოვებთ...

არასდროს მჯეროდა მხოლოდ ბედისწერის, არც იმის, რომ უკან დახევას ან ლოკაში ჩავსვამდი ან სილარედ არ ჩავუთკლიდი ჩემს თავს, თუმცა საიდას თვალეში... დიდხანს ვეძებდი მის თვალეში უბრალო ბავშვურ გამოხედვას და იმ შორთალ ღიმილს, რომელიც ასე მიყვარდა. მის თვალეში ბორკილებს ვხედავდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ სდომოდა, აუცილებლად დაამსხვრევდა მას. მე ჩემი შეცდომები უნდა გამოემსწორობინა. სოხუმში ბევრი რამე აღარ იყო ისე, როგორც ადრე, თუმცა ასლანი... ის ისევ ტრიაბახობდა:

— საერთოდაც, როდესმე შეიგნებ, რომ ყოველთვის, როდესაც ცურვისას მხმარებოდი, რეალურად შენი დახმარება არ მჭირდებოდა, უბრალოდ თავის გამოჩენა ვიყვართ ამ ქართველებს. არა, შენ ტრიპა-ჩი როჟა ვაბზე არ ხარ, მარა ხო ხვდები, გენეტიკის ამბავია...

არ ჩერდებოდა, ძველებურად დაუსრულებლად ლაყბობდა, მეც ვიცინოდი. კაფეში მთელი კლასი რუსულ შანსონზე აცეკვებულ-ამღერებელი ერთობოდა, სოხუმური ნიავე უბრალოდ, ტალღები გაურკვეველად ბობოქრობდნენ, მე კი შევბრუნდი და როდ სტიუარტი ჩავრთე. როდის მოსმენა აქ არავის უეკირდა, თუმცა განსხვავება ის იყო, რომ ახლა ის ასლანმა კი არა, მე ჩავრთე. მე სახლში ვიყავი და ეს ასეც უნდა ყოფილიყო.





თორნიკე გოგნიაშვილი

### დამხრჩვალნი მონადირის ამბავი

მძიმებრის დასაწყისი იყო, თბილი, შემოდგომის მკრთალი მზით განათებული დღე. გზებზე კაკლის დამჭკნარი ფოთლები ეყარა, ჰაერში ხილის სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა — ტკბილი, ღვინისა და ატმის დამატებული სურნელი. სოფელს ეტყობოდა, რომ მისთვის საუკეთესო პერიოდი იდგა.

მე და ჩემი ძმობილი, ნიკოლოზი, ყარაბულახის ბაღ-ვენახებიდან მოვდიოდით. მომცრო სათლებით ვენახის ატმები მოგვექონდა. გზად ათას რამეზე ვლაპარაკობდით — შემოდგომაზე, რთველზე, ღვინოზე, გლეხი ხალხის ცხოვრებაზე, ჩოლოყაშვილთა გვარზე და მათი ერთ-ერთი წარმომადგენლის, თადია ჩოლოყაშვილის სახლზე, ცოტა ხნის წინ რომ ჩამოვიტოვეთ, უმძვენიერეს მელიტაზე, მაშინდელ ცხოვრებაზე და ასე და ასე შემდეგ.

კარგა მანძილი გავიარეთ, შევდექით დასასვენებლად, სათლები ფრთხილად დავუშვიეთ, დასაჯდომად ადგილს დავუწყეთ ძებნა. სული რომ მოვითქვით და გზის გაგრძელება დავაპირეთ, ნიკოლოზის ყურადღება რაღაცამ მიიქცია, პირდაპირ იყურებოდა გაშტერებით და ხმას არ იღებდა.

წინა დღეებში წვიმები იყო. სოფელი გადარეცხაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ ერთხანს გულიანად კი იწვიდა, გზის ჩაღრმავებული გზებში გაჩინა.

კარგად რომ დავაკვირდი, მივხვდი, ნიკოლოზი გუბებს უყურებდა, ოღონდ რით იყო ეს გუბე გამორჩეული, ვერ დავადგინე.

— რა იყო, ბიჯო? — ვკითხე გაოცებულმა.

ხმა არ გამცა, ადგა და ახლოს მივიდა გუბესთან.

მიზეზი, რამაც მიიქცია ჯერ ნიკოლოზის, შემდეგ კი ჩემი ყურადღება, გუბეში ჩაყრილი ჩექმები თუ ბოტები იყო. ისინი ისე ტივტივებდნენ ჭაობისფერ, პატარა ბალახებით შემოსაზღვრულ გუბეში, როგორც ტივის მკვეთები.

ნიკოლოზი დადგა, დონიანი შემოიყარა, ასე უყურა ცოტა ხანს, მერე დაიხარა, ახლოდან შეხედა.

— რა იყო? — ვკითხე ისევ გაოცებულმა.

— კაცი არ იყოს დამხრჩვალნი! — თქვა სერიოზული ხმით.

— რას ამბობ, ბიჯო?

— ჰო, რავი. იქნებ ჩაიძირა! — თქვა და თავი მოიფხანა.

ჯერ გამეცინა, მერე დავსერიოზულდი, დავიჯერე. წამიერად შიშმაც კი შემიპყრო, მეც დონიანი შემოვიყარე და მოშორებით დავდექი.

— რა ვქნათ? — ვკითხე ნიკოლოზს.

— დაიცა!

გავიდა, საიდანაც კაკლის თუ რომელიღაც სხვა ხის ტოტი მოიტანა და გუბეში ჩაყო. ჩაყო და დაატრიალა, ხან იქით

მოქექა, ხან აქეთ, ასე ატრიალა კარგა ხანს, მერე, რომ მიხვდა, სისულელეს აკეთებდა, გაბრაზებულმა დაახეთქა ჯოხი.

— რა ქენი ახლა? — ვკითხე ამჯერად ცოტა გულმოსულმა.

— მიდი, აბა, შენ! — მითხრა მოლუშულმა.

მივედი, მეც ასე ვურიე ცოტა ხანს.

— კარგად დაანექი? იქნებ ღრმაა და შენ ვერ გაიგე? გარშემო ატრიალე, მგონი! — ვუბნებოდი ნიკოლოზს და რაც შემეძლო, ვანვებოდი გუბის სიღრმეს.

მაღე დავრწმუნდით, რომ გუბე ძალიან პატარა იყო, ის ჩექმები თუ ბოტები ვიღაცას გადაეყარა და იქ არავინ იყო დამხრჩვალნი.

სათლები ავიღეთ, უჩუმრად ამოვედით ბაღ-ვენახებიდან, აღარაფერზე გვილაპარაკია.

#### სამი დღის შემდეგ:

ქარიანი ამინდი იყო, ჰაერში კაკლის გამხმარი ფოთლები ფრიალებდნენ, ქარს მსუბუქი, ძალიან ცივი, ფერფლივით წვრილი წვიმაც მოსდევდა.

უბნის ბიჭები ერთი ნახევრადანგრეული სახლის უკან კარტს ვთამაშობდით, ნიკოლოზიც იქ იყო, კაკლის ხის კუნძზე გავგვეშალა ქალაღი და ზედ ვათამაშობდით „ბურას“.

— ეს ხელი წაგებულა! — უთხრა ერთმა მსუბუქანმა ბიჭმა ნიკოლოზს და გულის ვალეტი გადმოაგდო.

ამ დროს ფეხის ხმა შემომესმა. უკან მივიხედე. პატარა ქუჩიდან კაცმა გამოიარა, ჩვენს სოფელში ნადირობით განთქმულმა, სამხედრო შარვალი და ძალიან უშლი ქურთუკი ეცვა, მხარზე თოკზე ასხმული ჩექმები გადაეკიდა, მშვიდად მოაბიჯებდა.

კაცი გაგვისწორდა, მოგვესალმა და გზა განაგრძო.

მე იმდღევანდელი ამბავი გამახსენდა, ჯერ რაღაც ქვეშეცნეულმა შიშმა ამიტანა, რაღაც მოვიმიზეზე და სახლში წავედი.

ღამე დამესიზმრა, ვითომ იქ ვიყავი, იმ გუბეებში, ასე ვურევი მღვრიე წყალს, ვურევი და უცებ... იმ მონადირემ ამოყო თავი.

— ჰაიტი! — დამიძახა და გაიცინა.

წამოვხტი შეშინებული, აკანკალებული, ჰაერზე დავაპირე გასვლა, მერე ღრმად ამოვისუნთქე, აჩქარებული გული დანყინარდა, გამეცინა, რა სისულელე ჩავიხვიე გულში-მეთქი. კარგად რომ დავწყნარდი, გუნებაში შევაქე ნიკოლოზი იმდღევანდელი ყურადღებისთვის, როგორ დაინტერესდა ადამიანის ბედით, როგორ ადამიანურად მოიქცა.

### ავარიული დაშვება

ღიდალ უხასიათო ბავშვი ვიყავი, ძალიან ჩუმი და უხმაური. იშვიათად რაიმეს გაეხარებინა ჩემი გული, არც ბავშვების ყრიაშულში ყოფნა მართობდა, არც ველო-

სიპედი, არც ციგაობა. ჩემი გასართობები იყო: ტალახისა და აგურის სახლების ამენება, სათამაშო მანქანები და ბურთის გორბობა. სულ ეს იყო. არადა, ჩემი თანატოლები რითი აღარ ერთობოდნენ, სად აღარ დაეხეტებოდნენ.

ზამთარში ყინულზე სრიალი იყო მთავარი თავშესაქცევი, მოყინავდა ნაძვების სიახლოვეს რამდენიმე მეტრზე, გადალესავდა, მოსარკვევდა, დადგებოდნენ ბიჭები, დაიძახებდნენ: აეეე! და გასრიალდებოდნენ.

მე გადანყვტილი მქონდა, რომ არ შეიძლებოდა ჩემი გასრიალება, დარწმუნებული ვიყავი, დავეცემოდი და არ ვეკარებოდი იქაურობას, საკმარისი იყო, დამენახა მოსრიალე ბავშვები, რომ მაშინვე ვერიდებოდი, მემშინოდა, არ შემოეთავაზებინათ.

ვერც გუნდაობას ვიტანდი. ხელები მეყინებოდა, გაიჟლინებოდა ნაქსოვი ხელთათმანი წყლით და თითები მეკლაკნებოდა ყინვისგან.

ვერიდებოდი ციგასაც — მიუხედავად იმისა, რომ ორი ციგა მქონდა, მამაჩემისდროინდელი, იმის ბავშვობის. ერთი ჩვეულებრივი იყო, რკინის, ზემოდან წვრილი ხეები ეკრა, მეორე უფრო ლამაზი იყო, ველოსიპედის საჭეს ჰგავდა იმისი საჭე, ლურჯი იყო, სავარაუდოდ, რომელიმე კარგი ქარხნის აწყობილი.

როცა სხვები სრიალებდნენ, გუნდაობდნენ, ციგაობდნენ, მე ან წიგნს ვკითხულობდი სახლში, ლუმელთან მიმჯდარი, ან ფილმებს ვუყურებდი ტელევიზორში. ხანდახან ფანჯარაში გავიხედებოდი, დავინახავდი აღრიანცელებულ ბავშვებს და გამეცინებოდა, რას ხედავენ საინტერესოს-მეთქი ამ უცნაურ გასართობში.

მეგონა, ჩემი ბავშვობა ისე ჩაივლიდა, არც ერთხელ გავსრიალდებოდი ციგით, მაგრამ შევცდი, უფრო სწორად, შემაცდინეს. მეგობარი მესტუმრა ერთ ზამთარს, მთხოვა, წამოდი, ერთხელ გვაჩვენე შენი გასრიალებაო. ისე მთხოვა, თითქოს ჩემი გასრიალება რაიმე თვალწარმტაცი სანახაობა იქნებოდა. უარი ვუთხარი. მერე ისევ მთხოვა, აღარ მომეშვა, დამითანხმა. ავიღე ის ლამაზი ციგა და წავედი.

ცენტრთან ახლოს დაღმართი ჩადიოდა, სკოლაში დავდიოდით იმ გზით. ახლოს ვენახებიც იყო, მარჯვენა მხარეს, ერთ სიგრძეზე მაყვლის ბუჩქები იყო, არც ისხამდა ის ბუჩქები არასოდეს, მაგრამ არც ხმებოდა, ზამთარ-ზაფხულ ასე ირმის რქებივით გახევებული ნაშოჭიმულიყო და გზას უცნაურ იერს სძენდა.

რომ მივედი, რამდენიმე ბავშვი კიდევ დამხვდა იქ, ოვაციით შემეგებნენ, ვერ დაიჯერეს, რომ გავედი.

— ვააა, ბიჯოოო! — შემეგება ერთი ლოყებდანიტლებული, მსუქანი მეგობარი, რომელსაც ნაქსოვი, ბურთიანი ქუდი დაეხურა.

— აქედან დაეშვი, მერე ჩვენი დავემეგებით! — შემომთავაზა მეორემ, რომელიც აკანკალებული იდგა. როგორც ჩანს, სანამ გავიდი, ეგუნდავა, თანაც შიშველი ხელით. ამას იქიდან მივხვდი, რომ თითებს არ ასვენებდა, ხან ჯიბეებში ჩაიყოფდა, ხან ამოიღებდა, დაიორთქლებდა, ეწვოდა აშკარად.

გადანწყდა, შერჩა ბილიკი, ციგას თოკი მოვხსენი და ადგილი დავიკავე.

მიუხედავად საშინელი სიცივისა, მზე იყო. უცნაურია, მაგრამ მზის საოცრად ყვითელი, მზინავი სხივები იშლებოდნენ ქათქათა თოვლზე და ისეთ იერს სძენდნენ გარემოს, თითქოს ვიღაცას ოქროს მტვერი მოეხინა.

ახალი გასული ვიყავი. არ მცოიდა, მხოლოდ ის ამბავი მანუხებდა, რომ ციგაობაში გამოუცდელი ვიყავი.

— მომანქით, აბა! — ვუთხარი მეგობრებს და დავეშვი.

ჩემი ციგა ჯერ სწორად დაიძრა, გასრიალდა რამდენიმე მეტრს, მერე ოდნავ გამექცა საჭე, კენჭზე ახტა, მარცხნივ წაიღო, მერე მე შემოვატრიალე მარჯვნივ, გასწორება მინდოდა, მაგრამ ძალიან მარჯვნივ მომივიდა, ვეღარ გავასწორე ტრანსპორტი და რამდენიმე წამში პირდაპირ ბუჩქებში ამოვყავი თავი.

დაშვება წარუმატებელი გამოდგა, ეკლებზე გავიყვლიფე ხელები, სახე, კისერი, კიდევ კარგი, რომ თვალები არ გამოვიტხარე.

ურჩუმრად, ჩემით გამოვედი იმ გაუგებრობიდან, ბიჭებს თითით ვანიშნე, არ-

აფერი თქვათ-მეთქი, ავიტანე ციგა ტრასაზე, ჩავაბი თოკი, ერთი უკმაყოფილოდ დავიქნიე ხელი და წავედი.

თვალს უნდა მივფარებოდი, რომ გავჩერდი. ერთ-ერთს დავუძახე. მოვიდა, რა ხდება, როგორ ხარო. ციგა დავეშტოვე, ისრიალეთ და რომ მორჩებით, მომიტანეთ-მეთქი. როგორ ვიყავი, არ ვუთხარი, ისედაც ხვდებოდა.

ამის შემდეგ თოვლის პაპაც კი აღარ გამიკეთებია ეზოში, გუნდაობაზე, სრიალსა და ციგაობაზე ხომ ზედმეტია საუბარი.

ჩემნაირი უხასიათო კაცისთვის ცუდი ამინდები მეტისმეტია.

### უცხო რამ

ბაზაფხულში იყო, თბილი დღე. წინა დღეების წვიმებისგან გზა დამსკდარიყო, კუს ბაკანს ჰგავდა ზოგიერთი ადგილი. სასიამოვნო ამინდი იყო სასეირნოდ, სახეტიალოდ, სადმე წასასვლელად.

თანასოფლელებმა, არ ვიცი, ვისი ინიციატივით, ლანძღვზე გადანყვტივს წასვლა. ერთმა კეთილმა კაცმა თავისი სატირით გამოიყვანა და გავემზადეთ წასასვლელად.

უმეტესად ქალები იყვნენ, მხოლოდ სამი კაცი იყო, რამდენიმე ბავშვიც. ძარაში ზოგი პატარა სკამზე იჯდა, ზოგს ნაჭერი თუ ცელოფნის პარკი დაეფინა დაბლა. მე ფეხზე ვიდექი, მთელი გზა მუხისა და რცხილის ფოთლებს დავდევი, უკან ჩამოტოვებისას რომ რჩებოდა ძარაში, ასე ვიქცევდი თავს, ავიღებდი ფოთოლს, დავიდე მუშტზე და დავარტყამდი სილას. ასე, როგორც წესი, ბავშვები კაკლის ფოთოლს ვხევედით, ამიტომაც მუხისა და ნიფლის შედარებით წვრილ ფოთოლზე ეს ნაკლებად გამოდიოდა.

ავედი. ქალები ლანძღვს შეესვენენ, კაცებმა ცეცხლი დაანთეს, სამწვადე წამოაგეს შამფურზე (არც ვიცი, ნამოლებული თუ ჰქონდათ), ღვინო გადმოიღეს პლასტმასის პატარა ბოცით და საქეიფოდ მოემზადნენ.

მე ვერც ქალებთან გავჩერდი, ვერც კაცებთან, ბავშვებსაც ავარიდე თავი და, როგორც მწვიოდა, მარტო დავიყვი ყიალი. ვიარე, ვუყურე ხან ლამაზ ხეებს, ხან აყვავებულ ყვავილებს, ხან ნემომპალაში აფუსფუსებულ ხოჭოებსა თუ სხვა მწერებს.

როცა დავივალე, ბავშვებთან მივედი. თხნი იყვნენ, რაღაც უინტერესო თამაშს თამაშობდნენ. თავიდან მეც ჩავიხვი, მერე გული ვერ დავუდე და ისევ მარტო გავაგრძელე ყიალი.

ტყეში საამო სურნელი იდგა უცხო მცენარეების, ზოგან ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა, ზოგან შორს მოუღუნე მდინარის ხმა, მე ბავშვური სისულელებით ვერთობოდი — ხან დავწვებოდი, გადავგორებოდი სახედარივით, ხან ფოთლებს ავყრიდი ჰაერში, ხან ხეზე ავცოცდებოდი, ვითომ ჩიტის ბუდეები უნდა მენახა.

კრეფა დასრულდა. მანქანასთან მივედი, ქალებს სულ გავესოთ ლანძღვით წამოღებული ტომრები, კაცები (მძღოლის გარდა) ოდნავ შემთვრალნი იდგნენ, თავისთვის ღიღინებდნენ რაღაც საქეიფო სიმღერას, ბავშვები ძარაში აცოცებულ-იყვნენ და იქ განაგრძობდნენ იმ მოსაწყენ თამაშს.

ერთ ქალს შროშანებიც დაეკრიფა, ლამაზი თაფლური გაეკეთებინა და ხან ერთ ქალს აჩვენებდა და ხან — მეორეს.

წასვლას ვაპირებდით, რომ შემთვრალთაგან ერთ-ერთი განზე გადავა, პატარა გუბესთან მივიდა, გუბე არც ეთქმოდა, უფრო ჯამისტოლა ჭაობი იყო. კაცი დაიხარა, რაღაც აიღო და ხელი დავიქნიდა, მოდიო. მხოლოდ მე მივაქციე ყურადღება. მივედი, კაცმა ხელი გამაღა, ხელისგულზე რაღაც უცნაური არსება ეჯდა — არც ხელიკი იყო, არც ჯოჯო, არც რაიმე მსგავსი, უფრო სწორად, ყველა მათი მსგავსი და თან ძალიან განსხვავებული. კაცმა უყურა ერთხანს, მერე მკითხა, თუ განახავს ასეთი რამეო. არა-მეთქი, ვუპასუხე. კაცმა ერთი ამოისუნთქა ღრმად და ის არსება გაისროლა.

მანქანა ხმაურით დაიძრა. წამოვედით. მოვდიოდით ოღრო-ჩოღრო გზებზე, მანქანა ხან ერთ ორმოში დაქანდებოდა, ხან მეორეში. ძარაში საშინელი ხმაური იყო. ყველა თავისას ლაპარაკობდა — ქალები



თავის თემებზე, ბავშვები თავისაზე, კაცები სალონში ისხდნენ და იქ როხროხებდნენ დევნილებით. მთელი გზა იმაზე ვფიქრობდი, რა უნდა ყოფილიყო ის არსება, რომელსაც ვერც ერთი სახელი ვერ მივაკუთვნებ.

მას მერე მრავალი ენციკლოპედია ვნახე, მრავალ დოკუმენტურ ფილმს ვუყურე უცნაურ სულიერთა შესახებ, თუმცა მსგავსი ველარსად ვნახე.

რა უცნაურია ბუნება — შენთანაა, შენ გვერდით. ხედავ, აბიჯებ, ემეგობრები, მაგრამ მაინც უცხოა, ზედმეტად უცხო.

### უცნაური მანქანა

შემოდგომა იდგა, ქარიანი დღე, გაძარცვულ ხეებზე აქა-იქ შერჩენილ ფოთლებს ქარი ატოკებდა, ძირსჩამოყრილი, გაბნეული ფოთლების გუნდი ღობის ხან ერთ მხარეს მივიდოდა ხან მეორეზე. ეზოში მტვერი, ფოთოლი და ქარის ფრთები ერთდროულად ფრიალებდა.

ეზოს სიახლოვეს ჯერ სატვირთოს ხმა გაისმა, შემდეგ კარი გაჭრიალდა, მამაჩემი და ბიძაჩემი შემოვიდნენ, ჭიშკარი გააღეს და სატვირთოს მძღოლს დაუქნიეს ხელი.

სატვირთოზე უცნაური მანქანა იდო — „მოსკვიჩი“. ოღონდ მისი უცნაურობა „მოსკვიჩობაში“ არ იყო, უცნაურობა ის გახლდათ, რომ იგი ძალიან ჭრელი იყო — ერთი კარი ნითელი ჰქონდა, მეორე თეთრი, მესამე სხვა ფერი, მეოთხე სხვა, უკანა საბარგული ყვითელი ჰქონდა, ძრავის საფარბეული ნითელი.

სატვირთო შემოინია, ეზოს შესასვლელში გაჩერდა. მამამ საიდანღაც ფიცრები გამოიტანა, ძარაზე დააღაგა. ბიძაჩემი ავიდა, მანქანას ოდნავ მიანვა, ასე ჩამოაგორეს ნელ-ნელა.

სატვირთოს მძღოლს ხელი დაუქნიეს, ჩამოდიო და სახლში შეიპატუეს. საქეიფოდ დასხდნენ. მე მთელი დღე ვფიქრობდი, რად უნდოდათ ასეთი მანქანა, დროდადრო თამაშს თავს ვანებებდი, ვუფიქრდებოდი, ვარაუდებს გამოვთქვამდი, ხან მეგონა, რომ გადაღებავდნენ, ხან მეგონა, რომ ვენახში ივლიდნენ, ხან რა ვიფიქრე, ხან — რა.

კითხვა ვერ გავბედე, მორიდებული ბავშვი ვიყავი და უხერხულად მივიჩნიე. მხოლოდ რამდენიმე დღის მერე გაირკვა, რადაც უნდოდათ.

იმ დილით ადრინადად ავდექი, სწრაფად ვჭამე რძეში მოხარშული მაკარონი და ეზოში ჩავედი. თბილი დღე იყო, ქარი აღარ ქროდა, მზის სასიამოვნო სხივები იფრქვეოდა ეზოში.

დავინახე, მანქანა დაეშალათ, ეზოში რამდენიმე კაცი იდგა, ზოგს კარი ეჭირა ხელში, ზოგს უკანა საბარგული, ზოგსაც ძრავის საფარბეული. ასე გაზიდეს მანქანა — დაშლილი, დანანერვებული. მხოლოდ ერთი კარი დარჩა, ნითელი, როგორც ჩანს, არავის დასჭირდა. ბიძაჩემმა აიღო ის კარი და ფარდულზე შემოღო.

ვინ იყო ის ხალხი და რად უნდოდათ ის ნაწილები, დღესაც არ ვიცი.

იმ ღამეს დამესიზმრა, თითქოს იმ გაძარცვული მანქანით მივქროდი. მხოლოდ სავარძლები და საჭე იყო, წარმოიდგინეთ, ძრავაც კი არ ჰქონდა. მივქროდი ქარში, დიდ ტყეში, არც ხეს ვეჯახებოდი, არც ბუჩქს. მერე მანქანა ოდნავ დამუხრუჭდა, ჯერ ბორბლები გასცვივდა, მერე საჭე გავარდა, მერე სავარძლები გადმოვარდა. შევეცბი, შეშინებული გადმოვხტი, გადმოვხტი და თვალი რომ გავახილე, იატაკზე ვიყავი დავარდნილი.

### ფეხბურთზე ვსაუბრობდი...

მემომბრის სახლის წინ მიტოვებული სახლი იყო. ხეხილიანი ეზო ჰქონდა, დიდი, ორნამენტებიანი ჭიშკარი. სახლის წინ, ხის ღობესთან, ცაცხვები იდგა, ცაცხვებმორის ხის სკამი იყო გაკვეთებული, მოსასვენებელი ადგილი, ეგრეთ ნოდებული „ბიჩა“. ღობესთან ატმის მოზრდილი ხე ასვეტილიყო, ტოტები სკამისკენ გადმოეყო. ზაფხული იყო, ცხელი დღე, დღის სამი საათი. სამი მეგობარი იმ სკამზე ვისხედით

და ვსაუბრობდით. საუბარი, რა თქმა უნდა, ფეხბურთს შეეხებოდა. დროდადრო ვდგებოდით, ატამს ვწყვეტიდით და ისევ ვსხედებოდით სკამზე.

ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ ჩვენ ვისხედით.

როცა საუბრით დავილაღეთ, ცოტა ხანს გავჩუმდით. ვისხედით და ვდუმდით, ვილაცხას შთაბეჭდილება დარჩებოდა, რაღაც დანაშაული ჩაიდინეს და ამიტომ არიან ასე გასუსულებიო.

მანქანამ გამოიარა, მონითალო ჯიპმა, დაასიგნალა და გაიქროლა.

მანქანისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, ხელი ავნიე უმისამართოდ. გაიარა, გაიარა, მხოლოდ ფერი შევნიშნე და ეგ არის, მარკაც ვერ გავიგე, რა იყო, მითუმეტეს, შიგნით ვინ იჯდა, ვერ ვიცანი.

ასე ვისხედით ისევ დუმდით, რომ ორიოდ ნუთმი ისევ გამოიქროლა, ისევ დაასიგნალა, მე ისევ უყურადღებოდ ვიჯექი, ამჯერად თვალი მქონდა დახუჭული და საკუთარი ფიქრებში ვართული, კედელზე თავმყარდნობილი ვმდუმარებდი.

ცოტა ხანში ისევ ვილაპარაკეთ ფეხბურთზე, მერე ისევ გავჩუმდით, ისევ მდუმარება.

მანქანამ ისევ გამოიარა, ისევ დაასიგნალა. ამჯერად დავინახე, იგივე მანქანა იყო.

— ნელანაც ეს იყო, ბიჭებო? — ვკითხე ერთ მეგობარს, რომელიც თავდახრილი იჯდა, ეტყობოდა, სახლში წასვლა უნდოდა, მაგრამ ეზარებოდა ადგომა.

— მგონი, რავი! — მიპასუხა უხალისოდ.

— ეგ იყო, მა ვინ იყო! — დაადასტურა მეორემ.

— კიდევ გამოვივს! — ვთქვი და ისევ გავჩუმდი.

მალ-მალე ვიყურებოდი გზისკენ. არ დააყუნა, გამოჩნდა.

სანამ მოგვიახლოვდებოდა, ავდექი, გზაზე დავდექი და ორივე ხელი ავნიე.

მანქანა გაჩერდა. ვიცანი — სოფელში შარიანობით ცნობილი ბიჭები იყვნენ, ბიძაშვილები.

გადმოვიდნენ, ახლოს მოვიდნენ.

— რა გინდათ? — იკითხა ერთ-ერთმა და სათვალე ჩამოინია.

— მიცნობ? — იყო ჩემგან პასუხად.

— კი! — მიპასუხა ისევ იმან.

— მერე? — ვკითხე ისევ მე.

— რაღა მერე? — ისევ ის.

— ბიჭო, დღეში რამდენჯერ ესალმები ხალხს? ან ვერ გვიცანი, ან გვაშაყრებ, მაგრამ სამჯერ როგორ ვერ გვიცანი? — დავასრულე და მუშტები მოვიფენიე, დარწმუნებული ვიყავი, ჩხუბი ატყებოდა.

ჯერ ხმას არ იღებდნენ, ჩუმად იდგნენ. მერე როგორღაც ამოღერდეს, გეხუმრეთ და ბოდიშით. თანასოფელისგან ხუმრობა როგორ უნდა გენყინოსო. გაგამხიარულეთო.

ამ სიტყვამ ღიმილი მომგვარა, როგორ გვჭირდებოდა მათი გამხიარულება და, აჰა, გამოჩნდნენ კიდევც.

შევატყვე, ვერ იყვნენ ჯანზე, ვილაცხას თუ რაღაცას რქები მოუღუნა მათთვის. არაფერი მიპასუხია, მივედი ისევ იმ სკამთან და დავჯექი.

წავიდნენ.

რომ წავიდნენ, ბიჭებმა მითხრეს, წინა დღეს მეზობელ სოფელში ჩხუბი მოსვლიდათ და საშინლად გაელახათ ორივე. სულ ქამრით აეჭრელებინათ გვერდები. ყოფილი პოლიციელები იყვნენ, ვინც ესენი გაელახა და ადგილები იცოდნენო, მითხრა მეგობარმა ცაცხვითი ფრაზა.

შემეცოდნენ ძალიან. კიდევ რომ გამოეველოთ და დაესიგნალეზინათ, ხმას არ გაცემდით. ისე, რამ მოაფიქრათ ეს გამხიარულება? საიდან შეგვატყვეს, რომ გამხიარულება გვინდოდა? ალბათ დაბნეულობის შედეგი იყო, ან იმ ჩხუბის და გალახვის მერე გადაწყვიტეს გამოსწორება, ხალხის განწყობაზე ზრუნვა. რას გაიგებ კაცი, ცუდაა, რომ სანამ არ მოგხვდება, ჭკუაზე მოსვლა გიჭირს ზოგჯერ ახალგაზრდა კაცს.

ამ ამბის მერე დავუმეგობრდი ორივეს. მართლა შეიცვალნენ, შარს თავი ანებეს და შრომას დაუმეგობრდნენ. ვხედავდი ხოლმე მათ სახლთან ჩავლისას, როგორ იღებდნენ თივას კავით და როგორ იძახებდნენ ხმა-მალა: „შრომამ შექმნა ადამიანი“.

### უადგილო სუმრობა

ზამთარი. შუადღე. მსუბუქად თოვს, თხელი, მწერისფრთებივით სიფრიფანა ფიფქები იყრება ციდან. დაბლა თოვლის ხალიჩებია დაფენილი, მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩანს სიმავე, ტალახი, ადამიანის ნაბიჯებისგან დატოვებული კვალი.

ეზოში ვარ, ღობესთან მიყრილ შეშებს ვაპობ. ავიქნე ნაჯახს, ჩამოვართლი კუნძს ნაჭერს, მერე დავავლებ ამ ნაჭერს ხელს და ერთად დაქუჩებულ ნაჭერს ვაყრი.

ვჯდები, ვისვენებ, ნაჯახს ვეყრდნობი. ხმაური მესმის, ვილაცხები ლაპარაკობენ, ვიხედები ღობისკენ და ვხედავ ჩემს მეგობრებს — სანდროს და ბექას. სანდროს ნითელი მამალი უჭირავს ხელში.

მოდიან, ნელა მოაბიჯებენ, ლაპარაკობენ რაღაცას.

— გამარჯობა! — მეუბნება ბექა.

— სალამი! აგერ რა დღეში ვარ, ვშრომობ! — ვეუბნები მეგობრებს.

— ჰოდა, ეხლა დაისვენე! მიდი, გამოიცვალე და საქეიფოდ წავიდე! იგი, რა მამალია! ისე წავაცალო თავი, აი, დედასაა! — მეუბნება სანდრო.

— ხომ იცით, რომ არ ვსვამ? — ვპასუხობ კითხვით.

— გვითამადე! ნუ დალევ! — მეუბნება სანდრო.

უარი ველარ ვუთხარი. შევედი სახლში, გამოვიცვალე, მოვწესრიგე და გავედი.

წავედი ზემო უბანში, ერთ კარგ კაცთან. ლამაზი ეზო ჰქონდა, ათასნაირი ხილი, ხეივანი, სათონე, საოცარი მარანი.

მივედი. აღტაცებული დავხვდა, თქვენს მოსვლას და ჩემს დახვედრას გაუმარჯოსო, შემოსძახა. ჩანდა, უკვე მიღებული ჰქონდა საუცხოო სითხე.

ხელი ჩამოვართვით. სანდრომ მამალი მიანოდა, მიდი, თავი წააცალო.

მასპინძელმა ხელით გვანიშნა, ყველაფერი იქნებაო და მამლიანად გავიდა.

მალე დაბრუნდა, საუცხოო სუფრა გააწყო, ყველაფერი გამოიტანა, რაც ჰქონდა სახლში — ლორი, თონის პური, ჯაგანი, შავი საფერავი.

— დაიხოცებით, ბიჯო, თეთრი მოგეტანა! — ვუთხარი მასპინძელს.

— შენ მიდი! — დამამშვიდა მასპინძელმა.

მარანში დავსხედით და შეუწყვეით. მე ლამაზ-ლამაზ სადღეგრძელოებს ვამბობდი, შიგადაშიგ ლექსებს და ისტორიებს ვურთავდი, დროდადრო ცოტ-ცოტას ვწრუპავდი ლეონოს, რისი ატანაც შემქმლოდა საათებიც მიჰყვებოდა ერთმანეთს.

ლამებოდა, ფანჯარაში დღისა და თოვლის სითეთრეს ბინდი ცვლიდა.

რაღაც სადღეგრძელო ვთქვი, დავლიე და ჭიქა დავდეგი.

ფეხის ხმა მომესმა. გავიხედე ფანჯარაში, დავინახე ვილაც უცნობი ადამიანი, დიდ ლაბადასა თუ ნაბადში აჯაჯულიყო და ღრატა-ღრუჭით მოაბიჯებდა თოვლში.

— ვინ არი? — ვკითხე მასპინძელს.

— ვერანაა, ბიჯო! აქ მოდის! დაიცა, დავიმალო! — მიპასუხა მასპინძელმა და წამოდგა, დიდ კასრთან მივიდა და იმის უკან დაიმალა.

ვერანა სოფლის თავში ცხოვრობდა, მე-თვეზე იყო. ერთხელ ილაპარაკა, ანკისი გადავაგდე და დიდი თვეში თუ რაღაცა ვერანა დავიჭიროე და ვერანა დაერქვა.

ვერანა დაუძახებლად შემოვიდა ეზოში და მარნისკენ წამოვიდა. გავიცქავეთ, რა მოხდებოდა, გვანტერესებდა.

შემოვიდა, მოგვესალმა, არც კი იუცხოვა ჩვენი იქ ყოფნა. მასპინძელი იკითხა.

ამ დროს მასპინძელი გადმოხტა და ვერანას შესამინებლად „ვუ“ დაიძახა. თან ჩირები ჩამოეკიდებინა კისერზე.

ვერანა ერთი შეცბა, მერე გაშტერდა, გაქვავდა. სასაცილოა, ძმაო, მაგრამ ეხლა სასაცილოდ არა მცალიაო, უთხრა და მასპინძელს ხელით ანიშნა, მოდიო.

გარეთ გავიდნენ.

ორიოდ ნუთმი მასპინძელი დაბრუნდა, მოგვიბოდიშა უნდა წავიდეო. არ გვითხრა, სად მიდიოდა.

გვთხოვა, არ წახვიდეთ, მალე დავბრუნდებითო, მაგრამ არ დავრჩით, ერთიც დავლიეთ და წავედი.

მეორე დღეს სანდრო მოვიდა და მი-თხრა, ვერანას ბიჭს ტყეში მანქანა დაემ-

ტვრია, ისეა სატვირთო დაღწეული, აჯაჯ-სანდალი გამოვყო.

— ბიჭი? — ვკითხე შეტყუებულმა.

— გადარჩა! საბედნიეროდ! ფანჯრიდან გადმოვარდნილა და რბილად გავ-ორებულა ნემომპალაში!

— მერე, ბიჭო?

— მერე ის მივიდა რა და წამოიღეს უკვე ჯართი!

მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი გადარჩა, მაინც ძალიან იმოქმედა ამ ამბავმა, შემეცოდა ოჯახი თუნდაც იმის გამო, რომ მანქანა დაკარგეს, თუნდაც იმის გამო, რომ ვიცოდი, ძალიან შეეშინდებოდათ.

მერე წინა დღის ამბავი გამახსენდა. მასპინძელს მეგობართან გახუმრება სურდა, რა იცოდა, რომ ასეთ ამბავზე იყო მისული, რა იცოდა, მაგრამ მაინც გავბრაზდი მასზე, თუ ხუმრობა უნდოდა, დალოდე-ბოდა, მოსულიყო, გაეგო, რომ ყველაფერი კარგად იყო მის თავს და მერე მოეფიქრებინა რაიმე გასახუმრებელი.

— კიდევ კარგი, რომ ბიჭი გადარჩა... მაგრამ რა არის, იცი? კაცს სერიოზულობა მართებს, ყველა ხუმრობას თავისი დრო აქვს! — ვთქვი და გარეთ გავედი დანარჩენი შემის დასაჭრელად.

### გეომბრაზიის გაკვეთილი

გეომბრაზიის მასწავლებელმა დავგავალა ამა თუ იმ ქვეყნის წარდგენა. ოთხ-ოთხი ბავშვი გადაანანილა. ისე მოხდა, რომ ზოგ ჯგუფში ორი ბიჭი და ორი გოგო იყო, ზოგში სამი გოგო და ერთი ბიჭი. მე სწორედ ასეთ ჯგუფში აღმოვჩნდი. თითოეულ ჯგუფს თავად უნდა აერჩია სასურველი სახელმწიფო და მათი კულტურის, ისტორიის, სპორტის შესახებ ესაუბრა. როცა დავგვევს, იმედიანად ვიყავი, ფეხბურთი კარგად ვიცოდი და მეგონა, იოლად გამოვქვრებოდი, თანაც როგორც ბიჭს, სპორტს მე დამავალებდნენ.

სპორტი კი დამავალეს, მაგრამ აირჩიეს ინდოეთი.

საერთოდ, უფროსი თაობებიდან მოყოლებული, ქალბატონებისთვის ინდოეთი არც თუ ისე უცხო და უინტერესო ქვეყანა მათივე ფიქრებშია.

ინდოეთზე არაფერი ვიცოდი — არც ინდური ფეხბურთი, არც კალათბურთი, ფეხბურთის გუნდი ჰყავდათ თუ არა, ისიც არ ვიცოდი.

ერთადერთი, რაც სპორტში გამახსენდა, ვიშვანათან ანანდი იყო, ლეგენდარული ინდოელი მოჭადრაკე.

მეორე დღეს საგანგებოდ მოვემზადეთ, სამოსიც ინდური ავიღეთ, უფრო სწორად, ვცადეთ.

მე მოყვითალო ფერის პერანგი და ღია შარვალი ჩავიცვი. გოგონები უფრო დაემსგავსნენ ინდოელებს — სამკაულები აისხეს, მძივები და ათასი რამ, შუბლზე ხალები დაიხატეს.

ისაუბრეს ინდურ კინოზე, ხელოვნებაზე, თავორის მწერლობაზე. განიხილეს ყველაფერი, რის შესახებაც წარმოდგენა ჰქონდათ.

მე მხოლოდ ანანდი ვახსენე, ვიშვანათან ანანდი ჰყავთ, მაგარი მოჭადრაკე-მეთქი.

გაუკვირდა მასწავლებელს. იცოდა, ფეხბურთში ვერკვეოდი, კიდევ ელოდა რამეს, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი, არაფერი ვიცოდი.

გაკვეთილი რომ მორჩა, გამოცვლა დამეზარა და ასე გავედი დერეფანში, იქ დირექტორი შემხვდა, რასაკვირველია, არ იცოდა, რა გაკვეთილი გქონდა.

არ გაკვირვებია ჩემი ჩაცმულობა. გამიმიღმა. შემომხედა. მივესალმე, მომესალმა და წავიდა.

მერე, დიდი ხნის მერე, უკვე უნივერსიტეტდამთავრებულს გამახსენდა ეს დღე და ეს გაკვეთილი, გამახსენდა და გამიხარდა ჩემი დირექტორის მამოინდელი რეაქცია, გამიხარდა ის გაკვეთილიც, ის საინტერესო ჩანაფიქრი.

გამიხარდა, რომ ჩემს პატარა ქვეყანაში, ჩემს პატარა სოფელში უყვარდათ, აფასებდნენ და არაკვირვებდათ სხვისი კულტურა.

მე კი, რა იქნებოდა, ცოტა მეტი მცოდნოდა ინდურ სპორტზე?



მწერალი

ბესო სოლომანაშვილი

ბესო სოლომანაშვილს მრავალი წახანაგი და ფერი აქვს. ის არის ინჟინერი, პედაგოგი, რეჟისორი, სცენარისტი, მწერალი. თავიდან თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეტალურგიის ფაკულტეტზე ჩააბარა, სულ ახალგაზრდა მთაში წავიდა და სოფელ ომალოს სკოლაში მათემატიკასა და ფიზიკას ასწავლიდა, შემდეგ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის კინოფაკულტეტი დაამთავრა. საკუთარი სცენარით გადაიღო პირველი ფილმები „ვერისაჟი“, „სისხლიანი სცენარი“, „დეტონატორი“, „დოკუმენტური ფილმი „მოდო, ყველაზე ერთად ვცადოთ“.

ყველა ეს ფილმი სხვადასხვა კინოფესტივალის პრიზიორია. წარმატებულია ბესოს მწერლობის გზაც. სამჯერ იყო პენმარათონის გამარჯვებული, ორჯერ პრინციპული კრებულისთვის „ზამორა“ და „რეისი ლონდონი-ზუზუმო“ პრემია „საბას“ ფინალისტებს შორის დასახელდა, წლებადღეული „საბას“ ფინალში მისი პირველი რომანიც. ჩვენი საუბრის თემა სწორედ რომანია — შთამბეჭდავი, საინტერესო და დასაფიქრებელი ამბავი იმაზე, თუ როგორ შობს ტოტალიტარული, მოძალადე რეჟიმი ჯალათებსა და მათ მსხვერპლთ, და როგორი მტკიცეულია სიარული წრეზე, რომელსაც მხოლოდ წარსულის გადააზრება და სიმართლე დაარღვევს. ეს არის „ამბავი ძველი დახვერტილებისა და ამბავი ახალი დასახვერტიებისა“.

— როგორ დაიწერა რომანი, რა ამბები დაედო საფუძვლად? როგორც ვიცო, ყველაფერი ერთგვერდიანი მოთხრობით დაიწყო.


— პირველი ის იყო, რომ მთელი ცხოვრება მანუხებდა უცნაური განცდა, როცა მეუბნებოდნენ, რომ ქართლში, ჩვენი ძველი სახლის გვერდით, ბაღები, სადაც სხვები ცხოვრობენ, თურმე დიდი ხნის წინ ჩემს დიდაპას ეკუთვნოდა და რომ ვკითხულობდი, რატომ გაყიდა-მეთქი, არა, ჩამოართვესო. სულ მეგონა, რომ რაღაც დაავაზა, თან მეადაყებოდა, რომ იმხელა მამულები ჩვენი იყო.

ბიჭობაში, როცა ერთ ზაფხულს სოფელში ჩავიდი, აბსოლუტურად გაუთვით-ცნობიერებლად ჩემი მეზობლის შვილს ვუთხარი, ეგ სახლიც ჩვენი იყო, შენ რომ ცხოვრობ-მეთქი და ჩხუბი მოგვივიდა, მამაჩემმა კი უთხრა მამამისს, ისე, ჩვენი რომ იყო, შენც ხომ იციო.

თავიდან მერომანტიკულა ეს არსენას ლეგენდა — მოვიდნენ ბოლშევიკები, მდიდრებს ჩამოართვეს და ხალხს მისცეს. მერე გავიგე, რომ იმ ჩემს დიდაპას, პირველი რესპუბლიკის დროს სოფლის სკოლისთვის ხის სამშენებლო მასალა უჩუქებია, ჩემი შვილების განათლებამო ფულს როგორ გამოგართმევთო. აი, ეს ამბავი უფრო რომანტიკული მეჩვენა და დამინტერესა, რატომ ჩამოართვეს ჩემებს მიწები და საერთოდ, რა უნდოდათ, საიდან მოეთრნენ ბოლშევიკები. და დავიწყე ჩხრეკა, ისეთები აღმოვაჩინე, ისეთები მომიყვანე საიდუმლოდ, რომ ლამის გულს გამისკდა. თურმე კი არ ჩამოართვეს — წაართვეს, დააყაჩაღეს, იძალადეს. როცა კომუნისტები გამოლანდნენ, ძალიან ბევრი რამე გაიარა, ადამიანები, რომლებიც იპრანჭებოდნენ ელიტური მდგომარეობით, სამშობლოს მოღალატეები და ჯალათები აღმოჩნდნენ. დიდი ხნის შემდეგ, უკვე ეროვნული მოძრაობის დროს, ჩემმა ან გარდაცვილია მეგობარმა ახალ წელს ერთ რაღაცნაირ ოჯახში წამიყვანა. მივედი — სუფრა, ნაძვის ხე, საცივი, ღვინო, ერთი-ორი სტუმარი. ძალიან მოხუცი ბაბუა ჰყავდათ, წყალწყალი ცისფერი თვალებით, დიდი მონდობით ყვებოდა, როგორ ხვრეტდა სახელმწიფოს მტრებს, ეგეთი პროფესია ჰქონდა თურმე... ძალიან უნესოდ მოვიქცეით და მაგრად გვცემეს. ამ ამბით იწყება რომანი.

და აი, ოთხი წლის წინ ერთ-ერთი ტელევიზიის დილის გადაცემის რეჟისორად ვმუშაობ და, ჟურნალისტმა მარიკა ბაკურ-

აძემ „ინტელექტის“ ერთდღიანი კონკურსის შესახებ გამოაცხადა, კონკურსს „მარკისის საწყაროში“ ერქვა. დილის რვა საათზე იმ შაშხანიანი კაცის მდგომარეობაზე დავხერე, ვისაც კედელთან მიყენებული აურელიანო ბუნდია უნდა დაეხვრიტა. საიდან მოვიდა, რას ფიქრობდა, ვინ შეიძლებაა, მისთვის ყოფილიყო პოლიტიკი. ამ ერთგვერდიანმა მინიატიურამ მარკისის რომანების მთელი შეკვრა დაიმ-



სახურა ჯილდოდ. შემდეგ დაფიქრდი, მართლა საიდან შეიძლება, მოსულიყო ის შაშხანიანი კაცი. სამხრეთ ამერიკაში ნამყოფი არ ვარ, ამიტომ ჩემთვის ნაცნობ გარემოში გადმოვსი და წავიდა ამბავი კაცზე, რომელიც გახდა ჯალათი, მაგრამ ეგრე ადვილი ხომ არ არის, გახდე ჯალათი?! შეიძლება ცხოვრებაში ადვილიცაა, მაგრამ მკითხველმა ხომ უნდა დაევიჯროს და გაჩნდნენ სხვა გმირები, ეპოქა, გარემოებები, მოვლენები, პერვერსიული ამბები, ბევრი სურმა და სისხლი. ჯერ 37-გვერდიანი მოთხრობა გამოვიდა, მისი სათაური მალხაზ ხარბედიამ „არლის“ ყდაზე გაიტანა და გაუთამამდი. „სულაკაურის გამომცემლობაში“ ოთხმოთხრობიანი კრებული მივუტანე თინა მამულაშვილს. ამ მოთხრობებში ეს არის-მეთქი ლოკომოტივი. ეგო, თითქმის რომანიაო, თინამ. უი, მოიცა-მეთქი, ისევე ჩავუჯექი და ასე შემომერომანა. სხვათა შორის, „ზამორაც“ თავიდან 12-გვერდიან მოთხრობად დაიწერა პენმარათონზე.

— წაწარმოების ქარა ისტორიულია — თქვენ მოგეთხრობთ გასაბჭოების შემდეგ საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე და ბოლშევიკების მართველობის პერიოდს ასახავთ. ეს ისტორიული კონტექსტი რომანისთვის როგორ შეიქმნა? ალბათ გარკვეული დრო დასჭირდა კვლევას, არქივებს...

— იმ ჩემი დიდაპას გარშემო კიდევ ერთი ამბავი გავიგე, 1921-ში ვენახის მარნიდან ამილახვრები და მაღალაშვილები გაუპარებია, მე მაინც გლეხი ვარ და არაფერს მიზამენო. ნათესავის შვილმა დააბეზლა თურმე. დახვერტას კი გადაურჩა, მაგრამ გააკულაკეს და გული გაუსკდა.

დღეს თბილისში და ყველგან, საქართველოში, უამრავი ადამიანი ცხოვრობს სხვისთვის წართმეულ სახლებში, სხვის ცხოვრებაში ცხოვრობენ და ვერც ხვდებიან, რომ ეს დანაშაულია, ან ჰგონიან, რომ ძველმა ამბავმა ჩაიარა. რამ ჩაიარა? ასი წელიც არ გასულა იმ ამბებიდან, ეს ხომ გენეტიკური მახსოვრობა არ არის, ეს ახლა ხდება. ის ადამიანები, რომლებმაც სხვები სახლებიდან გაყარეს ან დახვერტეს და მათი ბინები დაიკავეს, შეიძლება, დღეს ცოცხლებიც არიან. როგორია? ერთი უბე-

დურება ხომ ის არის, სინდისი თუ არ აწუხებთ და უარესია, სინდისი ქენჯნით თუ ცხოვრობენ. მათ მსხვერპლზე აღარაფერს ვამბობ. ხანდახან მგონია, რომ მისტიკურმა ბოროტმა ძალებმა დაატრიალეს ეს ამბები, აბა, სხვანაირად, როგორ უნდა გაგიჟდეს ამდენი ხალხი ასე, ერთბაშად. ადამიანი, რომელსაც დაუხვერტეს წინაპრები, ოჯახის წევრები, მოძალადეს ეთაყვანება, წარმოგიდგენიათ? თან დღეს მათი ზოგიერთი შთამომავალი — მსხვერპლთა და მოძალადეებისაც — შეილებს ზრდის უსამართლობის გამართლების მენტალობით. სულ მინდა, გავარკვიო და ვერაფრით ვხვდები, რა მოხდა მაშინ ასე მასიურად ადამიანებში, რა დაამახინჯა იმ გაუგონარმა ძალადობამ ჩვენს ფსიქიკაში. ჩვენ-ნაირი ერი რა ძალით გადარჩა ან აქამდე რატომ არ გაქრა. ჩემმა კომუნისტური პერიოდის მახსოვრობამ, თუ არ ვიცი, კიდევ რამ, გამიღვივა ეს ინტერესი. ვაგროვებდი საბჭოთა ჭორებს, საგაზეთო სტატიებს, მერე ვამონებდი ბიბლიოთეკებში, არქივებში, ნაშრომებში და რაღაცნაირად გამოიკვეთა საერთო სურათი ადამიანების და მოვლენების, რომლებიც ერთმანეთზე მიბმული და ერთმანეთს იწვევს — ნამდვილი ჰეპლის ეფექტია. წერისას ყვე-

„  
ამბიციური  
ღმერთუკა  
ხარ  
“

ლაფერი ამოტივტივდება ხოლმე და ისტორიებიც ჩნდება, ერთი წინადადებიდან შეიძლება ააწყო უშველებელი ამბავი.

მგონი, ჩემდა უნებურად დავისახე მიზნად იმ პერიოდის გააზრება. ყველაფერს, და განსაკუთრებით ყველა დანაშაულს და ცოდვას, თავისი სახელი თუ არ დაერქვა, არაფერი გამოვა, თორემ ძალადობის გამართლება ჯერ დავგვანჯავს, მერე თაობებს გადაეცემა და ეს ნამება ბოლოს მოგვიჩნდება. გერმანელები მიხვდნენ ამას — ისინი თვალთმაქცურად კი არ იხდიან ბოდიშს იმის გამო, რომ ჰიტლერს აწყვენ, უნდათ დაისვენონ იმ კომმარისგან და დაიწყონ ახალი ცხოვრება. თუ ასე არ მოიქცეი, ყოველთვის გამოჩნდება ის, ვინც მოგაკითხავს, მხარზე მოგასკუპდება და ყურში ჩაგჩურჩულებს შენს ჩადებილს, რომლის დავინწყებასაც ცდილობ; გაგაკეთებინებს უარესს და ეყოლები ასე, შთამომავლობიანად, ყურებით დაჭერილი.

— სწორედ დიდი ხნის ინტერესია და კვლევის შედეგია, რომ შეიქმნა ძალიან ცოცხალი სახეები, რომანის პერსონაჟების მთელი გალერეა. სხვათა შორის, თქვენს პირველ კრებულს „ზამორასაც“, გამომარჩევს ოსტატურად შექმნილი რეჟიმის მსხვერპლთა პორტრეტები.

— ეს არის ჩვენი გარემო, ადამიანები, რომლებიც ჩვენ გვერდით არიან, სულაც ბებია-ბაბუები. ოჯახში კედლებზე მათი ფოტოები გვიკიდია და ალბომებშიც გვაქვს ჩაკრული, ისინი შეიძლება, მოძალადეები ან მსხვერპლი იყვნენ, ან შიშმა აქცია მოძალადეებად. კოსმოსიდან ან სხვა ქვეყნიდან მოსულები კი არ არიან, ჩვენები არიან.

ბოლშევიკებმა დატოვეს ძალადობის კულტი, ადამიანი ხომ ისედაც ძალადობისკენ არის მიდრეკილი, სხვანაირად უჭირს გადარჩენა... კაცობრიობა კი შეთანხმდა, რომ ძალადობა არც ისე კარგია, მაგრამ ბოლშევიკებს არ მოეწონათ ეს და ძალადობა ცხოვრების წესად იქცევს, ამიტომაც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სკოლებში ბულინგი თავის დამკვიდრების ერთადერთი საშუალებაა. აბა, ჰაერიდან კი არ მოვიდა ოთხმოცდაათიანები, ჰიპერტროფირებული ეროვნული მოძრაობა, შემდგომი ძალადობა სახელმწიფოს სახელით, რო-

მელიც დღემდე ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება — ჩვენშია ეს ყველაფერი. რიგითი ქართველი ობიექტურად უმრავლესობას არც კი უყვირს მასზე რომ ძალადობენ, თვითონ თუ ძალადობს, ესეც ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია, სხვანაირი ცხოვრება არ იცის. აი, ესეთ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ამბებს ვაგროვებ და მოყოლას ვცდილობ, ხანდახან ეს ადამიანები გადაწყვეს წარსულში ან გადმოწყვეს თანამედროვეობაში — ადამიანი ხომ არ იცვლება.

გვიანი პერიოდის ბოლშევიკები ჩვენი ცხოვრების წესს დღემდე უტიფრად განსაზღვრავენ. სად არ შეგხვდებიან „კუთვნილი“ ადგილის მოთხოვნით — პოლიტიკაში, ბიზნესში, კულტურაში. იმის მაგივრად, რომ გადააფასონ ჩადენილი და ბოდიში მოიხადონ, მათ დღემდე ჰყავთ მიმდევრები. ამბავა ჩემი შემდეგი რომანი — ისტორიის გადააზრების მცდელობაზე. რაღაც დამართა ადამიანების მენტალობას ბოლშევიზმმა, ტკივილის და სინდისის შეგრძნება დაუჩლუნგა.

ეს არის ჩვენი ქცევა, რომლითაც იქმნება ისტორია, ეს ჩაკეტილი წრეა: თითოეული ადამიანის ქცევა იწვევს გლობალურ მოვლენებს და გლობალური მოვლენები კი მოქმედებს თითოეული ადამიანის ყოფაზე.



რაც შეეხება კონკრეტულად „ზამორას“ — ესპანური წარმოშობის ცნობილმა ქართველმა მზარეულმა მანუელმა მომიყვა, როგორ გამოექცა ბაბუამისი დიქტატორ ფრანკოს ესპანეთიდან საბჭოთა კავშირში და იმ მხარეში ითხოვა ჩასახლება, სადაც ფორთოხალი ხარობს. აფხაზეთის ომში კი შემხვდა გამანადგმელი და სნაიპერი „ნირიოკა“ — ამ ადამიანების ისტორიები ერთმანეთს დაფუკავშირე, ამათ მოყვა გარემოებები, მოვლენები, რომლებიც ადამიანების გარეშე არ ხდება და ასე მივიღე „ზამორა (სნაიპერა)“.

— „ალუზიურ მისტიფიკაციას“ უწოდებთ რომანს, რატომ?

— ეს არის ერთგვარი თამაში ისტორიით... სხვათა შორის „ზამორაც“ თამაშია... მიყვარს, მომწონს ასეთი თამაში, რეალური გმირების სამზარეულოში ჭვრეტა, კულინარიული საიდუმლოს ამოხსნა, როგორ და რა ინგრედიენტებით მზადდება ადამიანის ბედი და მოვლენები სამყაროში, რომლებსაც ადამიანებივე ქმნიან — ომები, გმირობა, ღალატი, სიყვარული, სექსი, ძალადობა, სიკეთე. პროფესიით კინორეჟისორი ვარ და ეტყობა, იქიდან მაქვს ეს კინოზუაირიზმის თვისება. ყველაფერი ხომ ჩვენი ადამიანური ცხოვრებიდან, კომპლექსებიდან, გარემოებებიდან მოდის... და მე ვცდილობ, წარმოვიდგინო, მაგალითად, რა აკლდა ბავშვობაში სერგო ორჯონიკიძეს, რომ ასეთი ნაძირალა გახდა... ამიტომაც ალუზიებს და მისტიფიკაციებს მივმართე, დავიზღვიე თავი რეალური ადამიანების შემოტევისგან. თუ მათ გადაწყვიტეს, გააფუჭონ ჩვენი ცხოვრება, როგორმე მაპატიონ, რომ მათზე ყვეები ისე, როგორც წარმოვიდგენ.

— მომეჩვენა, რომ ძალიან გებრალეობათ თქვენი ჯალათი, თითქოს ჭირისუფლობით მასაც და მის მსხვერპლებსაც.

— ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებას რომ გაჰყვას სათავისკენ, სულ დასაწყისისკენ, როდესაც ის სათესლებიდან საშვილოსნოში მოხვდა, შეიძლება ილაპარაკო, რამდენად სიყვარულით ან ძალადობით მოველინა სამყაროს. სულ მგონია,







რომ მრავალნახნაგოვან, მრავალფეროვან არსებობად ვიბადებით, ეს აშკარა თუ ფარული ძალადობები კი ამ ნახნაგებს ამტკიცებს და ფერს გლეხს. ამავდროულად, ვილაცხვებ და რაღაცები ამ ნახნაგებსა და ფერებს მეტნაკლებად გვინარჩუნებენ. არ ვიცი, ვინ არიან ეს დამცველები, მაგრამ ფაქტია, მცირე ნაწილი ინარჩუნებს ნახნაგებს. დანარჩენი კი ალბათ უნარია, გაარჩიო საკუთარი თუ სხვისი ფერები და ნახნაგები და დაინახო, რატომ დარჩა ადამიანი მათ გარეშე.

წარმოიდგინეთ — ჩვენი ქვეყანა, სადაც ჩვენ ვიბადებით და ვიზრდებით, სადაც ჩვენი წინაპრები იბადებოდნენ და იზრდებოდნენ, თითქმის სამასი წელია, ჩრდილოელი მონსტრის, რუსეთის ძალადობის ქვეშ არის. ომები არც მანამდე დაგვკლებია, მაგრამ რუსებმა ომს „მისი უდიდებულესობა ცინიზმი“ დაუმატეს — მე ვძალადობ შენზე, შენ კი ამით ბედნიერი უნდა იყო. ეს ბევრად მძიმეა, ვიდრე ყველაზე დაუნდობელი ომი, ეს რყვის ფსიქიკას და თან ახლავს მუდმივი შიში, როდის მოვა ტანკით, როდის დაგინგრევს სახლს... ამ სტრესისგან იქცევი ჯალათად, აბა, რა იქნება... მაგრამ, ეს მანაც არ ამართლებს ჯალათობას.

**— ესე იგი ჯალათობისა და მსხვერპლთა ისტორია არ დასრულებულა?**

— ერთხელ ერლომ ახვლედიანმა თქვა, ძალადობა თავისთავად იმიტომ კი არ არის ცუდი, რომ ის ძალადობაა, უფრო იმიტომ, რომ მას აქვს ჯაჭვური რეაქციის უნარი, ერთს მოყვება მეორე, მეორეს მესამე და ასე შემდეგ, დაუსრულებლად, სანამ არ გამოჩნდება ვინმე, ვინც ეცდება, განყვიტოს ეს ჯაჭვი — მისი ეს ფრაზაც ამ რომანის და მოთხრობა „ზამორას“ დაწერის ერთ-ერთი მიზეზია. ერლომი იყო ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ადამიანი, ვინც კი ოდესმე შემხვედრია. მას ასეთი ჯაჭვის გამწყვეტად ქრისტე მიაჩნდა.

**— ბევრს მუშაობთ, როგორც მწერალი?**

— გულწრფელად, მართლა მიჭირს ჩემი სახელის გვერდით „მწერალი“ დავწერო, მგონია რომ, რაღაც სხვა ენერგეტიკა დევს ამ სიტყვაში, ალბათ უფრო ცნებაში. გახსოვთ? „პირველითგან იყო სიტყუა, და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუა იგი“ — სიტყვა ადამიანებმა სარწმუნოებად აქციეს და ამ დროს ის შენი მუშაობის ინსტრუმენტია. მაშინებს ეს ამბიცია. კიდევ უფრო მარტივად, დედამიწაზე იმდენი ცოცხალი არსებობა და მხოლოდ ჩვენ გვაქვს უპირატესობა, საკომუნიკაციოდ გვექონდეს სიტყვა.

ვწერ ცოტას. ვწერ, როცა რამეზე ძალიან ვბრაზდები ან ძალიან ველაგ და ვერავის ველაპარაკები, ვერ ვუზიარებ — შეიძლება ვანყენინო, ვერ გამოვოს. მენანება ადამიანების დაკარგვა და ამიტომ ვწერ ისე, როგორც წერენ ხოლმე დღიურებს ყველაზე და ყველაფერზე განაწყენებული პატარა გოგო-ბიჭები და რასაც მეგობრებს და მშობლებს ვერ ეუბნებიან, ფურცელზე ანთხევენ.

ჩემთვის წერა სექსუალური ვნებით დაბრმავებული პატარა ბიჭის ემოციასავითაა, სიყვარული და გიჟური სურვილი რომ ერევა ერთმანეთში.

მართლა არ ვიცი, კარგად გამოდის თუ ცუდად, მე არც ლიტერატორი ვარ და არც მწერლობაში თავიარავალი. რამე რომ იყოს, თავიდან გადავწერდი ყველაფერს — და რა, უკეთესად გამომივა, უკეთესი მწერალი გავხდები? ეგ არის, რაც არის. მართლა ძალიან მიხარია, როცა მოსწონთ.

თუ მტუქსავენ, ძალიან კი ველაგ, მაგრამ გულს ვიმშვიდებ: „რა იყო, ხო იცი, რომ მწერალი არ ხარ, უბრალოდ...“ და მაინც ცოტა ვსევდიანდები ხოლმე, ალბათ რომ მიყვარს, იმიტომ... და კიდევ, რაღაც ნაირი პასუხისმგებლობაა ჩემს შვილებთან და ოჯახთან, მართალი მანაც უნდა იყო, როცა ისინი ამ შენს ახირებებს უძლებენ, თან შენი პირველი მკითხველები არიან.

**— როგორ გახდა მწერალი თქვენი რომანის გმირი, ეს ვიცი. თქვენ როგორ დაიწყეთ წერა? პირველი მოთხრობა, რომელიც გამოქვეყნდა, თუ არ ვცდები, „კონტრაბანდის ციფრი“ იყო.**

— ძალიან დიდი ხნის წინ, მეხუთე კლასში დავწერე სევდიანი ჯამბაზის ამბავი, რასაც მაშინ ვკითხულობდი, იქიდან ვიპარავდი ცოტ-ცოტას, რაღაც ინგლისური სახელები დავარქვი ჯამბაზს და მის მეგობარ ძალს, რომლებიც ცუდებს ებრძოდნენ. სადაღაც დამეკარგა ის თორმეტფურცლიანი მწვანე რეგული. მეცინება, რომ მახსენდება. მერე ჩემს პატარა გრაფიკულ ნახატებს ვურთავდი ტექსტებს. მთათუშეთში რომ წავიდი მასწავლებლად, მაშინ დავწერე პირველი მოთხრობები, ეს უფრო მცდელობა იყო. ჩემმა ძმამ, ირაკლიმ, ერლომ ახვლედიანს მიუტანა, მაშინ არც კინოში და არც მწერლობაში პირადად თითქმის არავის ვიცნობდი. ერთი კვირა ველოდე შეფასებას, გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა; ერლომმა მითხრა, არ ვარგა, მაგრამ გააგრძელო... თან ამიხსნა, რატომ არ ვარგებდა. იმ მოთხრობებიდან „წითელი ტრაქტორი“ პირველ კრებულშიც შევიდა. კარგა ხნის მერე იყო „კონტრაბანდის ციფრი“, რომელიც ერთ ცხელ ზაფხულს დავწერე სოფელში მამაჩემზე, ჩემს ძმაზე, ჩემზე, დედაჩემზე. არც ვიცი, როგორ დაინერა. აი, ესე, გრილ სარდაფში, თან რაღაცებს ვკითხულობდი და თან წერაში გამყავდა დრო. მაშინ ჩემი ძმა თამაზ ჭილაძის ჯგუფში სწავლობდა დრამატურგიას — კიდევ ერთ ნათელი ადამიანი ჩემს ცხოვრებაში — ნაკითხვ-მეთქი, რა, და უცებ ლიტერატურულ სამყაროში აღმოვჩნდი. მერე ერთ საღამოს სახლში ტელეფონი რეკავს და, ოთარი ვარ, ჭილაძე, შეიძლება მიცნობდეთ... და „კონტრაბანდის ციფრი“... და მადლობა... — მეტი აღარ გამიგონია, რას მეუბნებოდა. კი ოცდაათი წლის ვიყავი უკვე. პირველი წიგნი ჩემი ძმის პიესები და ჩემი მოთხრობების კრებული იყო. ორივე მხრიდან იკითხებოდა — ერთი მხრიდან ჩემი ძმის პიესები, მეორე მხრიდან ჩემი მოთხრობები, ლევან თითმერიამ გამოსცა „საარში“. მერე იყო „უპნარათონები“ — მეგობრები, ჯარჯი აქიმიძე, თამარ ლენინიძე, „დიოგენე“. წარმოიდგინეთ, რა ბედნიერებაა, სადაღაც გვექტავენ 24 საათით, გაჭმევენ-გასმევენ და ერთადერთს გთხოვენ, რაც გინდა დაწერო და შეიძლება ფულიც კი მოგცენ ამაში. პირველი კრებულიდან დაახლოებით შვიდი წლის შემდეგ „ზამორა“ და კიდევ სამი წლის მერე „რეისი ლონდონი-ზუზუმბო“ „დიოგენემ“ გამოსცა.

**— კინორეჟისორობა და მწერლობა ერთმანეთისგან რამდენად განსხვავებული საქმე თუ მდგომარეობაა?**

— სრულიად სხვადასხვა საქმიანობაა. იქ, სადაც თხრობის ერთი ფორმაა მისაღები და გენიალური, მეორეგან იმავე ფორმის გამოყენებით შეიძლება, აბსოლუტურად არასასურველი შედეგი მიიღო. ორივეგან პატარა ამბიციური ღმერთუკა ხარ, ქმნი შენს პატარა მსოფლიოს, აიძულებ ადამიანებს, შევიდნენ იქ, განიცადონ და აი, არაფრისგან, აბსოლუტური ალუზიები

ისგან და მისტიფიკაციებისგან, იტირონ, იცირონ, დაფიქრდნენ, გაბრაზდნენ. გამოხატვის ფორმები და ხერხები ძალიან განსხვავდება, განსაკუთრებით სახიფათოა ლიტერატურის კინოში შეჭრა, იშვიათია კარგი ეკრანიზაცია, მე ვარ ეხლა მაგ შარში... ქართულ ლიტერატურაში ბოლო პერიოდის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობას, თამრი ფხაკაძის „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“, შევბედე. ძალიან მეშინია, რა გამოვა.

**— „საბა“ 2020-ის ფინალისტი ხართ, თქვენი რომანი წლის საუკეთესო წიგნებს შორისაა. კონკურსის ფინალისტებად დასახელდა ადრე ორივე პროზაული კრებულიც — „ზამორა“ და „რეისი ლონდონი-ზუზუმბო“. რა ემოციას უკავშირდება თქვენთვის პრემიის მოლოდინი?**

— ალბათ არ არის ხომ ეს ცუდი? ცოტას ვწერ და რაც დავწერე, ყველა შენიშნეს. ხანდახან მგონია, რომ რამდენადაც დავიხარჯე, იმდენად მიპასუხა ლიტერატურამ, თუმცა იმასაც ვფიქრობ, რომ რაოდენობა ლიტერატურაში არ განსაზღვრავს ხარისხს. ზოგჯერ ისიც მეჩვენება, რომ სამყარო არც ისე კარგად მომეცა, ხანაც პირიქით — მგონია, რომ რაც მომეცა, ვერ გამოვიყენე და რიგითი ლუხერი ვარ. ძირითადად, მშვიდად ვხვდები ყველაფერს — რაც არის, ეგ არის, ჩემი ცხოვრებაა და მორჩა. დრო უნდა შეფასებას, დრო.

რაც შეეხება ლიტერატურულ პრემიებს და კონკურსებს, ის ხომ სალაპარაკოც არ არის, რომ პრემიებისთვის არავინ წერს, და ვერც დაწერს სულ რომ გადაიროს — ტრივიალური ჭეშმარიტებაა. მთავარია, რომ ეს ყველაფერი ქმნის ლიტერატურულ ცხოვრებას. წიგნის მალაზიამ, სადაც თაროებზე ასობით ავტორის ასობით წიგნია, პრემიის მიღების შემდეგ შენი წიგნი ქვედა თაროებიდან ზედა თაროებზე გადაინაცვლებს და ეს, რა თქმა უნდა, არის გარკვეული სტიმული შენთვის, ხოლო წიგნის მალაზიამ ზღვა არჩევანის წინაშე მდგომი მკითხველისთვის ორიენტირია. ის მითქმა-მოთქმა, სიხარული, წყევლა, ცინიკური შეფასებებიც კი, ყველაფერი სიცოცხლეა, ანუ ადამიანებისთვის ლიტერატურა ისევე მნიშვნელოვანია. ოღონდ, თუკი მკითხველს წიგნი ის არ დახვდება, რასაც ელოდა, ეს ძალიან აზიანებს ისედაც ერთი ციქნა ლიტერატურულ ბაზარს. ხანდახან სოციალურ ქსელში წაწყვიტები გულნატკენი ადამიანების საუბარს პრემიების გაცემის კრიტერიუმებზე, ასეთი საუბრები ალბათ უფრო იმედგაცრუების შედეგია ხოლმე, მაგრამ თუკი ამას აქვს სულ მცირე საფუძველი, ეს ცუდია მკითხველისთვისაც და ავტორებისთვის... და საბოლოოდ, თამაზა ძალიან დაბლა იწევს, სიმალეები მდაბიოდება... ღმერთმა დაიფაროს.

ხანდახან მეჩვენება, რომ რატომღაც ჩვენვე შევავიწროვეთ ჩვენი თვალსაწიერი. საბჭოთა რუსეთმა მიგვაჩვია აზრს, რომ ჩვენთვის შესუძლებელია, მაგალითად, ნობელამდე მისვლა. არადა პოსტსაბჭოთა სამყაროს ჰყავს ბელორუსი სვეტლანა ალექსიევიჩი, გასაგებია, რომ ის ფართო არეალის ენაზე, რუსულად წერს... არც ის არის მიზეზი, რომ ჩვენს ენას მცირე არეალს აქვს, რადგან ისლანდიურზე, რომელზეც სულ 300 000 ადამიანი საუბრობს და ჩინურ ენაზე შექმნილ ლიტერატურასაც მიუღია ნობელი. მესმის, რომ სულ ახლახან გავჩნდით ლიტერატურულ რუკაზე, მესმის, რომ ევროპა არ ვართ, რომ დიდი ფინანსება საჭირო, რომელსაც ხანდახან უზაროდ ვფანტავთ; მესმის, რომ ცოტა ხნის წინ აღმოვაჩინეთ თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა — მახსოვს, როგორ ნელ-ნელა ჩნდებოდნენ ჩვენს თაროებზე, ისიც რუსულად, ჰენრი მილერი, მილან კუნდერა, ბიტნიკები. როგორი შემინებული გვეჩურჩულებოდა ქართულის მასწავლებელი, რომ თურმე ჰემინგუეი „მშვიდობით იარაღში“ სიფილისსა და ტრიპერს ახსენებს. როგორ ჩუმად ვკითხულობდით ბროდსკის და სოლჟენიცინს. როგორი ენაობდით, რომ თურმე ნობელზე წარდგენილი ჭაბუა ამირეჯიბი და ოთარ ჭილაძე რუსებს დაუბლოკავთ და ასე შემდეგ. მესმის, რომ დრო გვეჭირდება, მაგრამ როდესმე ხომ უნდა დავიწყეთ? მნიშვნელოვანის შექმნასა და შექმნილის დანახვაში ხომ არაფერი გვიშლის ხელს. ხომ გააღწია ქართულმა ფილმმა კანზე? ყველაფერი შესაძლებელია, მთავარია, არ გკონდეს პლე-

ბური კომპლექსი, რომ „უცხოვლები მაგრები არიან, ჩვენ კი საწყლები ვართ და მოდი რა, რაც შეგვიძლია, იმით დავემსახუროთ“. რა ნობელი, რის ბუკერი, რა მსოფლიო ბაზარი, ვინ მიგვიშვებს“. არადა მიგვიშვეს, მეტი რა ქნან? კარგი ლიტერატურა ნამდვილად ინერება და დაინერება, არც თემების ნაკლებობას განვიცდით და არც მრავალფეროვნებას... თუ მონტევიორეს „ახალგაზრდა სტალინი“ იყიდება, თუ ბრესტი საქართველოს თემას იყენებს, თუ ჰამსუნმა დაწერა ჩვენზე, ესე იგი, არ არის ეს ქვეყანა უინტერესო, დავიჯერო, ჩვენ ვერ მოვახერხებთ ამას?

დასაწერი და წასაკითხი, აუცილებლად ინერება და მკითხველსაც პოულობს, შეიძლება გვიან, მაგრამ მაინც. ისე კი, ეს ლიტერატურული პრემიები ნამდვილად კარგია, სიცოცხლეა, სტიმულია. ესე იგი, ვიდაც ფიქრობს, რომ ლიტერატურა ღირსების ნიშანია და ალბათ, როგორც ყველაფერში, აქაც ნელ-ნელა მივხვდებით, რომ ღირსეული ცხოვრება ღირსებით იქმნება.

**— ახლა, როცა თქვენი პირველი რომანი მკითხველებს შორის წარმატებით მოგზაურობს, რამე ახალზე ხომ არ მუშაობთ?**

— ო, „წარმატებით მოგზაურობს“ თვითმკამოფილებისთვის სახიფათო ფრაზაა, თან ძალიან მიხარია თუ მართლა ასეა. თუმცა, „წარმატებით მოგზაურობა“ რასაც ჰქვია, აი, თუნდაც, აკა მორჩილაძის რომანებია, ხანია არსენიმვილის ხელმწიფედ აღმოჩენილი რომანია... დროში მოგზაურობენ ოთარ ჭილაძე და მიხეილ ჯავახიშვილი — ეს მაგალითისთვის, თორემ ბევრია ასეთი.

მე კი ახლა მოთხრობების ერთ კრებულს ვამზადებ, დასასრულს უახლოვდება კორექტირება და ვეცდები, გამომცემელს მივანოვო.

ცოტა ხნის წინ კი მწერალთა სახლმა ძალიან სერიოზული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. ჯერ მცირე რესურსებია, მაგრამ უკვე კარგია. ერთ-ერთი ასეთი პროექტის ფარგლებში მივიღე სტიპენდია ახალ რომანზე, რომელიც დიდი ხანია დაწყებული მაქვს. „ზამორას“ და „ამბავი ძველი დახვერტილებისა და ამბავი ახალი დასახვერტილების“ შემდეგ, ეს იქნება ტრილოგიის მესამე წიგნი — „ლუმპენ მილენიუმი“. ინტენსიურად ვმუშაობ და როგორც ვაჭყობ, ძალიან მოკლევადიანი გამოდის. თუ „ზამორა“ ძირითადად 30-იანი წლებიდან მეორე მსოფლიო ომის პერიოდსა და ორმოცდაათიანობამდე საბჭოთა კავშირის ისტორიას ყვება, „დახვერტილები“ დამოუკიდებლობამდე პერიოდსა და 37 წლამდე მიდის, ახალ წიგნში ალბათ უფრო დიდი პერიოდი გაცოცხლდება — 1802 წლის ამბები, მეორე მსოფლიო ომის ისტორიები, თანამედროვე ბოლშევიზმსა და რუსულ ოკუპაციასაც შეეხება. აქაც ბევრი პერვერსია იქნება, თუმცა სად მეყოფა იმდენი ფანტაზია, რაც რეალობაში ადამიანებს ვახსაიათებს. მთავარი გმირი კი... ისე, ხანდახან მე თვითონ ვიბნევი, ვინ არის ხოლმე მთავარი გმირი. სამივე ნამუშევარს აქვს თხრობის ერთი ხერხი, გმირების შთამომავალი, ჩვენი თანამედროვე ყველა თავისი წინაპრების ცოდვებზე. ეს აღსარებაა ერთგვარი.

ვნახოთ, რა გამოვა ამ ჩემი ლიტერატურული ავანტიურიდან.

**ესაუბრა თამარ ჟურული**







რა სჯობს ისეთ სკოლას, სადაც სკოდე-სკომა გველიან?! ვინც ამ სიტყვებს გამოიცნობს, ბიბლიოთეკა ყოჩალი და ბრძენია!

ძილისპირული

როცა გინდა, დაიძინო, თუკი კარი გადარაზე, სანამ თვალეხს დახუჭავდე, არ შესკუპდე ქანდარაზე! არც თავლაში შეხვიდე, არც სოროში შეძვრე, არც ბუნაგში მოკალათდე, იქ ძილს ვერსად შეძლებ! არც ბუდეში ჩაჯდე, რაში გარგებს ფულურო? ყველაფერს სჯობს, სანოლში ჩანვე და ჭერს უყურო. ძილი ცხოვრობს თურმე ჭერში, არც ხმა აქვს და არც ფერი, ყველაფერზე უფრო უყვარს ნანა, დედის ნამღერი. — კიდე? — კიდე ზღაპარი, — კიდე? — რბილი ბალიში, ჭერიდან რომც ჩამოვარდეს, სულ არ არის საშიში. ის ისეთი ფაფუკია, ბრახ! — რომც მოგხვდეს თავში, დიდი-დიდი, ერთი-ორჯერ დაამთქნარო მაშინ.

ჭიამაია

ჭია-ჭიამაია — პანანინა მწერი. ყველა, ვინც მას პოულობს, სიხარულით მღერის: „ჭია-ჭიამაია, ხვალ როგორი დარია? ავდარია? დარია? გვითხარ, ჭიამაია.“ ის კი ჩუმად გვეპასუხობს: — არ მატკინოთ გვერდები, კაბა არ დამიხიოთ, როცა მომეფერებით. ფრთებზე შემოვიხვიე დანინკლული მარმამი, აი, რა ლამაზი ვარ კოპლებიან კაბაში. არასდროს მისწავლია დარ-ავდრების პროგნოზი, ყვავილები მიყვარს და ლურჯ ცაზე — მზე, ოქროსი.



მარიამ ნიკლაური

მეგობრობა

უსათუოდ იპოვის, ვინც მეგობარს ეძებს! კაცი, ჩიტი, ხე, ცხოველი, უმეგობროდ ვერ ძლებს! მაგიდა რომ მაგიდაა, ვინ იპოვა? — სკამი! ზღვასაც მეგობრები უყვარს — დელფინი და ქარი! აი, თეფშის მეგობარი — ჩანგალი და დანა! აი, მიწის მეგობარი — ბალი, სახლი, ყანა! აი, ღრუბლის მეგობარი — მზე, ვარსკვლავი, მთვარე, ძილის მეგობარი არის — ვინც მილულავს თვალეხს! აი, ტახტის მეგობარი — ბალიში და პლედი, მულტფილმების მეგობარი? ჰო, დისნეილენდი! ესეც ჩანთის მეგობარი — რვეული და ნიგნი, ეს ჯამბაზის მეგობარი — სიცილი და ცირკი! და ტრანსპორტის მეგობარი? — ბენზინი და მგზავრი. მუზეუმის მეგობარი? — ჩონჩხი დინოზავრის! აი, პურის მეგობარი — კარაქი და თაფლი, შემოდგომის მეგობარი? — ყურძენი და ნაბლი! აი, პალტოს მეგობარი — ღილი, კაშნე, ქუდი. საჩუქარის მეგობარი — მოხატული ყუთი. სათამაშოს მეგობარი — ყველა ბავშვი ერთად, ბალახები მეგობრობენ სოკოსთან და ტყესთან. ეს მდინარის მეგობრები — ხეები და მთები, და ამ ლექსს რომ ბოლო არ აქვს, მგონი, უკვე ვხვდებით. რამდენი რამ ჩამოვთვალე და რამდენიც არ ვთქვი, დაგიტოვებთ მე ამ ლექსში თავისუფალ ადგილს. გადაავლეთ თვალი ირგვლივ ყველაფერს და იტყვი, უმეგობროდ არაფერი „რსებობს“, ერთი სიტყვით!

ზღარბი მართა

ამ პატარა სახლში ზამთარს გაატარებს ზღარბი მართა. ზამთარს თურმე ძილში გალევს, არც შეჭამს და არც წყალს დალევს.

მერე მოვა გაზაფხული, აძგერდება მართას გული, გაიღვიძებს, თვალს გაახელს, დაინახავს ლამაზ ბალებს: აყვავებულს, მზიანს, ფერადს. გადაიცვამს ეკლის პერანგს, წამოხტება და შესძახებს: „ძილს ღვიძილი სჯობსო ბევრად!“

ბაღს დაივლის, ეზოს, მინდორს, ისადილებს, თავს გაირთობს.

ივლის, ივლის, ჩუმად, ნელა ჩვენი ზღარბი, ბურთისხელა. ხვლიკს, კალიას, თავს თუ მახრას, ყველას მოიკითხავს, ნახავს.

ზაფხული რომ მოვა, მწიფე, გამოაცხობს ხილის ბლითებს. ბალახებში ითამაშებს, მშვიდად, არ დააფრთხობს ბავშვებს.

მერე შემოდგომაც მოვა, მართა იტყვის: ძილის დროა! რას დაიგებს? — ფოთლის ლოგინს! სუსხი ძილსაც სწრაფად მოგვრის.

„ტკბილი ძილი ჩვენც და თქვენცო!“ — ზღარბუკებმა ასე თქვესო!

აბა, გამოიცანი

ერთი სახლი ის სახლია, სადაც ვცხოვრობთ ოჯახი, მეორეც მაქვს — ჩემი სკოლა და საკლასო ოთახი! აქ ბევრია ყველაფერი: მერხი, ნიგნი, რვეული! ბავშვიც ბევრი, ზოგი მშვიდი, ზოგიც — გადარეული! ყველა ერთად ჩვენ დიდ კლასში ვცხოვრობთ, ვსწავლობთ, ვთამაშობთ, ხან ვზარმაცობთ, ხან ვბეჯითობთ, წიგნებს არ ვხვებთ არასდროს! „შეიძლება?“ „უკაცრავად!“ „ბოდიში“ და „მადლობა“ — ვიცით, როდის რა უნდა ვთქვათ, ვიცით შრომაც, გართობაც. მთელი კლასი მასწავლებლის მეგობრებად ვითვლებით. დაბადების დღეზე იგი გვასაჩუქრებს წიგნებით. ხეივანიც გავაშენეთ, გაიხარეს ნერგებმა. ისე გვიყვარს ჩვენი მასწი, მისი თბილი შექებაც. სიღუმლოდ „სკოდე“ ჰქვია, ერთხელ ასე შევარქვით. აბა, ყურში გვიჩურჩულეთ, არ ჩაგითვლით შეძახილს!



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეო საზოგადოება
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004